„შესაძლოა, არჩევნების წინ ხელისუფლებამ რეპრესიებს მიმართოს” A2

FBI ქართველ პოლიციელებს გამოწვრთნის A2

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 23 იანვარი, 2003 წელი. №21 (233)

ფასი 50 თეთრი

# აფხაზეთის დაკარგვა სახელმწიფოებრიობის დასასრულის დასაწყისია

## როცა ასეთი სუსტი და უსუსური ხარ, როგორ შეიძლება, ანგარიში გაგიწიოს ვინმემ

ინტერვიუ სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის პრეზიდენტთან ალექსანდრე რონდელთან

ეკა კვესიტაძე

**- ამ ათი წლის განმავლობაში მოხერხდა ის, რომ საქართველომ აფხაზეთში სტატუს-ქვო მაინც შეინარჩუნა. რითი შეიძლება აიხსნას, რომ ახლა, როცა ამერიკის ადმინისტრაცია ბოლო თვეების განმავლობაში ახალ მექანიზმებს ეძებდა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად, რუსეთი გამორჩეულად რადიკალურ და აგრესიულ ნაბიჯებს დგამს აფხაზეთში?**

- ის, რომ ათი წლის შემდეგ ასეთი ვითარებაა, შეიძლება რამდენიმე მიზეზით აიხსნას. პირველ რიგში, უნდა გამოვიდეთ იქიდან, რომ აფხაზეთის მოსახლეობას წლების განმავლობაში ძალიან მძიმე ეკონომიკურ და სოციალურ პირობებში უხდება ცხოვრება. მათ ეგონათ, რომ საქართველოსთან ურთიერთობების გაწყვეტის შემდეგ ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლებოდა. ასეთ სიტუაციაში

გაგრძელება A3 გვერდზე



დაცემული ქვეყნის ფალავნები.

## აფხაზეთიდან დევნილთა პროტესტი მძაფრდება

ბელა მახარაძე

გუშინ პარლამენტის შენობის წინ აფხაზეთის მეომართა კავშირმა და მოძრაობამ “საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის” გამართეს ერთობლივი აქცია, რომელსაც მხარს უჭერდნენ “გაერთიანებული დემოკრატები”. მათი ძირითადი მოთხოვნები ჩამოაყალიბა აფხაზეთის განათლების მინისტრმა, მოძრაობის თანათავმჯდომარემ ჯანო ჯანელიძემ. ეს მოთხოვნები შემდეგში მდგომარეობს: შესრულდეს პარლამენტის დადგენილება სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ; შესრულდეს სტამბულისა ბუდაპეშტის სამიტების დადგენილება და გაყვანილ იქნას რუსეთის სამხედრო ბაზები საქართველოს ტერიტორიიდან და ეს პროცესი დააჩქაროს საქართველოს ხელისუფლებამ; დსთ-ს ქვეყნების მიერ მიღებული დადგენილების მიუხედავად, რუსეთმა აღადგინა სოხუმი-სოჭის რკინიგზა, მოძრაობას დაიწყებს სოხუმი-მოსკოვის მატარებელიც, საქართველოს ხელისუფლებამ ეს უნდა აღკვეთოს; არ დაუშვან აეროპორტის აღდგენა სოხუმში; 150 000-მა ადამიანმა, გარდა ქართველებისა, მიიღო რუსეთის მოქალაქეობა, სასწრაფოდ შეწყდეს პასპორტიზაცია.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ელდარ შენგელაია: „რუსეთის პარლამენტიდან კარგ ხასიათზე არასოდეს გავსულვარ”

საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის მძიმე მოსკოვური შეხვედრები

რუსუდან ნიკურაძე

*საკ. კორ. მოსკოვში*

საქართველოს პარლამენტის დელეგაციამ მოსკოვში ოფიციალური ვიზიტის მესამე დღე რუსეთის პარლამენტში გაატარა, სადაც რუს კოლეგებთან უთანასწორო და მძიმე მოლაპარაკებები გამართა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ორი ქვეყნის საპარლამენტთაშორისო ურთიერთობებში ეს დღე გადამწყვეტი იქნება. თუნდაც იმიტომ, რომ ქართულმა მხარემ პირველად აღმოაჩინა - ორ ქვეყანას შორის არსებულ საკვანძო პრობლემებზე, პირველ რიგში კი რუსეთიდან აფხაზეთში სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაზე, მხარეებს გადაწყვეტილება თურმე სამი წლის წინათ მიუღიათ. ამ თემაზე საუბარი, როგორც რუსეთის პარლამენტის დსთ-ს საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ბორის პასტუხოვი აცხადებს, რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური კომისიის მოსკოვურ შეხვედრაზეც ყოფილა და მაშინ სათანადო ხელშეკრულებაც გაუფორმებიათ.

გაგრძელება A3 გვერდზე

## — საზოგადოება —

### „სტაიანჩიკები”, შეგირდები და დაკარგული ათასები

”მე არაფერი არ მაინტერესებს, გაძლევთ სამ-ოთხ კვირას მდგომარეობის გამოსასწორებლად, ნუ ლაპარაკობთ შევარდნაძესავით და ყველაფერს სისტემას ნუ აბრალებთ. ერთი თვის შემდეგ თუ არაფერი შეიცვალა, საკრებულო ომს გამოგიცხადებთ,” — ასეთი კატეგორიული იყო გუშინ მიხეილ სააკაშვილი. ამჯერად საკრებულოს თავმჯდომარის რისხვა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებელს გოგი ჩაჩანიძეს დაატყდა.

A8

## — ამინდი —

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 7 | |
| ქუთაისი | 11 | |
| ბათუმი | 13 | |
| სოხუმი | 11 | |
| ფოთი | 12 | |
| თელავი | 7 | |
| ზუგდიდი | 12 | |
| გორი | 5 | |
| ახმეტა | 6 | |
| ჭიათურა | 7 | |
| გაგრა | 11 | |
| სამტრედია | 12 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1860 |
| ევრო | 2.3401 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.5267 |
| რუბლი | 0.0687 |

## სითბო უფრო გაძვირფასდა

ეთერ მამულაშვილი

განსაკუთრებული მოთხოვნა მაინც თხევად აირზეა. მოთხოვნასთან ერთად, მოიმატა ფასმაც. თუ გაზის გათიშვამდე ათკილოგრამიანი ბალონის თხევადი აირით გავსება თორმეტი-ცამეტი ლარი ჯდებოდა, დღეს უკვე, იგივე ტევადობისთვის, მომხმარებლის ბიუჯეტიდან თხუთმეტი ლარი ეწირება.

ორი ლარი იქით იყოს და, თხევად აირზე რამდენიმემეტრიან რიგში დგომა გაყინულ თბილისელებს, სულ ცოტა, ნახევარი საათი უწევთ. “გუშინ ოთხი ლარი გადავიხადე სამკილოგრამიანი ბალონის დატენვაში. დღეს კი უცებ ხუთი გახადეს. ნამუსი აქვთ ახლა ამათ?” - წუწუნებდა ხანში შესული ქალბატონი.

გაგრძელება A8 გვერდზე



თბილისელების მთავარი საზრუნავი.

## რუსეთზე დიდი საფრთხე საქართველოს ხელისუფლებაა

ასეთია აფხაზეთთან დაკავშირებული ”მრგვალი მაგიდის” მონაწილეთა დასკვნა

სოფო ბუკია

*“ყველა პოლიტიკური ძალა უნდა გაერთიანდეს აფხაზეთის პრობლემის გარშემო,” — ამ უკვე საკმაოდ გაცვეთილი დევიზით გუშინ სახალხო დამცველის ოფისში “ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის” ლიდერმა ირაკლი წერეთელმა სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლებს მოუყარა თავი. “ტრადიციონალისტები”, ედპ, “სახალხო პარტია”, “მრეწველები”, “ნაციონალური მოძრაობა”, აფხაზეთის უზენაესი საბჭო - ეს სახალხო დამცველის ოფისში მიწვეულ სტუმართა არასრული სიაა.*

მთავარი კითხვა — “რა ვქნათ, როგორ მოვაგვაროთ აფხაზეთის პრობლემა?” გუშინაც, წესისამებრ, უპასუხოდ დატოვეს.

ირაკლი წერეთელი და მისი სტუმრები აფხაზეთის პრობლემის გარშემო პოლიტიკურ ძალთა გაერთიანებაზე ბჭობდნენ. წერეთელმა დამსწრე საზოგადოებას შესთავაზა საპარლამენტო და არასაპარლამენტო ძალებმა აფხაზეთის საკითხის გარშემო ცალსახა პრინციპები შეიმუშაონ და ხელისუფლებას მაგიდაზე დაუდონ. **“რაც უფრო მეტი პოლიტიკური ძალა მიიღებს ამ პროცესში მონაწილეობას, მით უფრო გაგვიწევს ანგარიშს ხელისუფლება. თუ არადა რევოლუცია, ან არჩევნები - სხვა გზა არა გვაქვს,”** — აცხადებს ირაკლი წერეთელი.

გაგრძელება A2 გვერდზე

## „გადამხდელებმა” ფულის გათეთრებასთან ბრძოლის კანონპროექტი დაიწუნეს

სოფო კვინტრაძე

*ევროსაბჭოს სპეციალურმა კომიტეტმა, რომელიც ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლას სწავლობს, სერიოზული პრეტენზიები წაუყენა საქართველოს. პრეზიდენტის განკარგულების თანახმად შეიქმნა უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომისია, რომელმაც მოამზადა კანონპროექტი და პარლამენტს წარუდგინა განსახილველად. საქართველოს მთავრობისაგან ფულის გათეთრებასთან ბრძოლას მოითხოვენ საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკიც.*

უწყებათაშორისმა საკოორდინაციო კომისიამ გადამხდელთა კავშირში წარმოადგინა კანონპროექტი “უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ”, რომელიც უკვე შეტანილია პარლამენტში კენჭისყრაზე. როგორც კანონპროექტის ერთ-ერთმა ავტორმა, ეროვნული ბანკის წარმომადგენელმა მურთაზ კიკორიამ აღნიშნა, კანონის მიღების აუცილებლობა გამომდინარეობს საერთაშორისო ვალდებულებებიდან, რაც საქართველომ აიღო თავის თავზე. საქართველო არის ვენის, პალერმოს და სტრასბურგის კონვენციების წევრი ქვეყანა. სამივე ზემოთჩამოთვლი კონვენცია, სწორედ, უკანონო შემოსავლების ლეგალიზებას ებრძვის მსოფლიოში.

გაგრძელება A6 გვერდზე

## რუსეთს ბადრი პატარკაციშვილის მოქალაქეობის დამტკიცება მოუწევს

სოფიკო ჩხაიძე

რუსი სამართალდამცველები მედია-მაგნატსა და ოლიგარქად მონათლულ ბადრი პატარკაციშვილს ყველა იმ დანაშაულის თანამონაწილეობას ედავებიან, რაც კი ამ რამდენიმე წლის მანძილზე ბორის ბერეზოვსკის წაუყენეს. ამასთან, დროთა განმავლობაში ბრალდებას ბრალდება ემატება და სანამ ბადრი პატარკაციშვილი საქართველოში უძრავ-მოძრავი ქონების შესყიდვითაა დაკავებული, რუსეთის გენერალური პროკურატურის მიერ მისთვის მიყენებული სისხლის სამართლის კოდექსის მუხლთა რაოდენობამ 30-ს მიაღწია. შესაბამისად, რუსი სამართალდამცველები პერიოდულად აწუხებენ ქართველ კოლეგებსაც და ითხოვენ ბიზნესმენის გადაცემას.

შარშან, დეკემბერში, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ უკვე მეორედ მიიღო ასეთი მოთხოვნა. პირველისგან განსხვავებით, პატარკაციშვილის ექსტრადიციას ამჯერად გაცილებით სერიოზული დანაშაულისთვის ითხოვენ. თუ აქამდე რუსი ძალოვნები მას პატიმრობაში მყოფი თანამოსაქმის — ნიკოლაი გლუშკოვის გაქცევის ორგანიზებას აბრალებდნენ, ახლა უკვე ბიზნესმენი 60 მილიარდი რუბლის მიტაცებაშია ინკრიმინირებული.

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 უცხოეთი A5 რეკლამა A6 ეკონომიკა A7 სამართალი A8 საზოგადოება

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

## FBI ქართველ პოლიციელებს გამოწვრთნის

აშშ-ს ფედერალური საგამოძიებო ბიუროს 45-ე ოფისი საქართველოში გაიხსნება. ფსბ-ს ძირითადი პარტნიორი კი საქართველოში შინაგან საქმეთა სამინისტრო იქნება.

შს მინისტრი კობა ნარჩემაშვილი გუშინ საქართველოში ვიზიტით მყოფ აშშ-ს ფედერალური საგამოძიებო ბიუროს დირექტორის თანაშემწესა და ვაშინგტონის ცენტრალური ოფისის წარმომადგენელს შეხვდა.

დახურულ კარს მიღმა მიმდინარე ერთსაათიანი შეხვედრის დეტალები ჟურნალისტებისთვის ცნობილი მოგვიანებით გახდა.

ფსბ-ს წამყვანმა თანამშრომლებმა და საქართველოს შს მინისტრმა მსოფლიოსთვის №1 საშიშროებად ქცეულ ტერორიზმის საფრთხეზე და ამ კონტექსტში პანკისის ხეობაში არსებულ პრობლემებზე ისაუბრეს. ფსბ-ს მეთაურთა მოწონება კიდევ ერთხელ დაიმსახურა პანკისის ხეობაში ჩატარებულმა ანტიკრიმინალურმა ოპერაციამ.

ფედერალური საგამოძიებო ბიუროს გენერალური დირექტორის თანაშემწემ "აი-ი-ეს თელასის" მენეჯერის ნიკა ლომინაძისა და გიორგი სანაიას მკვლელობის საქმეებით საქართველოსა და ამერიკას შორის დაწყებულ საქმიან პარტნიორობაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ მსგავსი სახის თანამშრომლობა უფრო მჭიდრო გახდება.

გუშინდელი შეხვედრის სიახლე ისიც იყო, რომ გადაწყდა - ქართველი პოლიციელები საკადრო წვრთნას აშშ-ს ფედერალური საგამოძიებო ბიუროს ცენტრალურ ოფისში გაივლიან.

**"24 საათი"**

## „მიხეილ სააკაშვილი გეპატიჟებათ..."

*რუსთავის მერიის წინ თეთრ-წითელი ხუთჯვრიანი დროშა, ევროკავშირისა და საქართველოს რესპუბლიკის დროშების გვერდით, ნახევარ წელზე მეტია, ფრიალებს. ის რუსთავის მერის კაბინეტსაც ამშვენებს. ტყეშელაშვილს ეს "ნაციონალების" სიყვარულის გამო არ გაუკეთებია. "ეს დროშა სააკაშვილის არ არის, ეს ქართული დროშაა," - ამბობს მერი. დღეს ნაციონალთა ლიდერი რუსთავში ჩავა, ოღონდ არა დროშაზე თავისი საავტორო უფლების დასაცავად, არამედ ადგილობრივი ორგანიზაციის დასაფუძნებლად.*

მაია მოსიაშვილი

**"მიხეილ სააკაშვილი გეპატიჟებათ გაერთიანებული ნაციონალური მოძრაობის რუსთავის ორგანიზაციის დამფუძნებელ სხდომაზე!"** - ასეთი შინაარსის ტრანსპარანტი რუსთავის ცენტრალურ ქუჩაზე რამდენიმე დღის წინ გაჩნდა. მიუხედავად ასეთი გულღია მიწვევისა, დაუპატიჟებელი სტუმრები დღეს რუსთავის დრამატული თეატრის დარბაზში ნამდვილად ვერ მოხვდებიან. იქ მხოლოდ სპეციალური მოსაწვევის მქონე 1200 კაცი შეიკრიბება, ხოლო ღონისძიებას "ნაციონალთა" უკლებლივ ყველა ლიდერი დაესწრება.

მიხეილ სააკაშვილი პარტიის თავმჯდომარის ამპლუაში პირველად ესტუმრება რუსთავს. გასულ ზაფხულს, ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის არჩევნების წინა დღეებში, სააკაშვილის რუსთავში ჩამოსვლის მცდელობას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. თეატრის შენობის წინ მაშინ უამრავი "ანტინაციონალისტი" შეიკრიბა (თუ შეკრიბეს). ურთიერთდაპირისპირება და არეულობის საშიშროება იმდენად რეალური იყო, რომ სააკაშვილმა რუსთაველებთან შეხვედრის პატივი კობა დავითაშვილს გადაულოცა. როგორც "ნაციონალები" ირწმუნებიან, მაშინ რუსთაველ "ანტინაციონალთა" "დასახმარებლად" ათეულობით ადამიანი ქვემო ქართლის გუბერნატორმა მარნეულიდან და გარდაბნიდან ავტობუსებით ჩამოიყვანა. მიზეზად კი იმას ასახელებენ, რომ "ნაციონალთა" მაშინდელი წინასაარჩევნო ლოზუნგი პირადად ლევან მამალაძეს ეძღვნებოდა: "რუსთავი მამალაძის გარეშე!"

დღეს რუსთავში ნახევარი წლის წინანდელი არეულობის გამეორებას აღარ ელიან, რადგან არჩევნებამდე ჯერ შორია. "ნაციონალთა" რუსთავის ორგანიზაცია, არაოფიციალურად, კარგა ხანია არსებობს, თუმცა ოფიციალურ თავმჯდომარესა და გამგეობას ისინი დღეს დაასახელებენ. ამჟამად ამ პარტიას რუსთავში 500-მდე წევრი და აქტიური მხარდამჭერი ჰყავს. ძირითადი ბირთვი ასე გამოიყურება: ყოფილი "მოქალაქეები", "ზვიადისტების" ძიძიგურის ფრთა, კოსტავას საზოგადოება და ყოფილი რესპუბლიკელები. რუსთავის ორგანიზაციის თავმჯდომარის პოსტზე მხოლოდ ერთი კანდიდატი ჰყავთ - პარლამენტარი გიორგი ხევიაშვილი, რომელიც ანტიმამალაძისტური ლოზუნგის ერთ-ერთ "მამად" ითვლება.

გიორგი ხევიაშვილის თქმით, დღევანდელ ღონისძიებაზე რუსთაველ "ნაციონალებს" ახალი ლოზუნგები არ ექნებათ, თუმცა, შეხვედრა სიურპრიზის გარეშე მაინც არ ჩაივლის.

## ჟორბენაძე ქართველ ებრაელთა კონგრესს დაესწრო

გუშინ იერუსალიმის ბინიანეი ჰაუმას საკონცერტო დარბაზში ქართველ ებრაელთა მსოფლიო კონგრესი გაიმართა, რომელსაც დაესწრო ისრაელში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე და ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი.

მანამდე ავთანდილ ჯორბენაძე ისრაელის საქმიანი წრეების წარმომადგენლებს შეხვდა და, საქართველოს მთავრობის სახელით, ყოველგვარი დახმარება აღუთქვა, თუ კი ისინი ბიზნესს საქართველოშიც აწარმოებენ. ჩვენ უზრუნველვყოფთ თქვენი ინვესტიციების მყარ გარანტიებსო, - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა.

ავთანდილ ჯორბენაძემ ისრაელის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსიც დაათვალიერა და განაცხადა, რომ საქართველო-ისრაელის თანამშრომლობა სამხედრო სფეროშიც პერსპექტიულია. ამასთან დაკავშირებით კონცერნის წარმომადგენლები მან საქართველოში მოიწვია. სამხედრო თანამშრომლობით ისრაელის მხარეც დაინტერესდა.

დღეს ავთანდილ ჯორბენაძე ისრაელიდან თურქეთში გაფრინდება, სადაც შეხვდება თურქეთის ენერგეტიკისა და ტრანსპორტის მინისტრებს, პრემიერ-მინისტრს და პრეზიდენტს.

**"24 საათი"**

## მოკლედ

**თბილისი.** ოთხშაბათს დაგეგმილი საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელზეც აფხაზეთის საკითხი უნდა განხილულიყო, მეორედ გადაიდო. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** უკრაინის თავდაცვის მინისტრის ვლადიმერ შკიდჩენკოს ვიზიტი თბილისში იანვრის ბოლოს შედგება. უკრაინის თავდაცვის მინისტრმა ადრე უკვე რამდენჯერმე გადადო თავისი ვიზიტი საქართველოში. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური ორგანიზაცია "გაერთიანებული დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტარი მიხეილ მაჭავარიანი "უაზროს" უწოდებს საარჩევნო კოდექსში დაფიქსირებულ გარდამავალ მუხლს, რომლის თანახმად ქვეყნის პარლამენტში აფხაზეთის დეპუტაციის შემადგენლობა არ შეიცვლება აფხაზეთის პრობლემის სრულმასშტაბიან დარეგულირებამდე და იქ ახალი არჩევნების ჩატარებამდე. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თავდაცვის ყოფილი მინისტრი, პარლამენტარი გიორგი ყარყარაშვილი აცხადებს, რომ საქართველო დღეისთვის მზად არ არის ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონიდან რუსი მშვიდობისმყოფელების გაყვანისათვის. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცხინვალიდან ჩრდილოეთით, სოფელ დოდოთში დაფიქსირებულია მძიმე ტექნიკა, მათ შორის ოთხი ტანკი, 17 ქვეითი ჯავშანმანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი ოსური მხარე ამ ფაქტს შერეული სამშვიდობო ძალების რუსეთის სამშვიდობო ბატალიონის როტაციით ხნის **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ჭიათურის რაიონის სოფელ ხრეითში 10 ოჯახი დამეწყვრის საშიშროების წინაშე იმყოფება. ძლიერი წვიმების შედეგად სახიფათო ზონაში მყოფ 10 ოჯახს მეწყრული წარმონაქმნები 30 მეტრის მანძილზე მიუახლოვდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტის რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში თემურ მოსიაშვილი რეგიონში წინასაარჩევნო პერიოდში გარკვეული სახის პროვოკაციებს არ გამორიცხავს. როგორც მან პრაიმ-ნიუსს განუცხადა, რეგიონში გარკვეული სახის დესტაბილიზაციის შექმნაზე სერიოზულად მუშაობენ ქვეყნის გარეთ მოქმედი ძალები, პირველ რიგში კი რუსეთის სპეცსამსახურები. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სომხეთის "ეროვნული ერთობის" პარტიის ლიდერი, ამ ქვეყნის პრეზიდენტობის კანდიდატი ართაშეს გეგამიანი აუცილებლად მიიჩნევს საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის გახსნას. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** როგორც პრაიმ-ნიუსს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში აცნობეს, შეზღუდვები დღის 11 საათიდან საღამოს 18 საათამდე დაწესდა, რა დროსაც დედაქალაქი საჭირო 350 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიის ნაცვლად 180 მეგავატ ელექტროენერგიას მიიღებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარის გუბერნატორი ალექსანდრ ტკაჩოვი ოთხშაბათს მიესალმა სოჭსა და სოხუმს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას. როგორც გუბერნატორმა ჟურნალისტებს განუცხადა, ეს დიდი ხნის ნანატრი ელექტრომატარებელია კრასნოდარის მხარის მაცხოვრებლებისათვის. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ერევანი.** სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ვარდან ოსკანიანი აცხადებს, რომ ერაყის წინააღმდეგ ომს შესაძლოა სერიოზული შედეგები მოყვეს სამხრეთ კავკასიის რეგიონისა და სომხეთის საგარეო პოლიტიკისათვის, იტყობინება პრაიმ-ნიუსის კორესპონდენტი ერევნიდან. **პრაიმ-ნიუსი**

# ხელისუფლების ჩემოდანი ცარიელია

გიორგი ასანიშვილი

*"გაერთიანებული დემოკრატები" აღშფოთებას ვერ მალავენ აფხაზეთის მიმართ რუსეთის აგრესიული პოლიტიკის გამო და აცხადებენ, რომ თუ სიტუაცია რადიკალურად არ შეიცვლება, ახლო მომავალში აუცილებლად მოხდება კატასტროფა - აფხაზეთი საბოლოოდ ჩამოსცილდება საქართველოს. ზურაბ ჟვანიასა და მის თანაპარტიელებს, ოფიციალური მოსკოვის ქმედებებზე მეტად, საქართველოს მთავრობის უმოქმედობა აღიზიანებთ. "დემოკრატები" განგაშს ტეხენ იმის გამო, რომ რუსეთის მიერ აფხაზეთის ანექსიის მცდელობას შევარდნაძის ხელისუფლება მოუმზადებელი შეხვდა და არსენალში არანაირი კონტრზომები არ გააჩნია. "არ დაიჯეროთ, თითქოს კანცელარიაში არსებობს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების რაღაც ზესაიდუმლო გეგმები და ხელისუფლება მათ გადამწყვეტი მომენტისთვის ინახავს. გარწმუნებთ, რომ ის ჩემოდანი, რომელშიც ასეთი გეგმები უნდა ეწყოს, აბსოლუტურად ცარიელია. რომ გადმობრუნდე, იქიდან ერთი ფურცელიც კი არ გადმოვარდება. ეს თითქოს წარმოუდგენელია, მაგრამ სამწუხაროდ, მწარე სინამდვილეა", - აღნიშნა ზურაბ ჟვანიამ "გაერთიანებული დემოკრატების" დარბაზის სხდომაზე.*

"დემოკრატები" საქართველოს ხელისუფლებისგან ითხოვენ, რომ ეყოს გამბედაობა და აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს ნამდვილი სახელი დაარქვას. ზურაბ ჟვანიასა და მისი თანაგუნდელებისთვის მიუღებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს პრეზიდენტი რეალურ შეფასებებს თავს არიდებს და



"ჩვენ მოვითხოვთ, ბოლოდროინდელი მოვლენები ხელისუფლებამ შეაფასოს, როგორც საქართველოს ტერიტორიის ანექსია

ცდილობს, რუსეთის ხელისუფალთ ნამუსი მოწმინდოს.

**"ჩვენს ნაცვლად ფრანგი ან ამერიკელი არ ეტყვის რუსეთის ხელმძღვანელობას იმას, რაც სათქმელია,"** - აცხადებს ჟვანია. მისი აზრით, თუ საქართველოს ხელისუფლება ხმამაღლა დააფიქსირებს, რომ რუსეთი ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ღია ფორმით ახორციელებს ანექსიას, ამით ამოქმედდება სერიოზული ბერკეტები და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა უკვე კონკრეტულ ფორმას შეიძენს.

"გაერთიანებული დემოკრატების" დარბაზის წევრი, რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკას "იმპოტენტურს" უწოდებს და ქვეყნის "მამებისგან" ითხოვს, ღიად თქვან, რა გეგმები აქვთ და როგორ ესახებათ ჩიხური მდგომარეობიდან გამოსავალი. დარბაზის მეორე წევრი, პარლამენტარი ვასილ მაღლაფერიძე კი ხელისუფლების რაიმე გეგმებზე და პროგრამებზე საუბარს, საერთოდ, სასაცილოდ მიიჩნევს, რადგან **"მსგავსი რამ ბუნებაში არ არასებობს".**

**"ვინაიდან ხელისუფლებას არ გააჩნია აფხაზეთის პრობლემის დარეგულირების კონკრეტული გეგმა და ის ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდება, ამიტომ, ასეთი გეგმა თავად საზოგადოებამ, მთელმა ქვეყანამ ერთად უნდა შეიმუშაოს,"** - წინადადებას იძლევა მაღლაფერიძე.

აფხაზეთის საკითხში საქართველოს ხელისუფლების უნიათობასა და არათანამიმდევრულობაზე საუბრობს პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელიც. იგი, თავისი ნათქვამის საილუსტრაციოდ, იმ ფაქტსაც ასახელებს, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგებაზე, პარალელურად, რამდენიმე პიროვნება მუშაობს: ასლან აბაშიძე, მალხაზ კაკაბაძე და თამაზ ნადარეიშვილი. მათი ქმედებები და გადაწყვეტილებები კი, როგორც წესი, ერთმანეთთან შეუთანხმებელი და, აქედან გამომდინარე, ურთიერთგამომრიცხავია.

გიგი წერეთლის აზრით, აფხაზეთში სავარაუდო კრახმა, შესაძლოა, უფრო დიდი საფრთხეც წარმოშვას. **"რუსეთის მიერ აფხაზეთის ანექსიას მოჰყვება დაძაბულობის გაზრდა საქართველოს ზოგიერთ სხვა რეგიონში, რაც, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობას,"** - დასძენს პარლამენტის ვიცე-სპიკერი.

როდესაც უცნობია, თუ საიდან მომდინარეობს და რას ემყარება საქართველოს ხელისუფლების "აფხაზური პოლიტიკა", ასეთი მდგომარეობა, თავისთავად, უკვე სერიოზული ეჭვების საფუძველი ხდება. სწორედ ასეთ ეჭვს ახმოვანებს "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერი ზურაბ ჟვანია, როდესაც აცხადებს: **"რუსეთის მიმართ უამრავი დათმობის ფასი, შესაძლოა, მხოლოდ ის არის, რომ ხელისუფლებას უნდა, კიდევ ერთი ზამთარი როგორმე, ვაი-ვაგლახით გადააგოროს".**

აფხაზეთის საკითხში ბურუსი და გაურკვევლობა ჟვანიას იმასაც აფიქრებინებს, რომ აფხაზეთში ახალი ავანტიურა იგეგმება. **"მე, ჭაღარა კაცი შეგიძლევებით აფხაზეთში, იტყვის შევარდნაძე და ძნელი მისახვედრი არ არის, რა მოჰყვება ამას - დაძაბულობის ესკალაცია, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, საპარლამენტო არჩევნების გადადება..."** - მეტად მუქ ფერებში ხედავს მომავალს პარლამენტის ექს-სპიკერი.

**"ჩვენ მოვითხოვთ, ბოლოდროინდელი მოვლენები ხელისუფლებამ შეაფასოს, როგორც საქართველოს ტერიტორიის ანექსია და იმოქმედოს აქედან გამომდინარე ყველა შედეგის მიხედვით,"** - ნათქვამია აფხაზეთში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით "გაერთიანებული დემოკრატების" დარბაზის მიერ გაკეთებულ განცხადებაში.

# რუსეთზე დიდი საფრთხე საქართველოს ხელისუფლებაა

პირველი გვერდიდან

მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა ერთსულოვნად აღიარეს რუსეთი აგრესორად, მაგრამ რუსეთზე დიდ საფრთხედ გუშინ სწორედ საქართველოს "ანტიეროვნული ხელისუფლება" გამოცხადდა, რომელსაც არა აქვს კეთილი ნება აფხაზეთის მტკივნეული საკითხი ქვეყნის სასარგებლოდ გადაწყვიტოს.

**"პარლამენტმა ხელისუფლებას ოფიციალურად მოსთხოვა რუსეთის ჯარების გაყვანა და დსთ-დან გამოსვლა... რაც უკვე მიღებული აქვს პარლამენტს იმაზე მეტს ვერ მიიღებს, მაგრამ არაფერი არ სრულდება, ალბათ მიხვდებით, რატომაც..."** – შეახსენა კოლეგებს სახალხოელმა ვანო ხუხუნეიშვილმა.

არადა, ხელისუფლებისა და მისი "არარსებული კეთილი ნების" გარეშე აფხაზეთის პრობლემის მოგვარება გუშინდელი შეხვედრის მონაწილეებს აუხდენელ სიზმრად ეჩვენებათ.

მაშინ, რა საჭიროა აფხაზეთის თემისადმი მიძღვნილი ეს გაუთავებელი საქმიანი თავყრილობები? **"ჩვენ ერის ნება, განწყობა უნდა გამოვხატოთ, ხელისუფლებაზე ზეწოლის მექანიზმები უნდა ვეძებოთ,"** – გაიჟღერა გუშინდელ შეხვედრაზე.

ერთ-ერთ ასეთ მექანიზმად გუშინ ფართომასშტაბიანი აქციები და მიტინგები დასახელდა.

**"ოპოზიციამ უნდა შეიმუშაოს სამ-ოთხგვერდიანი კონცეფცია, რომელიც აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას შეეხება. თუ ხელისუფლება მას არ გაითვალისწინებს, უნდა ჩატარდეს ფართომასშტაბიანი აქციები ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით,"** – ამბობს "ტრადიციონალისტი" თედო პაატაშვილი.

# აფხაზეთიდან დევნილთა პროტესტი მძაფრდება

პირველი გვერდიდან

**"აქცია გაგრძელდება მანამ, სანამ არ შესრულდება ჩვენი მოთხოვნები,"** - განაცხადა ჯანელიძემ. ასეთივე აქცია პარალელურად იმართება ქუთაისში, გაიმართება საქართველოს სხვა ქალაქებშიც - ფოთში, წყალტუბოში, ბორჯომში და ყველგან, სადაც განსახლებულია დევნილი მოსახლეობა.

აქციის მონაწილეების მხარდასაჭერად რუსთაველის გამზირზე "სახალხო ფრონტის" ლიდერი ნოდარ ნათაძეც იმყოფებოდა. მისი განცხადებით, რუსეთის მიერ აფხაზეთის მოსახლეობისთვის პასპორტების დარიგება **"იურიდიულად უსაფუძვლოა, მაგრამ რუსეთს საქართველოს პრეზიდენტის იმედი აქვს."**

პარლამენტის შენობასთან სიტუაცია მაშინ გამწვავდა, როდესაც მომიტინგეებმა სცადეს, რუსეთის სელჩოსთან გაშლილი კარავი პარლამენტის შენობის წინ დაედგათ. როგორც ყოველთვის, მყისვე გამოჩნდა მღებრიშვილი, თავისი რაზმით და გაიმართა ხელჩართული ბრძოლა მომიტინგეებსა და სპეცრაზმელებს შორის. შეტაკება მღებრიშვილის რაზმის გამარჯვებით დასრულდა, მომიტინგეებმა კარავი ვერ გაშალეს.

მიუხედავად იმისა, რომ "გაერთიანებული დემოკრატების" გარდა არც ერთი პარტიის დროშები არ ჩანდა, მომიტინგეები აცხადებდნენ, რომ მათ მხარს უჭერს ყველა ოპოზიციური ძალა.

რუსთაველის გამზირზე დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია, როდესაც გაგრიდან დევნილმა გიორგი ლოლუამ თვითმკვლელობის მიზნით ბენზინი გადაისხა და ცეცხლი მოიკიდა. ერთ-ერთი თვითმხილველის თქმით, ვიდრე ცეცხლს მოიკიდებდა, ლოლუამ განაცხადა, რომ მას აღარ სურს ამ ქვეყანაში და ამ ხალხთან ცხოვრება. გარშემომყოფებმა ალი სწრაფად ჩააქრეს და ლოლუა "იმელის" შენობაში გადაიყვანეს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ლოლუას ჰყავს მეუღლე და სამი შვილი; დედა, მამა და ძმა აფხაზეთში არიან დაკრძალულები.

აქცია დაახლოებით ექვსი საათისთვის დაიშალა და რუსთაველის გამზირზე მხოლოდ ის მომიტინგეები დარჩნენ, რომლებიც უკვე რამდენიმე თვეა, "ამშვენებენ" პარლამენტის ფასადს.

# „შესაძლოა, არჩევნების წინ ხელისუფლებამ რეპრესიებს მიმართოს"

ვერიკო თევზაძე

***"პრეზიდენტი და მისი უმრავლესობა აქტიურად ემზადებიან არჩევნებისთვის. ისინი ყოველმხრივ ცდილობენ, არ დაუშვან სიტყვის თავისუფლება, შეკრებების თავისუფლება."*** *- ოპოზიცია შიშს გამოხატავს, რომ შესაძლოა, ხელისუფლებამ არჩევნების წინ მის მიმართ რეპრესიები გაატაროს. მესამე სექტორის წარმომადგენლების და ზოგიერთი პოლიტიკოსის აზრით, ხელისუფლებას დიდი შანსი აქვს, განსხვავებული აზრი ჩაახშოს "შეკრებების და მანიფესტაციების შესახებ" კანონის გამოყენებით, რომელიც ანტიკონსტიტუციურია და მოქალაქეებს არაკანონიერ შეზღუდვებს უწესებს. არაოფიციალური მონაცემებით, გენპროკურატურაში, ამ კანონის წყალობით, ოთხი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ოფიციალურად მხოლოდ ერთი მათგანია ცნობილი. საქმესთან დაკავშირებით დაიკითხნენ პარლამენტარები კობა დავითაშვილი და ზაქარია ქუცნაშვილი.*

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანა კანონის არაკონსტიტუციურობის გამო. ოპოზიციის შეფასებით, სასამართლომ არაკანონიერი გადაწყვეტილება მიიღო. მან უცვლელი დატოვა სამი ძირითადი სადავო მუხლი.

პარლამენტარ კობა დავითაშვილის განმარტებით, **"შეკრებების და მანიფესტაციის შესახებ" კანონი თავიდანვე რეგრესული იყო. კანონი კიდევ უფრო დამძიმდა მასში შემდგომი ცვლილებების შეტანით."**

ოპოზიციის აღშფოთებას იწვევს კანონის მე-14 მუხლი, რომლის მიხედვითაც: **"ადგილობრივი მმართველობის ორგანო უფლებამოსილია არ დაუშვას შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება, თუ არსებობს პოლიციის მიერ შემოწმებული აშკარა მონაცემები, რომელთა შესაბამისად, შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების შემდეგ უშუალო საფრთხე ემუქრება**



ლევან ხერხეულიძის ფოტო

მესამე სექტორი კონსტიტუციისა და მოქალაქეთა უფლებების სადარაჯოზე

**კონსტიტუციურ წყობილებას, მოქალაქეთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას."**

**"მანიფესტაციის და შეკრების წინასწარ აკრძალვა დაუშვებელია. თუკი მანიფესტაცია ან შეკრება კანონსაწინააღმდეგო ხასიათს მიიღებს, ამის გამო კონკრეტული პიროვნება უნდა დაისაჯოს და არა ადამიანთა ჯგუფი, ვინაიდან არ არსებობს კოლექტიური პასუხისმგებლობა. ასევე შეკრებების წინასწარ აკძალვას ამკვიდრებს კანონის მეცხრე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს ადგილებს, სადაც შეიძლება მიტინგების და მანიფესტაციების ჩატარება. საქართველოს კონსტიტუცია არ ცნობს თვითმმართველობის ისეთ უფლებამოსილებას, როგორც არის შეკრების ადგილის წინასწარ განსაზღვრა",** - ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლის გიორგი ჩხეიძის აზრით, ასევე არაკონსტიტუციურია კანონის მოთხოვნა, წინასწარ გაცხადდეს შეკრების ან მანიფესტაციის მიზანი.

კობა დავითაშვილის განცხადებით, **"გამოთქმები "სანქცირებული და არასანქცირებული მიტინგი" აბსურდულია, რადგან კონსტიტუციის 25-ე მუხლი აღიარებს შეკრებების და მანიფესტაციების თავისუფლებას. ამ თავისუფლებით სარგებლობს ყველა და არ შეიძლება, ეს უფლება შეიზღუდოს ნებართვის მიღების ვალდებულებით. დღეს რა ხდება? ხელისუფლება ცდილობს, დანერგოს არაკონსტიტუციური პრაქტიკა, რომ მის ნებაზე იყოს დამოკიდებული შეკრებების ჩატარება. არაკონსტიტუციური კანონის მოშველიებით აღიძრა სისხლის სამართლის რამდენიმე საქმე. ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით მეც დამკითხეს. ასე რომ, ოპოზიცია იქცა მსხვერპლად, ხელისუფლების მიერ კონსტიტუციის დარღვევის გამო. ყველასთვის ცხადია, რომ პრეზიდენტი და მისი უმრავლესობა აქტიურად ემზადებიან არჩევნებისთვის. ისინი ყოველმხრივ ცდილობენ, სიტყვისა და შეკრებების თავისუფლება არ დაუშვან".**

ოპოზიცია პარლამენტის იურიდიულ კომიტეტს სთავაზობს კანონში შესატანი ცვლილებების ვარიანტს, რამაც უნდა უზრუნველყოს კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობა.

"24 საათი" დაუკავშირდა ელენე თევდორაძეს, რომელიც ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც 1997 წელს "შეკრებების და მანიფესტაციების შესახებ" კანონს მისცა ხმა. დღეს ქალბატონი თევდორაძე ოპოზიციის მხარეზეა. **"მაშინ ძალიან ვჩქარობდით. ევროსაბჭოს შეფასებით, ეს წინწადგმული ნაბიჯი იყო. თუ საქართველოს პარლამენტი შეცდა, ევროსაბჭოს მაინც უნდა გაემახვილებინა ყურადღება კანონის არაკონსტიტუციურობაზე. რაც იყო - იყო... დღეს მთავარია, არსებობდეს ნება კანონის შეცვლისა."**

მესამე სექტორის წარმომადგენელი გიგა ბოკერია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას "ბიუროკრატიულს" უწოდებს და მოქალაქეებს მოუწოდებს, ასეთი გადაწყვეტილების პირობებშიც კი, შანსი არ გაუშვან ხელიდან და აქტიურად გამოიყენონ კონსტიტუციით მინიჭებული უფლებები.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი გიორგი ჩხაიძე ყველა იმ კონკრეტულ პიროვნებას თუ მოქალაქეთა ჯგუფს, რომელთა წინააღმდეგ უკანონოდ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, დახმარებას ჰპირდება, რათა მათ ევროსასამართლოს მიმართონ და თავიანთი კონსტიტუციური უფლებები ამ გზით დაიცვან.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# ელდარ შენგელაია: „რუსეთის პარლამენტიდან კარგ ხასიათზე არასოდეს გავსულვარ"

პირველი გვერდიდან

მკითხველს შევახსენებ, რომ ორი ქვეყნის ეკონომიკური კომისიის მორიგი სხდომა მოსკოვში გასულ წელს გაიმართა და მას სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე ხელმძღვანელობდა. დელეგაციის შემადგენლობაში კი საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი და საქართველოს სხვადასხვა უწყებების მინისტრებიც იყვნენ. სწორედ ამ სხდომაზე გაფორმდა ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ვრცელი ოქმი. ახლა ძნელი სათქმელია, იყო თუ არა ჩადებული ამ ოქმში შენელებული მოქმედების ნაღმი, რომელიც ადლერი-სოხუმის ელექტრომატარებლის გაშვებით აფეთქდა.

თავად ბორის პასტუხოვმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა:

**- არ ვიცოდი, რომ აფხაზეთთან სარკინიგზო მიმოსვლა აღდგა. მე ვარ საქართველო-რუსეთს შორის ჩარჩო ხელშეკრულების გაფორმების სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე. თუ საქართველოში თვალყურს ადევნებდით, არსებობს მეორე სახელმწიფო კომისიაც, რომელიც ეკონომიკურ საკითხებს აგვარებს და მას რუსეთის მხრიდან ილია კლებანოვი ხელმძღვანელობს. წადით კლებანოვის კაბინეტში და მას დაუსვით ეს შეკითხვები.**

"24 საათი" : - შეუძლია თუ არა მოსკოვს დღეს აფხაზეთთან სარკინიგზო მიმოსვლის შეწყვეტა?

**- მოსკოვს ბევრი რამ შეუძლია, თქვენ კი დაციკლულნი იმით ხართ, რომ ვესიოლოედან სულ ორჯერ გავიდა ელექტრომატარებელი და რაღაც 150 კაცი გადაიყვანა. თქვენ გინდათ, რომ ამ მატარებელმა არ იაროს, დავსხდეთ მაშინ და გავარჩიოთ სარკინიგზო მოძრაობასთან დაკავშირებული პრობლემები, რასაც სახელმწიფოთაშორის დონეებზე გადაწყვეტა სჭირდება.**

ასე "გაფანტა" რუსულმა მხარემ ერთი შეხედვით მოჯადოებული "სარკინიგზო წრე". თუმცა პასტუხოვთან ბურჯანაძის სკანდალურ შეხვედრას წინ უძღოდა რუსეთის პარლამენტის სპიკერ გენადი სელეზნიოვთან მისი ვიზიტი.

ეს ისტორიული დღე კი ასე დაიწყო.

ოთხშაბათი, 22 იანვარი რუსეთის პარლამენტში პლენარული სხდომის დღე იყო და ამიტომაც ქართული დელეგაცია სელეზნიოვმა უთენია მიიწვია. დილის ცხრის ნახევარზე სელეზნიოვის კაბინეტი პირთამდე აივსო ორივე მხარის წარმომადგენლებითა და ჟურნალისტებით. სპიკერმა ოცი წუთი დააგვიანა. ნინო ბურჯანაძემ მის კაბინეტში გასაგები უხერხულობა იგრძნო - ეს უხერხულობა უმალ სახეზე დაეწერა ჩვენი დელეგაციის უკლებლივ ყველა წევრს. დუმის ვიცე-სპიკერი ვლადიმირ ლუკინი ასევე უხერხულად იშმუშნებოდა და ამ უხერხული მოლოდინის შესამსუბუქებლად გახუმრებაც სცადა: ნეტავ დროზე მოვიდეს, თორემ ქართველები მორიგ პროვოკაციას დაგვაბრალებენო. სელეზნიოვი, როგორც იყო, გამოჩნდა და ამ დღის პირველი მძიმე შეხვედრაც დაიწყო.



საქართველოს დელეგაციას მოსკოვში მძიმე მოლაპარაკებები აქვს.

**გენადი სელეზნიოვი: "კარგია, რომ საუბარი ერთი-ერთზე გვიწევს და არა პრესის საშუალებით. კარგია, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობები ვითარდება, მაგრამ არის მთელი რიგი ეპიზოდები, რაც ხელს გვიშლის და საშუალებას არ გვაძლევს ხელსაყრელი კომპრომისების მოსაძებნად. არა ბოლომდე, მაგრამ რაღაც გარდამტეხ შეთანხმებებს მივაღწიეთ, მაგალითად, ტერორისტების რუსეთისათვის გადმოცემაში. ამ მხრივ საერთო ენა მოვნახეთ, ამჯერად ველოდებით დანარჩენი ბანდიტების გადმოცემას. მოულოდნელი იყო შევარდნაძის განცხადება კონფლიქტის ზონიდან სამშვიდობო კონტინგენტის გასვლაზე. ეს ნიშნავს საკუთარი თავიდან პასუხისმგებლობის მოხსნას. გასაგებია, რომ მათ გარეშე გაერო-ს ვერც ერთი დამკვირვებელი კონფლიქტის ზონაში ვერ დარჩება და ვერ იმუშავებს. დუმა-ს უკანასკნელ დროს სპეციალური განცხადებები საქართველოსთან მიმართებაში არ გაუკეთებია. ახლა საერთო გადაწყვეტილებები უნდა მივიღოთ."**

სელეზნიოვთან ტრადიციული ჩაის სმისა და ხანმოკლე საქმიანი შეხვედრის შემდეგ პრესისათვის განცხადებებს არავინ აკეთებს. ქართველ პარლამენტარებს უკვე ეტყობათ აშკარა იმედგაცრუება, მაგრამ რამდენიმე მათგანი მაინც აღნიშნავს, რომ ასეთ შეხვედრასაც ჰქონდა შედეგი, **"თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი პოზიცია დავაფიქსირეთ".**

ამის შემდეგ იწყება ყველაზე მწვავე და დრამატული შეხვედრა რუსეთის პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გენერალ ანდრეი ნიკოლაევთან. შეხვედრას დსთ-ს საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ბორის პასტუხოვიც ესწრება. ეს შეხვედრაც დახურულ კარს მიღმა ტარდება. ჟურნალისტებთან გამოსული ანდრეი ნიკოლაევი და ნინო ბურჯანაძე შემდეგ განცხადებებს აკეთებენ.

ანდრეი ნიკოლაევი: **"დავსვით სამხედრო თანამშრომლობის საკითხები, რაც დეტალურად სამხედრო ხასიათის მოლაპარაკებების საფუძველზე უნდა გაირჩეს. ჩვენი პოზიციები ერთმანეთს დაშორებულია, მაგრამ ვთვლით, რომ წინააღმდეგობების გადალახვა შეიძლება სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის გაგრძელებასა და ასევე კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო მანდატის გაგრძელებაზე. ეს საკითხები რუსეთ-საქართველოს ჩარჩო ხელშეკრულების ფარგლებში უნდა გადაწყდეს. მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი დღეს არსებული პრობლემების გადაჭრა. ამ პრობლემებს კი პოლიტიკური ბაზა აქვთ. ეს საკითხები პოლიტიკოსებმა და ექსპერტებმა უფრო ეფექტურად უნდა დაამუშაონ."**

ნინო ბურჯანაძე: **"ძირითადი პრობლემური საკითხები გაურკვეველი რჩება. ის საკითხები, რაც გენერალ ნიკოლაევის წინაშე დავსვით - ელექტრომატარებლის გაშვება, აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეობის მიღება და სხვ. - იქიდან გაჩნდა, რომ ჩვენ დღემდე ვერ გადაგვიწყვეტია, გლობალურად როგორ უნდა განვავითაროთ საქართველო-რუსეთის ურთიერთობები. თუ ვთვლით, რომ ეს დაძაბული ურთიერთობები ნორმალურია, მაშინ გასაგებია, საიდანაც გაჩნდა ელექტრომატარებელი. თუ ვთვლით, რომ ჩვენი ურთიერთობები ურთიერთპატივისცემისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე უნდა გაირჩეს, მაშინ პრობლემებიც გაირკვევა."**

ქართველი და რუსი პარლამენტარების მძიმე დიალოგი ბორის პასტუხოვის კაბინეტში გრძელდება, საიდანაც სულ მალე აცახცახებული და ისტერიკაში ჩავარდნილი ადა მარშანია გამორბის, სიგარეტს უკიდებს, არ გადამიღოთო, ითხოვს და თვალს ეფარება. მას ჟურნალისტები მისდევენ. მარშანია ჰყვება, რომ პასტუხოვი უსინდისოდ იქცევა, იცოდებს რა ზურგზე კურტანმოკიდეულ ბაბუშკებს, მატარებელს რომ მიჰყვებიან. მარშანია ტირის და თავის დემარშს გამართლებულსა და დემონსტრაციულს უწოდებს. პასტუხოვის კაბინეტში იგი აღარ ბრუნდება. ამ შეხვედრიდან ქართული დეპუტაცია განბილებული გამოდის. არავის სურს ჟურნალისტებთან საუბარი და სწრაფი ნაბიჯით ტოვებენ დსთ-ს საქმეთა კომიტეტის სართულს, სადაც ჟურნალისტების ალყაში წონასწორობადაკარგული პასტუხოვი რჩება. პასტუხოვი თანდათან იქოქება და რუსული მხარის უსამართლობით აღშფოთებულ რუს ჟურნალისტებსაც უტევს. მე თქვენ არ გელაპარაკებითო, უხეშად კიცხავს "ინტერფაქსის" რუს კორესპონდენტს და ქართველ ჟურნალისტებს გაცხარებული ეუბნება:

**-ჩვენს შორის არსებულ გამაღიზიანებელ ფაქტორებს მოხერხებულად იყენებენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დარეგულირებაში დაუინტერესებელი პირები. ამიტომ ვრჩებით ასეთი მოულოდნელობების წინაშე და ყველაფერს თავიდან ვიწყებთ. რაც შეეხება რკინიგზას, დიდი ხანია ქართველ კოლეგებს ვეუბნებით, რომ რუსეთ-საქართველოს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის ვარიანტების მოძებნაა საჭირო. იყო ამ ამოცანის გადაჭრის ვარიანტები. შესაბამისი დოკუმენტებიც გაფორმდა, რასაც შემდეგ ემატებოდა თბილისის დამატებითი მოთხოვნები, რაც რუსული მხარისათვის მიუღებელი იყო. შედეგად მივიღეთ ის, რაც მივიღეთ: კომერციულმა სტრუქტურებმა მოილაპარაკეს, თბილისთან სათანადოდ არ შეათანხმეს და ამან მიგვიყვანა ასეთ ქარიშხლამდე. ახლა ეს საკითხი სახელმწიფო დონეზე უნდა გაირკვეს.**

"24 საათი": - კომერციული სტრუქტურის გადაწყვეტილება ახლა სახელმწიფო დონეზე უნდა გაირკვეს?

**- თქვენ ხომ მაინც რუსეთში მუშაობთ და კარგად უნდა იცოდეთ, რომ რუსეთში საბაზრო ურთიერთობებს არსებული კანონმდებლობით ვერავინ ეხება. კომერციული სტრუქტურა თუ არასწორად იქცევა, იგი შეიძლება გაიკიცხოს ადგილობრივი წესებით. იგი უნდა გაკიცხოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ. ამ შემთხვევაში კი ადგილობრივმა კომერციულმა სტრუქტურამ დაუშვა არასწორი ქმედება, როცა მან თავისი გადაწყვეტილება სათანადოდ არ შეათანხმა.**

პასტუხოვს ჟურნალისტები ეკითხებიან, რა აზრისაა კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო მანდატის გაგრძელებაზე?

**- კი ბატონო, უთხარით რუს ჯარისკაცებს, რომ მადლობა ღმერთს, დასრულდა თქვენი უმადური მისია, რაზედაც საქართველოს, დიდი ხანია, მადლობა აღარ უთქვამს. ისინი წავლენ, მაგრამ ვინ დახვრეპს მერე ამ სისხლიან ფაფას, ეს თქვენ თვითონ გაარკვიეთ.**

პასტუხოვის კომიტეტში "მოხარშულ ფაფას" მარილს ამატებს რუსეთის სათათბიროს ვიცე-სპიკერი ლუბოვ სლისკა:

**- ზედმეტად ემოციურად იყო ყველა განწყობილი. მოვილაპარაკეთ ერთობლივი კომისიის შექმნაზე პოლიტიკოსების დასახმარებლად. დიდხანს არ შეიძლება ასე ურთიერთსაყვედურების პირობებში ცხოვრება. კარგია, რომ ბურჯანაძესთან დიალოგი დაწყებულია. დარჩა მტკივნეული საკითხები. ვფიქრობ, გაუგებრობები არ შეგვექმნება, თუკი პრობლემებს ცივილიზებულად გადავჭრით.**

კულუარებში, პასტუხოვის კომიტეტის ექსპერტები აღნიშნავდნენ გასულ წლებთან შედარებით ქართული პოლიტიკური ელიტის მზარდ დონეს. სამწუხაროა ის, რომ ქართული პოლიტიკური სპექტრის მომზადების დონის ზრდასთან ერთად გაუგებრობების უფსკრულიც თვალსა და ხელს შუა გაზრდილა.

ამაზე ამახვილებენ ყურადღებას ქართული დელეგაციის წევრებიც. მაგალითად, არჩილ გოგელია თვლის, რომ **"რუსეთს დღეს ხელში უჭირავს ძალისმიერი და სხვა რამ კოზირებიც".**

ჩვენი გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში **ელდარ შენგელაია** ამბობს:

**- დიდი ხანია, ამ პროცესში ვმონაწილეობ და არასოდეს ყოფილა ისეთი მომენტი, რუსეთის პარლამენტიდან კარგ ხასიათზე გავსულიყავი. არც დღევანდელი სიტუაციაა გამონაკლისი. რთული ვითარებაა მოლაპარაკებებზე, მაგრამ მე მაინც ვხედავ იმის საფუძველს, რომ უფრო აქტიურად უნდა ვიმუშაოთ ჩვენს რუს პარტნიორებთან. უნდა ჩავეჭიდოთ მათთან კონტაქტებს, არ უნდა მოვწყდეთ რუსეთის პოლიტიკურ სივრცეს. ხვალვე უნდა დავსხდეთ და მოსკოვთან ურთიერთობის გეგმა შევადგინოთ. კომპრომისებზე ლაპარაკიც არ იყო. საუბარია ერთობლივი ჯგუფების შექმნაზე. მოდით, სიმართლე ვთქვათ, რომ რუსეთთან ჩვენ პასიურები ვართ.**

საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში არსებული დაძაბულობის ამ ეტაპზე ქართული დელეგაცია მოსკოვში ყოფნისას თანხმობას აცხადებს ახალი სამუშაო ჯგუფების შექმნაზე. რუსეთის პარლამენტის ექსპერტთა აზრით, დღემდე დარეგულირებაში არსებულ ხარვეზებს განაპირობებდა პოლიტიკური ნების არქონა. მოსკოვში ურთიერთკრიტიკის მოსმენის ახლებურ ეტაპზე რატომღაც ორივე მხარე აკეთებს ერთ პრინციპულ და საგულისხმო დასკვნას, რასაც ნინო ბურჯანაძე ახმოვანებს: მხარეებმა გლობალურად უნდა გადაწყვიტონ, თუ რა გზით წარიმართება დღეიდან ორი ქვეყნის ურთიერთობა.

მოსკოვში დაძაბული შეხვედრების მესამე დღეს გამოიკვეთა, რომ გლობალური საკითხების გადაჭრას მხოლოდ უმაღლესი ხელისუფლების აქტიურობა სჭირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღეს ედუარდ შევარდნაძისა და ვლადიმირ პუტინის პაექრობის ჯერი დგება. ამისათვის მოსკოვში საფუძველი უკვე მომზადებულია.

# როცა ასეთი სუსტი და უსუსური ხარ, როგორ შეიძლება, ანგარიში გაგიწიოს ვინმემ

პირველი გვერდიდან

იქაური რეჟიმის მიმართ დამოკიდებულება თანდათან იცვლება, ამიტომ აფხაზეთის ხელისუფლება ცდილობს, რომ ცოტა უკეთესი პირობები შეუქნას მოსახლეობას, რუსეთიდან დახმარება მიიღოს, ეს საკუთარ დამსახურებად "გაასაღოს" და ამით ქულები ჩაიწეროს.

ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ ამჟამად, მართალია, ამერიკა-რუსეთის ურთიერთობა ვერ დახასიათდება, როგორც სტრატეგიული თანამშრომლობა, მაგრამ ამ ორ უზარმაზარ სახელმწიფოს ერთმანეთი სჭირდება, დღევანდელი საერთაშორისო კონიუნქტურიდან გამომდინარე. მათ შორის ურთიერთობების დათბობა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდება. ამ ფონზე კი, როგორც ჩანს, რუსეთის ზოგიერთი უწყება მიიჩნევს, რომ აფხაზეთში უფრო თავისუფლად შეიძლება მოქმედება.

კიდევ ერთ ფაქტორს დავამატებდი: კრასნოდარი თავისი რეაქციული შეხედულებებით გამორჩეული რეგიონია რუსეთში. ასეთი წითელი, ანტისემიტური, ანტიქართული რეგიონი რუსეთშიც კი ძნელად მოსაძებნია. ძალიან ბევრი რამ, რაც აფხაზეთში ხდებოდა და ახლაც ხდება, ამ რეგიონიდან არის ინსპირირებული. ეს ყოველივე კი მოსკოვის რეაქციულ წრეებში დიდ მხარდაჭერას პოულობს.

**- თქვენ ახსენეთ საერთაშორისო კონიუნქტურა. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს პერიოდი, როცა ამერიკა რუსეთთან ურთიერთობების გაფუჭებას უფრთხის, რუსეთმა შეიძლება ეფექტურად გამოიყენოს აფხაზეთის ფაქტობრივი ანექსიისთვის? ასეთ სიტუაციაში რის გაკეთება შეუძლია საქართველოს ხელისუფლებას?**

- ბუნებრივია, როცა დიდი ძალები დიდ თამაშში არიან ჩართულები, მაშინ საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნები მხოლოდ პაიკები არიან. პაიკებს კი თავისი როლი და დატვირთვა აქვთ და მათ მიმართ დამოკიდებულებაც "პაიკურია".

გასაგებია, რომ ჩვენ არ შეგვიძლია, ყოველთვის დიდი აქტივობა გამოვიჩინოთ. არის სიტუაციები, როცა გაჩუმება და შენთვის ყოფნა სჯობს, მაგრამ ახლა სულ სხვა ვითარებაა. დღეს ის მომენტია, როცა რუსეთის რეაქციული წრეები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ აფხაზეთში თავის მიზნებს მიაღწიონ; ამიტომ ჩვენ გაათმაგებული აქტიურობა გვმართებს, რომ მათ ამ მიზნების განხორციელების საშუალება არ მივცეთ.

ბუნებრივია, პოლიტიკაში ძალიან ძნელია ზნეობრივ კატეგორიებზე საუბარი; მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს გარკვეული ვალდებულებები. ამდენი ხანია, რაც ამერიკა საქართველოს ეხმარება და არა მგონია, რომ მან იმ მომენტში მიგვატოვოს, როცა საქმე ჩვენთვის ყველაზე მტკივნეულ და მნიშვნელოვან საკითხს - აფხაზეთს ეხება. ეს შესანიშნავად იციან მოსკოვშიც; იმიტომაც არის, რომ აფხაზეთი აქამდე არ დაიკარგა.

მაგრამ ამ ათი წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. დღეს აფხაზეთი უკვე თავისთავად დიდი ფაქტორია, სადაც რუსეთს დიდი ინტერესები აქვს ჩადებული და ის ადვილად არაფერს დათმობს.

ამიტომ აფხაზეთი ხანგრძლივი პოლიტიკური ვაჭრობის თემა იქნება, რომელშიც ამერიკა დიდ როლს შეასრულებს. მაგრამ ხელშესახები შედეგები გვექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში ეკონომიკური და პოლიტიკური ფონი შესამჩნევად გაუმჯობესდება. შუაში გახლეჩილ, დასუსტებულ ქვეყანას, რომელსაც კორუფცია ჭამს და რომლის იმიჯი ბოლო პერიოდში სერიოზული საფრთხის ქვეშ დადგა, მოლაპარაკების დროსაც არავინ სცემს პატივს; სხვათაშორის - არც მისი მოკავშირეები.

ჩემზე ძალიან მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენი პოლიტიკური ელიტა. მე რომ საქართველოს მოწინააღმდეგე ვიყო, ვიფიქრებდი, რომ ქვეყანას, რომელსაც ასეთი პოლიტიკური ელიტა ჰყავს, ანგარიში საერთოდ არ უნდა გაუწიო. ძალიან ცუდად აღიქმება ყველაფერი ის, რაც დღეს ჩვენს პოლიტიკურ სპექტრში ხდება. ეს ხალხი



ალექსანდრე რონდელი

არ ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ისინი ერთიანი ქვეყნისთვის იბრძვიან. ისინი ყველაფერს აკეთებენ ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად; ამიტომ ვფიქრობ, რომ უახლოეს წლებში ჩვენ არც ეკონომიკური ზრდა გვექნება, არც სოციალური წინსვლა და არც პოლიტიკური პროგრესი.

რა გასაკვირია, რომ რუსეთში პატივს არ გვცემენ.

საერთოდ, პატივს მხოლოდ იმ ქვეყნებს სცემენ, რომლებიც შიგნიდან არიან ძლიერები და შეკავშირებულნი. ნახეთ, როგორი დამოკიდებულებაა იმავე რუსეთში ბალტიისპირეთის ქვეყნების მიმართ.

ეს ქვეყნები უკვე ნატო-ში შევიდნენ და ევროკავშირში გასაწევრიანებლად ემზადებიან. რატომ არ ვფიქრობთ იმაზე, თუ რა პოლიტიკური კულტურის, პოლიტიკური ელიტის და როგორი მეცადინეობის წყალობით მივიდნენ ეს ქვეყნები აქამდე?

ჩვენ კი 10 წლის განმავლობაში სახელმწიფოს ასაშენებლად მყარი საფუძველიც კი ვერ შევქმენით. ხოლო როცა ასეთი სუსტი და უსუსური ხარ, როგორ შეიძლება ანგარიში გაგიწიოს ვინმემ, მით უმეტეს - შენმა მტერმა. როცა ხედავს, რომ არაფრის გამკეთებელი ხარ, ან მოკავშირემ რატომ უნდა მოიკლას შენი გულისთვის თავი?

**- დღეს ბევრი ამტკიცებს, რომ ასეთ სიტუაციაში აუცილებელია კატეგორიულად მოვითხოვოთ სამშვიდობოების გაყვანა და ამით რაღაც მაინც დავუპირისპიროთ რუსეთის მოქმედებებს აფხაზეთში.**

- როგორც წესი, ასეთ სიტუაციებში იწყება განგაში, გაისმის სხვადასხვა მოწოდებები, რომ რუსეთს ომი გამოვუცხადოთ და ასე შემდეგ. მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ლოზუნგებია.

რადიკალური გადაწყვეტილების მიღება ისეთი სახელმწიფოსთვის, როგორიც საქართველოა, ყოველთვის ძალიან მძიმე იქნება. ყვირილი და ყიჟინი ადვილია, მაგრამ სულ სხვაა, როცა გადაწყვეტილებას იღებ და ამ გადაწყვეტილებაზე უამრავი ადამიანის ბედია დამოკიდებული.

იმ დროს, როცა მსოფლიოში ახალი გადანაწილების პროცესია დაწყებული, პოლიტიკის ოკეანეში დიდი ტალღების აგორება ისეთი პატარა ქვეყნის მიერ, რომელმაც ცურვაც კი არ იცის, ძალიან სახიფათოა. ამიტომ ძალიან ფრთხილად უნდა მოვიქცეთ და ყველა ნაბიჯი ბოლომდე გავთვალოთ.

**- ასეთი მიდგომა რუსეთთან კაპიტულაციაზე წასვლას ხომ არ ნიშნავს?**

- ჩვენნაირი ქვეყნისთვის ერთადერთი გამოსავალი დიპლომატიაა. ახლა ჩვენ ყველა დიპლომატიური არხი უნდა გამოვიყენოთ და საერთაშორისო თანამეგობრობის, ჩვენი მოკავშირეების და მეგობრების იმედზე უნდა ვიყოთ.

ამ ეტაპზე, ბუნებრივია, არ რჩება იმის შთაბეჭდილება, რომ აფხაზეთს ვიბრუნებთ, მაგრამ დიპლომატიური ბრძოლა უნდა გავაგრძელოთ და არ უნდა მოვეშვათ, რადგან თუ ახლა მოვეშვით, მაშინ აუცილებლად წავაგებთ.

გარდა ამისა, მიმაჩნია, რომ ქვეყანას, რომელიც თავს პატივს სცემს, ნორმალური შეიარაღებული ძალები, ნორმალური პოლიცია უნდა ჰყავდეს და საერთოდ, წესრიგი უნდა იყოს. ამ ქვეყანას მიმზიდველობა უნდა ჰქონდეს, რომ აფხაზეთის მოსახლეობამ უკან დაბრუნება მოინდომოს.

**- როგორ ფიქრობთ, საქართველოს ხელისუფლებას ამ წლების განმავლობაში პარტიზანული მოძრაობისთვის მხარდაჭერა რომ აღმოეჩინა და ეს მოძრაობა უფრო "შეკრული" რომ ყოფილიყო, როგორ განვითარდებოდა სცენარი აფხაზეთში? იმავე შედეგებს მივიღებდით, თუ რამე შეიცვლებოდა?**

- მე, როგორც ქართველი, ძალინ მძიმედ განვიცდი იმას, რაც აფხაზეთში მოხდა, მძიმედ განვიცდი იმ უბადრუკ მდგომარეობას, რომელშიც აღმოვჩნდით და ხანდახან მეც მსგავსი აზრები მიპყრობს, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ეს არ იქნებოდა გამოსავალი.

აფხაზეთის დასაბრუნებლად გრძელი გზა უნდა გავიაროთ და ეს გზა ჩვენგან დიდ ოსტატობასა და დიპლომატიურ ძალისხმევას მოითხოვს; მოითხოვს ასევე გარეშე პირობების ხელსაყრელ დამთხვევას, რადგან სხვაგვარად არაფერი გამოვა.

პატარა ქვეყანა ყოველთვის ელოდება, მის ირგვლივ ძალთა კონფიგურაცია ისე შეიცვალოს, რომ მისი პატარა ძალა და დიპლომატია ეფექტური გახდეს.

იმის მიუხედავად, რომ შეერთებული შტატები ჩვენი მოკავშირეა, დღეს არ არის ისეთი პირობები, რომ საქართველომ რადიკალური ნაბიჯები გადადგას, გარდა აქტიური დიპლომატიისა.

**- რამენიმე დღეა, რაც უცხოურ პრესაში და, ბუნებრივია, რუსულ პრესაშიც, ისევ აგორდა პანკისის თემა, საქართველოსთვის ძალიან ცუდ კონტექსტში. თუ დასავლეთში გაჩნდა აზრი, რომ ქართველებმა პანკისს ვერ მიხედეს და იქ ტერორისტები ისევ აგრძელებენ ყოფნას, როგორ ფიქრობთ, ეს ძალიან ცუდ შედეგებს ხომ არ მოგვიტანს?**

- ეს ის მასალებია, რომლებიც მათ ახლა ჩაუვარდათ ხელში, მაგრამ ეს არის ის, რაც უკვე იყო. დღეს კი სხვა სიტუაციაა. პრაქტიკულად, პანკისი გაწმენდილია.

თუმცა, მიუხედავად ამისა, ეს მაინც ძალიან ვნებს საქართველოს იმიჯს. ქვეყნის იმიჯს ვნებს ისიც, რომ ხალხი, რომელმაც თავის დროზე ხელი შეუწყო ამ პრობლემის შექნას, დაუსჯელი დარჩა. ჩვენ კიდევ ბეწვზე გადავრჩით, რომ ამერიკის სახით მფარველი გამოგვიჩნდა, თორემ პანკისი ძალიან ძვირი დაგვიჯდებოდა.

პანკისი ჩვენი სუსტი სახელმწიფოებრიობის შედეგია და მეტი არაფერი. მართალია, ჩეჩნეთის ომმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ პრობლემის შექმნაში, მაგრამ ჩვენ რომ სახელმწიფო გვქონოდა, მაშინ ეს პრობლემა ბევრად უფრო მცირემასშტაბიანი იქნებოდა.

# მიწისძვრა მექსიკაში



მეხიკოს ქუჩები მიწისძვრის შემდეგ

სამშაბათს მექსიკაში მომხდარმა ძლიერმა მიწისძვრამ, რომელიც 45 წამს გრძელდებოდა, სულ ცოტა, 23 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. რიხტერის შკალით 7,6 ბალიანი მიწისძვრის ეპიცენტრი წყნარი ოკეანის სანაპიროზე, კოლიმას შტატში მდებარეობდა. სააგენტო "როიტერის" ცნობით დაღუპულთა რიცხვი შესაძლოა კიდევ გაიზარდოს, რადგან შენობების ნანგრევებში მრავალი ადამიანია მოყოლილი. ჯერჯერობით, საავადმყოფოებში ასზე მეტი დაზარალებული მოათავსეს. ქვეყნის დედაქალაქ მეხიკოში მიწისძვრამ ხანმოკლე პანიკა გამოიწვია. უსაფრთხოების სამსახურებმა საზოგადოებრივი და საცხოვრებელი შენობებიდან მოსახლეობის ევაკუაცია მოახდინეს. ძლიერი და მასშტაბური ნგრევების შესახებ ინფორმაცია არ არის.

# ალ-ქაიდა ტაქტიკას იცვლის

როგორც ტელეკომპანია სი-ენ-ენი იუწყება, ალ-ქაიდამ გადაწყვიტა "ურწმუნოებთან" ბრძოლის ტაქტიკა შეცვალოს. თუ აქამდე ეს ორგანიზაცია მასშტაბური, გახმაურებული ტერაქტებით იყო ცნობილი, ამიერიდან მის ოპერაციებში მთავარ ადგილს მკვლელობები დაიკავებს.

სი-ენ-ენის მტკიცებით, ამის დასტურია დიდ ბრიტანეთში აღმოჩენილი მომწამლავი ნივთიერება რიცინი, რომელიც სავარაუდოდ, ცალკეული მკვლელობების და არა დიდი ტერაქტის ჩასადენად იყო განკუთვნილი. რიცინის დამზადების ტექნოლოგია აღწერილი იყო წიგნში "ჯიჰადის ენციკლოპედია", რომელსაც ალ-ქაიდა თავის წევრებს უგზავნიდა და რომელიც სი-ენ-ენის კორესპონდენტს ავღანეთში ჩაუვარდა ხელში.

გასულ ოქტომბერს იორდანიაში მოკლეს ამერიკელი დიპლომატი ლორენს ფოლი. მკვლელები მალევე დააკავეს. მათ აღიარეს, რომ ალ-ქაიდასთან ჰქონდათ კავშირი. ორგანიზაცია დიპლომატის მოკვლის სანაცვლოდ მათ 50 ათას დოლარს შეჰპირდა.

ალ ქაიდას მიერ განხორციელებული მკვლელობებიდან გამოირჩევა ავღანეთში ჩრდილოეთის დაჯგუფების ლიდერის, აჰმად შაჰ მასუდის ლიკვიდაცია. ქაიდას აგენტებმა, ჟურნალისტებად შენიღბულებმა, მოახერხეს მასუდთან მიახლოება.

ტერორისტული ქსელის ძირითად სამიზნეებს ამჟამად ავღანეთის პრეზიდენტი კარზაი და პაკისტანის პრეზიდენტი მუშარაფი წარმოადგენენ. წარსულში კი ალ-ქაიდა უშედეგოდ ცდილობდა ამერიკის პრეზიდენტ ბილ კლინტონის, პაპ იოანე-პავლე მეორისა და ფილიპინების პრეზიდენტ ფიდელ რამოსის მკვლელობას.

# მეწამორის აეს-მა მუშაობა განაახლა

სამთვიანი შესვენების შემდეგ, მეწამორის ატომურმა ელექტროსადგურმა 21 იანვარს მუშაობა განაახლა. ოქტომბერში იგი საწვავის ჩატვირთვის მიზნით გამორთეს, ახლა კი ისევ ჩართეს, მიუხედავად იმისა, რომ საწვავი არ ჩაუტვირთავთ. სომხეთი, რომელიც საქართველოს მსგავსად უგაზოდ დარჩა, როგორც ჩანს, სწორედ ამ გზით აპირებს ენერგიის დეფიციტის აღმოფხვრას.

სომხეთის პრეზიდენტ კოჩარიანის რუსეთში ვიზიტის შემდეგ, გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მზადდება შეთანხმება მეწამორის მართვის უფლების რუსეთისათვის გადაცემის თაობაზე. მიზეზი ნათელია: წლების მანძილზე დაგროვილი დავალიანება.




# ჯორჯ რობერტსონი წელს თანამდებობას დატოვებს

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ ბრიუსელში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საბჭოზე გამოსვლისას ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა, ლორდმა ჯორჯ რობერტსონმა განაცხადა, რომ ის თანამდებობას 2003 წლის დეკემბრამდე დატოვებს. მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და მას ვერაფერი შეცვლის. მან აღნიშნა, რომ იგი ნატო-ში სამი წლის წინ **"ძალზე გარკვეული მიზნებით"** მოვიდა. ამ მიზნებში მან ალიანსის თავდაცვისუნარიანობის სრულყოფა, ტრანსატლანტიკური სტაბილური ურთიერთობების მხარდაჭერა, რუსეთთან ურთიერთობის გაღრმავება, კრიზისული სიტუაციების მართვის გაუმჯობესება, ორგანიზაციის გაფართოება, ბალკანეთის რეგიონში დემოკრატიის ხელშეწყობა, ევროკავშირთან თანამშრომლობის გაძლიერება და თავად ალიანსის შიგნით საბიუჯეტო, სტრუქტურული და საკადრო რეფორმების განხორციელება დაასახელა

ჯორჯ რობერტსონის განცხადებით, თითქმის ყველა სფეროში დაგეგმილი ცვლილებები ან დასრულებულია, ან დასრულების პირასაა.

გენერალურმა მდივანმა დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ მის თანამდებობაზე ყოფნას დაემთხვა კრიზისული სიტუაციების შექმნა ჩერნოგორიაში, სერბეთის სამხრეთში და მაკედონიაში. **"ბალკანეთში სისხლისღვრის განვითარებას ნატო-მ სამივეჯერ ხელი შეუშალა,"** - დასძინა რობერტსონმა. თუმცა, თავისი წვლილის შესახებ საუბარი ამით არ დაუსრულებია.




ჯორჯ რობერტსონი

**"ნატო-ს ისტორიაში მე ვიყავი პირველი გენერალური მდივანი, რომლის დროსაც ორგანიზაციის 19-ვე წევრმა ქვეყანამ განაცხადა, რომ მზადაა კოლექტიური თავდაცვის შესახებ მუხლის ამოქმედებისათვის,"** - განაცხადა რობერტსონმა. მას მხედველობაში ჰქონდა 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენები, როდესაც ნატოს ქვეყნებმა განაცხადეს, რომ ამერიკაზე თავდასხმა მათზე თავდასხმაა. ამის შემდეგ ალიანსმა საქმიანობის ძირითად მიზნად საერთაშორისო ტერორიზმის და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა გამოაცხადა.

ნატო-ს გენერალური მდივანი თავისი გამოსვლის დროს საერთაშორისო ანტიტერორისტულ კამპანიასაც შეეხო. მისი აზრით, ტერორიზმთან ბრძოლაში მთავარი როლი სამხედროებს ეკუთვნით. **"გასულ საუკუნეში სამხედროების როლს ტერიტორიების დაცვა წარმოადგენდა, რაც დღევანდელ რეალობას აღარ შეესაბამება. თუ გვსურს ღირსეულად მივიღოთ ეს ახალი გამოწვევა, ჩვენ დეტალურად უნდა გავიაზროთ შეიარაღებული ძალების დანიშნულება,"** - განაცხადა რობერსტონმა. მისი თქმით, დღეისათვის საზღვარი ტერორიზმსა და სამხედრო ოპერაციებს შორის თანდათანობით იშლება. **"დღევანდელი ტერორისტები ცდილობენ, თავისი მოქმედებებით მასობრივი მსხვერპლი გამოიწვიონ, ასევე, მაღალია მათ ხელში მასობრივი განადგურების იარაღის მოხვედრის ალბათობა, რაც საფუძველი გახდება იმისა, რომ ისეთი ჯგუფები, როგორიცაა "ალ-ქაიდა", გამოიყენებენ ძალადობის უფრო დახვეწილ მეთოდებს, რაც მოიტანს უდიდეს მსხვერპლს და მასშტაბურ ზიანს მიაყენებს ეკონომიკას,"** - განაცხადა რობერტსონმა. მისი თქმით, პოლიტიკური თვალსაზრისით, არსებული ძალების და საშუალებების არგამოყენება ამ საფრთხის აღსაკვეთად, აბსურდული იქნებოდა. თუმცა, რობერტსონი აცხადებს, რომ ეს არ ნიშნავს ნატო-ს გადაქცევას მსოფლიოს ჟანდარმად. **"ვერცერთი ორგანიზიცია, რაოდენ დიდი სურვილიც არ უნდა ჰქონდეს, ამ ფუნქციას ვერ შეასრულებს,"** - დაასრულა თავისი გამოსვლა ნატო-ს გენერალურმა მდივანმა.

შეიძლება ითქვას, რომ ჯორჯ რობერტსონმა ამ გამოსვლით თავის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდის ერთგვარი შეჯამებაც მოახდინა. სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ ლორდი ჯორჯ რობერტსონი ნატო-ს ისტორიაში მართლაც ყველაზე შედეგიანი გენერალური მდივანი იყო. ამას ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სფეროში დღეისათვის უკვე არსებული მიღწევებიც ადასტურებს.

# ჩეჩნები კომპრომისისათვის მზად არიან

*ჩეჩნეთის რესპუბლიკა - იჩქერიის ლიდერებმა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში კომპრომისზე წასვლის მზადყოფნა გამოთქვეს, თუკი სანაცვლოდ რუსეთის ფედერაცია ჩეჩნეთში ადამიანის უფლებებს დაიცავს. "ჩვენ მზად ვართ დისკუსიისათვის. მთავარია, რომ ჩეჩენ ხალხს მიეცეს საერთაშორისო გარანტიები. თუ რა ფორმით მოხდება ეს – არც ისე მნიშვნელოვანია",- განუცხადა გაზეთ "ფაინენშალ ტაიმსს" პრეზიდენტ ასლან მასხადოვის პირადმა წარმომადგენელმა აჰმედ ზაკაევმა. ის ამჟამად ლონდონში იმყოფება და მისი რუსეთისათვის გადაცემის თაობაზე სასამართლოს დადგენილებას ელოდება.*

ლევან ღირსიაშვილი

**"დღეს ჩეჩნეთში საერთოდ არ სრულდება არანაირი კანონი, არც რუსეთის, არც საერთაშორისო და არც შარიათის,"-** აღნიშნა ზაკაევმა. გაზეთის აზრით, ზაკაევის კომენტარს განაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ დროს, როდესაც რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამ მოიწონა ჩეჩნეთში რეფერენდუმის ჩატარების გეგმა. როგორც ცნობილია, რეფერენდუმზე ჩეჩნეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი იქნება გამოტანილი, რომელიც ჩეჩნეთს შეზღუდულ ავტონომიას ანიჭებს. კონსტიტუციის პროექტში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ჩეჩნეთი რუსეთის ფედერაციის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ზაკაევმა აღნიშნული ინიციატივა უარყო და განაცხადა: **"ომის დროს რეფერენდუმები არ იმართება."**

თუმცა, ზაკაევის ეს მოსაზრება ორიგინალური არ ყოფილა. თავად რუსეთშიც ბევრმა პოლიტიკოსმა და დამკვირვებელმა გააკრიტიკა პრეზიდენტ პუტინის განზრახვა ჩეჩნეთში რეფერენდუმის ჩატარების შესახებ. ამ იდეის მოწინააღმდეგეები აცხადებენ, რომ კონფლიქტის დროს რეფერენდუმის სრულყოფილად ჩატარება ვერ მოხერხდება. ამავე დროს, რუსეთში ზოგიერთი გამოთქვამს უკმაყოფილებას იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება ჩეჩნეთში რეფერენდუმის გამართვის თაობაზე, ყოველგვარი წინასწარი განხილვის გარეშე იქნა მიღებული.

"ფაინენშალ ტაიმსი" აღნიშნავს, რომ რამდენიმე თვის წინ პუტინმა თითქოს შეარბილა თავისი მიდგომა ჩეჩნეთის კონფლიქტის მიმართ, თუმცა "ნორდ-ოსტის" ტრაგედიის შემდეგ პრეზიდენტმა ჩეჩნეთში პოლიტიკა უკიდურესად გაამკაცრა. **"ვლადიმირ პუტინმა მასხადოვის წარმომადგენელთან - ზაკაევთან ყოველგვარი მოლაპარაკებების წარმოება გამორიცხა, მას ტერორისტული საქმიანობის ბრალდება წაუყენა და რუსეთისათვის მისი გადაცემა მოითხოვა. ზაკაევი, რომელიც ამ ბრალდებებს უარყოფს, აცხადებს, რომ მოსკოვში განხორციელებულ ტრაგედიასთან არანაირი კავშირი არა აქვს. პუტინის განცხადებების პასუხად, რომელიც ჩეჩენ მებრძოლებს საერთაშორისო ტერორიზმთან აკავშირებს, ზაკაევი ჩეჩნეთში სხვა სახელმწიფოების სამშვიდობო ძალების განთავსებას მოითხოვს და აცხადებს: "თუკი საუბარი შეეხება საერთაშორისო ტერორიზმს, მაშინ ამას შესაბამისი საერთაშორისო რეაქციაც უნდა მოჰყვეს,"** - წერს გაზეთი.

ამავდროულად, ჩეჩნეთში ჩადის ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენელი ლორდი ჯადი. მან მინერალური წყლების აეროპორტში ხანმოკლე შეხვედრა გამართა ჩეჩნეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან აჰმად კადიროვთან. **"დღეს რეფერენდუმისათვის უკვე ყველაფერი მზად არის,"** - განაცხადა კადიროვმა შეხვედრის დროს. მისი თქმით, რეფერენდუმში მონაწილეობას მიიღებენ ინგუშეთში კომპაქტურად დასახლებული იძულებით ადგილნაცვალი პირებიც. კადიროვის თქმით, მათი რაოდენობა დაახლოებით 17 ათას ადამიანს შეადგენს. სააგენტო "ინტერფაქსის" ცნობით, ლორდი ჯადი განსაკუთრებით დაინტერესდა რეფერენდუმის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებით, რაზეც კადიროვმა უპასუხა, რომ რესპუბლიკაში ამჟამად ვითარება გაცილებით სტაბილურია, თუმცა უსაფრთხოების ასპროცენტიანი გარანტიის მიცემა არ შეიძლება.

ევროპის საბჭო შეშფოთებულია იმით, რომ რუსეთი აიძულებს ჩეჩნეთიდან ლტოლვილებს უკან დაბრუნდნენ. ამ მიზნით, მთავრობამ ინგუშეთში მდებარე დევნილთა რამდენიმე ბანაკი დახურა. მიზანი ნათელია: ჩეჩნეთში მოსახლეობის დაბრუნების გარეშე ლეგიტიმური რეფერენდუმი ვერ ჩატარდება.

ამდენად, რუსეთის მიერ დანიშნული ჩეჩნეთის ადმინისტრაცია რეფერენდუმისათვის ემზადება. ამბოხებული ჩეჩნების ლიდერები კი რუსეთის ხელისუფლებას მოლაპარაკებას სთავაზობენ და კომპრომისებზე წასვლის პირობას დებენ. მოსკოვი სამშვიდობო ინიციატივას დუმილით პასუხობს. რეფერენდუმის შედეგები კი, ცხადია, მოსკოვისათვის მისაღები იქნება. ეს ამთავითვე ცნობილია. აქედანვე შეიძლება იმის ვარაუდი, თუ როგორი სცენარით განვითარდება მოვლენები ჩეჩნეთში – პრეზიდენტი მასხადოვი და მისი მებრძოლები იარაღს არ დაყრიან და ბრძოლას ბოლომდე გააგრძელებენ.

# ამერიკულ-ევროპული უთანხმოება მწვავდება

*ერაყის ირგვლივ დიპლომატიური ომი კულმინაციას აღწევს. საფრანგეთმა და გერმანიამ ერთმნიშვნელოვნად განაცხადეს, რომ ისინი ომის წინააღმდეგნი არიან. გუშინ ნატო-მ ვერ შეძლო დაეკმაყოფილებინა ამერიკის თხოვნა - ომის შემთხვევაში დახმარების აღმოჩენის შესახებ.*

შოთა უტიაშვილი

ბოლო თვეების ყველაზე აქტუალურ კითხვაზე, როდის დაიწყება ომი ერაყში, პასუხის გაცემა გუშინ რუსეთის გენერალური შტაბის მაღალჩინოსანმა სცადა. სააგენტო ინტერფაქსს მოჰყავს ანონიმი ოფიცრის კომენტარები იმის შესახებ, რომ შეერთებულმა შტატებმა უკვე მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება ომის დაწყების თარიღის შესახებ. ომი, რომელიც გეგმის თანახმად ძალზე ხანმოკლე უნდა იყოს, თებერვლის შუა რიცხვებში დაიწყება. იგი დაახლოებით ერთ თვეს გასტანს და მისი მთავარი მიზანი არა ჰუსეინის დამხობა, არამედ ერაყის ნავთობის ხელში ჩაგდება იქნება, – განაცხადა წყარომ.

ამერიკელი ოფიციალური პირები არ მალავენ იმ ფაქტს, რომ ერაყი სწრაფად მიექანება ომისაკენ. "ჰუსეინს ძალიან ცოტა დრო დარჩა,"- განაცხადა გუშინ სახელმწიფო მდივნის მოადგილემ, რიჩარდ არმიტიჯმა.

ვაშინგტონის თქმით, ერაყს ჰქონდა შანსი, დაემტკიცებინა, რომ მან მართლაც გაანადგურა მის ხელთ არსებული მასობრივი მოსპობის იარაღი, და მან ეს შანსი ხელიდან გაუშვა. ასე რომ, საერთაშორისო საზოგადოებას ისღა დარჩენია, ძალით განაიარაღოს ერაყი, თუნდაც "საერთაშორისო საზოგადოება" მხოლოდ ამერიკით, ინგლისითა და ავსტრალიით შემოიფარგლებოდეს.

გუშინ თავიანთი საბოლოო პოზიცია გამოთქვეს გერმანიამ და საფრანგეთმა. სამშაბათს ორი ქვეყანა სამშვიდობო ხელშეკრულების დადების 40 წლისთავს აღნიშნავდა. ამ თარიღს მათ ვერსალში პარლამენტების ერთობლივი სხდომა მიუძღვნეს.

"არავის უნდა ჰქონდეს იმის იმედი, რომ გერმანია მხარს დაუჭერს ომის დაწყებას," – განაცხადა გუშინ გერმანიის კანცლერმა შრიოდერმა.

"ომი მარცხის აღიარებას ნიშნავს. იგი ყველაზე უარესია ყველა გამოსავალს შორის," – კვერი დაუკრა საფრანგეთის პრეზიდენტმა შირაკმა.

"საფრანგეთისა და გერმანიის პოზიციები ამ საკითხში სავსებით ემთხვევა ერთმანეთს," – განაცხადა ორივე ლიდერმა.

საფრანგეთისა და გერმანიისათვის, რომლებიც მთელი თავიანთი ისტორიის მანძილზე ეომებოდნენ ერთმანეთს, 40 წლის წინ შერიგდნენ და აღმოაჩინეს,რომ მშვიდობა შესაძლებელია და თანაც მშვიდობიანი გზით გაცილებით უფრო შესაძლებელია მიზნების მიღწევა, ვიდრე ომით, ამგვარი პოზიცია სრულიად ბუნებრივია.

პარიზმა და ბერლინმა განაცხადეს, რომ ომის წინააღმდეგ არა მხოლოდ თვითონ გამოვლენ, არამედ შეეცდებიან პატარა ევროპული ქვეყნებიც დაიყოლიონ.

ევროკავშირის ქვეყნების დიდი უმრავლესობა ისედაც ომის წინააღმდეგია. ერთადერთი გამონაკლისია ბრიტანეთი.

გუშინ გაიმართა ნატო-ს საბჭოს სხდომა, რომელზედაც ქვეყნებს უნდა განეხილათ აშშ-ს თხოვნა ომის დაწყების შემთხვევაში მხარდაჭერის აღმოჩენის შესახებ. ამერიკა მოკავშირეებისაგან მხოლოდ არაპირდაპირ დახმარებას მოითხოვს, რაც გამოიხატება სადაზვერვო ინფორმაციის მიწოდებაში, მომარაგების საკითხებში თანამშრომლობასა და, აგრეთვე, თურქეთის დაცვაში იმ შემთხვევაში, თუ მას ერაყის მხრიდან საფრთხე დაემუქრება. აზრთა სხვადასხვაობის გამო, საბჭო იძულებული იყო, გადაწყვეტილების მიღება გადაედო.

თავისი ნატო-ელი მოკავშირეების პოზიციას სწრაფად გამოეხმაურა ამერიკის პრეზიდენტი. "მთელი ეს საუბარი იმაზე, რომ მეტი დროა საჭირო – კი მაგრამ, რამდენი დროა საჭირო იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, ეს კაცი განიარაღებას არ აპირებს? ეს ყველაფერი ცუდი ფილმის ხელახლა დატრიალებას ჰგავს და მე მისი ყურება მაინცდამაინც არ მაინტერესებს".

რაც შეეხება იმას, რომ საფრანგეთი და გერმანია აპირებენ ხმა არ მისცენ უშიშროების საბჭოზე ომის დაწყებას, ბუშის თქმით, საბჭომ ერთხელ უკვე მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ერაყს დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, სერიოზული შედეგებით დაემუქრა.

და მაინც, როდის დაიწყება ომი? ექსპერტები და აშშ ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები დიდი ხანია, სწორედ თებერვალს ასახელებენ. თუმცა, ექსპერტების პროგნოზებზე მეტად ომის სიახლოვეში ის გვარწმუნებს, რომ ამერიკამ და - ბრიტანეთმა სპარსეთის ყურეში უკვე დიდ სამხედრო ძალას მოუყარეს თავი. ჯარების გადასროლა სწორედ თებერვლის შუა რიცხვებისთვის უნდა დასრულდეს. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამის შემდეგ დაახლოებით 160 ათასიანი არმია დიდ ხანს იყოს იქ უსაქმოდ.

ჯერჯერობით არავინ იცის, თუ როგორ შეხედავენ ევროპული ქვეყნები ომის დაწყებას - ხელებს დაიბანენ თუ შეეცდებიან, მას აქტიური წინააღმდეგობა გაუწიონ.

მართალია, სამხედრო თვალსაზრისით, აშშ-ს მარტოც კარგად შეუძლია ერაყის არმიის დამარცხება, მაგრამ ომის დასრულებისთანავე ძალზე მწვავედ დადგება ერაყის რეკონსტრუქციის ფინანსირების საკითხი. ამ დროს კი მდიდარ ევროპას უდიდესი როლის შესრულება შეუძლია.

# იყავით ხაზზე!

## და მოიგეთ მრავალი პრიზი ჯეოსელთან ერთად!

მიიღეთ მონაწილეობა ჯეოსელის ვიქტორინაში და მოიგეთ ყოველ კვირას: ავტომობილი ნივა, **VESTEL**-ის ფირმის ტელევიზორი, აუდიო, ვიდეო და **DVD** სისტემის მაგნიტოფონები "ელიტელექტრონიქსისაგან"* **SAMSUNG**-ისა და **NOKIA**-ს ტელეფონე-ბი, ელ-გენერატორი, უფასო სასაუბრო დრო, ფრანგული პარფიუმერია.

ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია:
- იყოთ ჯეოსელის აქტიური აბონენტი
- უპასუხოთ ყოველკვირეულ შეკითხვას:

## ჯეოსელი გთავაზობთ 24 საათიან სააბონენტო მომსახურებას?

კვირის კითხვას ჯეოსელი დაგისვამთ ტელევიზიის ("რუსთავი 2" და "პირველი არხი"), რადიოს ("ფორტუნა", "ფორტუნა +") და გაზეთის ("24 საათის" და "ალია") საშუალებით.
გამოიცნოთ სწორი პასუხი და დაადასტუროთ თქვენი ზარით:

- კი –დარეკეთ ნომერზე 111**
- არა–დარეკეთ ნომერზე 222**




# ჯეოსელი

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 928 ან 822 770 177

*ელიტელექტრონიქსის მაღაზიები: თბილისი, მარჯანიშვილის 19 და აღმაშენებლის 146
ბათუმი: გამსახურდიას 47, ერას 91; ქუთაისი: გრიშაშვილის 31.
**ერთი ზარის ღირებულებაა 0,288 ლარი

## მოკლედ

**თბილისი.** გასული წლის დეკემბერში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის დაფარვის ბოლო ვადა "თბილგაზს" გუშინ ამოეწურა, თუმცა სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობა 6 მლნ. ლარის დავალიანების დაფარვას არ ჩქარობს. "თბილგაზის" გენერალური დირექტორის ვახტანგ ცაავას განცხადებით, თითქმის 4 დღეა, "თბილგაზის" მომხმარებელს ბუნებრივი აირი ან არ მიეწოდება, ან მისი გათიშვის მოლოდინშია, ამიტომ აირის საფასურის გადახდაზე აბონენტები უარს აცხადებენ. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის თენგიზ სიგუას თქმით, საქართველო ბუნებრივი აირით მომარაგების თვალსაზრისით რუსეთზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, რადგან არსებობს "რეალური ალტერნატიული გზაც - ირანული ხაზი, რომელიც რუსულზე ხარისხიანი და იაფია". **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი გუშინ დაიწყო. "ეი-ი-ეს თელასის" ლობისტის ირაკლი მელაშვილის განცხადებით, გუშინ გაფორმდა ხელშეკრულება „ვინგფილდთან", რომლის შუამავლობითაც თბილისში რუსული ელექტროენერგია შემოვა. საუბარია 100-150 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიის იმპორტზე. **"მედია-ნიუსი"**

■ ■ ■

**ბაქო.** "ბაქო-სუფსის ნავთობსადენზე დივერსიის შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოები დასრულებულია, მილსადენის ექსპლუატაცია ნორმალურ რეჟიმში მიმდინარეობს", - განაცხადეს BP Azerbaijan.-ში. ამ მარშრუტით სადღეღამისო ექსპორტის მოცულობა 135-140 ათასი ბარელია. წლის ბოლომდე ბაქო-სუფსას ნავთობსადენის გამტარუნარიანობა დღე-ღამეში 160-165 ათას ბარელამდე გაიზრდება. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ცნობით, გუშინ ბათუმის პორტის აკვატორიაში მილებით დატვირთული გემი "არიელა" შემოვიდა. გემი გერმანულ კომპანია "ლოგომარს" ეკუთვნის და ის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის საქართველოს მონაკვეთის 21 კილომეტრისთვის საჭირო 1819 ცალი მილითაა დატვირთული. მილების გადმოტვირთვის დაწყება 24 იანვრისათვის არის დაგეგმილი და მას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან ერთად კომპანია "ბი-პი"-ს კონტრაქტორი კომპანია "სპი კაპაგ-პეგროფაკის" და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის წარმომადგენლები დაესწრებიან. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** მიმდინარე წლის 10 თებერვლისათვის საქართველოსა და თურქმენეთს შორის გაფორმდება ხელშეკრულება, რომლის თანხმად, ს.ს. "თბილავიამშენი" თურქმენეთის შეიარაღებული ძალების კუთვნილ 17 სუ-25-ს გაარემონტებს. "თბილავიამშენის" მთავარი ინჟინრის გოჩა გოგუაძის განცხადებით, საქართველომ შეასრულა თურქმენეთის წინაშე კონტრაქტით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება და გასულ წელს შეაკეთა 30 თვითმფრინავი. თვითმფრინავების შეკეთება საქართველოს თურქმენეთისადმი 315 მილიონი დოლარის ოდენობის არსებული დავალიანების ხარჯზე ხდება. თურქმნეთისადმი დავალიანება თვითმფრინავების რემონტის ხარჯზე 30 მილიონი დოლარით შემცირდა. " რემონტისათვის საჭირო თანხებს "თბილავიამშენს" საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უხდის. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**რუსთავი.** მაგისტრალურ და სარეზერვო მაგისტრალებზე მომხდარი ავარიების ლიკვიდაციის შემდეგაც რუსთავი, შესაძლოა, ბუნებრივი აირის გარეშე დარჩეს. "რუსთავგაზის" გენერალური დირექტორის გენრი მახარაძის განცხადებით, მოსახლეობის 60 პროცენტს დეკემბერში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასური არ გადაუხდია. გაზის მოწოდების შემთხვევაში "რუსთავგაზს" მისი შესაძენი თანხა არ აქვს. მახარაძე აცხადებს, რომ ბუნებრივი აირის უქონლობის დროს მოსახლეობიდან თანხების ამოღება კიდევ უფრო ძნელდება. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** კონფიდენციალური ინფორმაციის გახმაურების გამო, თბილისის ელექტროგამანაწილებელი კომპანია „ეი-ი-ეს თელასი" სერიოზულ პრეტენზიებს გამოთქვამს საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი კომერციული ბანკის მიმართ და შესაძლოა, მას სასამართლოშიც უჩივლოს. ასეთ შემთხვევაში კი, კომპანიის ლობისტის ირაკლი მელაშვილის განცხადებით, ეს ბანკი, რომლის დასახელებისაგან მელაშვილი თავს იკავებს, „აუცილებლად გაკოტრდება". საქმე ეხება ქართული მედიის მიერ გუშინწინ გავრცელებულ ინფორმაციას: აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს „იუსაიდის" მიერ ზამთრის გათბობის პროგრამის თანხის ნაწილის - 2,7 მილიონი დოლარის გადარიცხვას „ეი-ი-ეს თელასის" ლონდონის ანგარიშზე. მელაშვილის თქმით, ზემოთ დასახელებული თანხიდან 2 მილიონი დოლარი ელექტროენერგიის იმპორტს მოხმარდა, დანარჩენი კი საბიუჯეტო ვალდებულებებზე დაიხარჯა.**"მედია-ნიუსი"**

# ტრანსპორტის სამინისტრო ავიაკომპანიებიდან შემოსავლებს ვერ ელევა

ნინო ნარჩემაშვილი

ავიაკომპანია "აირზენამ" საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროსა და პარლამენტის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი მოიგო. სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა ტრანსპორტის სამინისტროს მიერ შემუშავებული და პარლამენტში დამტკიცებული კანონი, რომელიც სატრანსპორტო კომპანიებს (კერძოდ, ავიაკომპანია "აირზენას") წლიური შემოსავლიდან ტრანსპორტის შემოწმების საფასურის გადახდას ავალდებულებდა. გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება და 2003 წლის 1 აპრილიდან შევა ძალაში.

გუშინ ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრმა მერაბ ადეიშვილმა ამ თემას საგანგებო პრესკონფერენცია მიუძღვნა და საკმაოდ მკვეთრი განცხადებები გააკეთა. **"საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა გახლავთ ჩვენს სექტორში არსებული რეფორმების წინააღმდეგ განხორციელებული მიზანმიმართული აქცია, რომელიც სუბიექტურ ფაქტორებს ემყარება (რა სუბიექტურ ფაქტორებზეა საუბარი - ადეიშვილი არ აკონკრეტებს). საკონსტიტუციო სასამართლომ თავის უფლებამოსილებას გადააჭარბა და სკანდალური გადაწყვეტილება მიიღო,"** - განაცხადა მერაბ ადეიშვილმა. მისივე განცხადებით, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო არ შეეგუება მსგავს



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ზურაბ ჭანკოტაძე და მერაბ ადეიშვილი*

არაკონსტიტუციურ ქმედებას და შესაბამის დარგობრივ კანონებში ცვლილებების შეტანის ინიციატივით გამოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს საავიაციო ადმინისტრაცია ვერ იარსებებს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი, მინისტრის განცხადებით, ის გახლავთ, რომ სასამართლოს დასკვნა დარგში მიმდინარე რეფორმების რღვევას გამოიწვევს, რომელიც მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების საფუძველზე მიმდინარეობს.

რაც შეეხება ავიატრანსპორტის უსაფრთხოებას, სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ზურაბ ჭანკოტაძის განცხადებით, 1 აპრილიდან (ანუ სასამართლოს დადგენილების ძალაში შესვლის შემდეგ) მისი განხორციელება სახელმწიფოს მხრიდან, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდება.

# „გადამხდელებმა" ფულის გათეთრებასთან ბრძოლის კანონპროექტი დაიწუნეს

პირველი გვერდიდან

კანონპროექტში "უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ" მითითებულია, რომ მონიტორინგის განხორციელება ფულის გათეთრების ფაქტების აღმოჩენასთან დაკავშირებით ევალებათ იმ ორგანიზაციებს, რომელთა დახმარების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია უკანონო შემოსავლის ლეგალიზება. ასეთი ორგანიზაციების სიაში შედიან: ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, ფასიანი ქაღალდების ბაზარი, ლატარიებისა და აზარტული თამაშების ორგანიზატორები, ძვირფასი ლითონებით, ქვებითა და ანტიკვარიატით მოვაჭრე ორგანიზაციები, უძრავი ქონებით მოვაჭრე სააგენტოები, ნოტარიუსები, საბაჟო ორგანოები, გრანტებისა და საქველმოქმედო დახმარებების გამცემი ორგანიზაციები. ამ ორგანიზაციებს ევალებათ საეჭვო კლიენტებისა და გარიგებების შესახებ ინფორმაციის მოპოვება. კანონპროექტის მიხედვით, დაწესებულია საეჭვობის ზღვრული ლიმიტი - 10 ათასი ლარის ოდენობით ნაღდი ანგარიშსწორებისა და 30 ათასი ლარი უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში.

მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციები მათ მიერ აღმოჩენილი საეჭვო ფაქტის შესახებ აცნობებენ ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით შეიქმნება ეროვნულ ბანკთან. ფინანსური მონიტორინგის სამსახური თავის მხრივ მოკვლევას აწარმოებს და მასალებს გამოსაძიებლად უკვე სამართალდამცავ ორგანოებს გადასცემს. ზემოთ აღწერილი პროცესების ზედამხედველობა კი ევალებათ შემდეგ ორგანოებს: ეროვნულ ბანკს, დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურს, ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიას, ფინანსთა სამინისტროს და იუსტიციის სამინისტროს.

გადამხდელთა კავშირში შეკრებილი საბანკო-სამეწარმეო სექტორის წარმომადგენლები ფულის გათეთრების წინააღმდეგ კანონის მიღებას აუცილებლობად მიიჩნევენ, თუმცა, წარმოდგენილი კანონპროექტი, მათი აზრით, მკვდრადშობილი იქნება, რადგან იგი რეალურად ვერ იმუშავებს. გადამხდელების აზრით, მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოების მხრიდან არსებობს დიდი საფრთხე, რომ ისინი ბოროტად ისარგებლებენ კონფიდენციალური ინფორმაციებით. გაერთიანებული ქართული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, ვანო ჩხარტიშვილის განცხადებით, **"მონიტორინგის სამსახურს უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა, რომ თუ მათი საქმიანობის პროცესში, დაირღვევა ვინმეს კონფიდენციალობა და შეილახება კომერციული ინტერესები, სახელმწიფომ მას მატერიალური ზიანი უნდა აუნაზღაუროს".**

# რუსთავი და მერია საშემოდგომო ექსპერიმენტისთვის ემზადებიან

მაია მოსიაშვილი
რუსთავიდან

რუსთავის მერის მერაბ ტყეშელაშვილის ნოვატორულ იდეას, რუსთავში ეკონომიკური ექსპერიმენტის განხორციელების შესახებ, არც თუ ისე ბევრი მომხრე გამოუჩნდა. მიუხედავად ამისა, ტყეშელაშვილს იხტიბარი არ გაუტეხავს და 60 ათასი ლარიც გამოძებნა, რომელიც "ქალაქ რუსთავის 2003-2006 წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური პროგრამის" შესამუშავებლად არის საჭირო. უკვე გაირკვა, რომ პროგრამაზე იმუშავებენ ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და ეკონომიკური რეფორმების ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრი.

მეცნიერები პროგრამის დარგობრივ დამუშავებას აპრილში დაასრულებენ, ხოლო შემაჯამებელი მაკროპროგრამა უკვე მაისში იქნება მზად. ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის პირველი მოადგილის ვახტანგ ვეფხვაძის განმარტებით, ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან შესაძლებელია, იგივე პროგრამა რუსთავის შემდეგ სხვა რაიონებშიც განხორციელდეს. ვეფხვაძის კოლეგის რევაზ კაკულიას განცხადებით, პროგრამაში ისეთი ბერკეტები უნდა ჩაიდოს, რაც ფინანსთა სამინისტროს პასუხისმგებლობას რეგიონების ადგილობრივ ბიუჯეტებთან მიმართებაში მნიშვნელოვნად გაზრდის.

**"დღეს ადგილობრივ ბიუჯეტებზე ცენტრი პასუხს არ აგებს. არადა, ფინანსთა სამინისტრო უნდა განსაზღვრავდეს იმ პოლიტიკასაც, რომელიც რაიონებში ხორციელდება,"** - ამბობს კაკულია. მისი აზრით, დღეს ფინანსთა სამინისტრო არასწორ სატრანსფერო პოლიტიკას ახორციელებს, რითაც პასუხისმგებლობას იხსნის რაიონების ბიუჯეტების შესრულებაზე.

მეცნიერთა აზრით, გადასახედია დღგ-ს საკითხიც: **"ჩვენი ინსტიტუტის ექსპერტული გამოთვლით, ქვეყანა დამატებითი ღირებულების გადასახადის მხოლოდ 30 პროცენტს იღებს. ქალაქის და რაიონების ხელმძღვანელობას არ აინტერესებს ეს გადასახადი, რადგან იციან, რომ ის მთლიანად ცენტრში მიდის. ყველა ქვეყანაში ცენტრალური ხელისუფლება დღგ-ს რაღაც ნაწილს ადგილობრივ ბიუჯეტს აძლევს. მაგალითად, რუსეთი დღგ-ს 23-25 პროცენტს რეგიონებს უტოვებს."**

რუსთავის ექსპერიმენტზე მომუშავე მეცნიერებს კიდევ ბევრი მოსაზრება აქვთ. თუმცა, ისიც კარგად იციან, რომ მათ მიერ შემუშავებულ პროგრამას ხელისუფლების, სამინისტროების მხრიდან დიდი წინააღმდეგობა მოჰყვება. რუსთავის მერი კი თავის ოპონენტებს შემდეგ არგუმენტს უპირისპირებს: **"თუ ცხოვრობ, მაშინ წინსვლაზე და განვითარებაზეც უნდა იფიქრო. ამისთვის კი გარკვეული პირობებია საჭირო. არ შეიძლება კაცს ყელზე თოკი მოაბა, წყალში გადააგო და უბრძანო - არ დაიხრჩო, გამოცურეო."**

რუსთავის ექსპერიმენტის თეორიული ნაწილი მიმდინარე წლის ზაფხულში უკვე მზად იქნება. მერაბ ტყეშელაშვილის თქმით, რუსთავში საქართველოს მთავრობის გასვლითი სხდომა ჩატარდება, სადაც ხელისუფლება პროგრამას გაეცნობა და დაამტკიცებს კიდეც.

# „ფიატი" იშლება

*ვალებში ჩავარდნილი იტალიური გიგანტი "ფიატი" გამოსავალს ეძებს. კომპანიის ხელმძღვანელობამ ახალი ანტიკრიზისული გეგმა შეიმუშავა, რომელიც მის ორ ან მეტ ნაწილად დაყოფას ითვალისწინებს. ეს ნაბიჯი "ფიატის" ფინანსური მდგომარეობის შესახებ ბოლო, სავალალო მონაცემების გამოქვეყნებას მოჰყვა, რომელმაც ინვესტორებს კიდევ ერთხელ გაუცრუა იმედები. კომპანიის თავმჯდომარე პაოლო ფრესკო აცხადებს, რომ "ფიატის" და მისი საავტომობილო ბიზნესის დასახსნელად სხვა გზები არ არსებობს.*

თორნიკე შარაშენიძე

რესტრუქტურიზაციისა და ხარჯთშემცირების გეგმების განხორციელება "ფიატში" უკვე კარგა ხანია მიმდინარეობს და იგი, უპირველესად, ათასობით თანამშრომლის დათხოვნას გულისხმობს. სწორედ ამიტომ მთელ იტალიას საპროტესტო აქციებმა გადაუარა. გარდა ამისა, მდგომარეობიდან გამოსასვლელად კომპანია იძულებული გახდა, რომ "ფერარიში" სოლიდური წილი გაეყიდა. ახლა კი დღის წესრიგშია "ალფა რომეო". ამ მარკაზე კონტროლი "ფიატის" ერთ-ერთმა კრედიტორმა ბანკმა - "მედიობანკმა" გადაიბარა, რომლის ხელმძღვანელობაც წარმოების გაყიდვის საკითხს აყენებს. საერთოდ, "ფიატს" დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღების უფლება, ფაქტობრივად აღარ აქვს. თითქმის ყოველი ახალი ნაბიჯის გადადგმისას იგი თავის მევალე ბანკებს უნდა დაეკითხოს, რომლებიც ოდესღაც ქვეყნის უპირველესი კომპანიისათვის ანგარიშის გაწევას აღარ აპირებენ. "ფიატს" ვერც მისი მეპატრონე ანიელების ოჯახის მეგობარი, პრემიერი სილვიო ბერლუსკონი ეხმარება. როცა კომპანიის პრობლემები პირველად გამჟღავნდა, ბერლუსკონი სუბსიდიების გამოყოფას აპირებდა. მაგრამ ევროკომისიამ ამაში პატიოსანი კონკურენციის წესების შელახვა დაინახა და იტალიის პრემიერს მსგავსი ქმედებისგან თავის შეკავება ურჩია.

ვალების დაგროვება კომპანიამ ისევ საკუთარ თავს უნდა დააბრალოს. ანიელები ძალიან გაერთნენ არასაავტომობილო სფეროების (საბანკო, საკონსულტაციო, საგამომცემლო, საფეხბურთო - "იუვენტუსის" სახით) ათვისებით და საამისოდ დიდძალი კრედიტების აღებას არ ერიდებოდნენ. მათ ყურადღებიდან გამორჩათ მთავარი - იტალიელები ნელ-ნელა გულს იცრუებდნენ "ფიატის"ავტომობილებზე და ბოლო ათწლეულის განმავლობაში კომპანიის საბაზრო წილი ქვეყანაში 60-დან 30 პროცენტამდე დაეცა.

მოკლედ, რესტრუქტურიზაცია საქმეს ვერ შველის. გასული წლის ბოლო კვარტალში "ფიატის" საავტომობილო განყოფილებამ 200 მილიონი ევრო იზარალა და მთელი გასული წლის დანაკარგი 1,7 მილიარდ ევროზე ავიდა, რაც თითქმის ორჯერ მეტია 2001 წლის ზარალზე.

გამოსავალი თითქოსდა არის. ცნობილმა ბიზნესმენმა, "ტელეკომ იტალიას" ყოფილმა თავმჯდომარემ რობერტო კოლანინომ "ფიატ აუტოს" გამოხსნის გეგმა შეიმუშავა. კოლანინო მზადაა, 4 მილიარდი ევრო შეაწიოს კომპანიას აქციათა სოლიდური პაკეტის სანაცვლოდ. ამ წინადადებას იტალიის მთავრობა მოწონებით შეხვდა, მაგრამ ანიელებმა მისგან შორს დაიჭირეს თავი, რადგან ამ გარიგების შემდეგ ბიზნესმენი, პრაქტიკულად, კონტროლს დაამყარებს "ფიატზე." ანიელების ოჯახი, რომელიც "ფიატის" 30 პროცენტს ფლობს, აცხადებს, რომ კომპანია კვლავაც მიჰყვება უკვე შემუშავებულ რესტრუქტურიზაციის გეგმას. ოჯახი საგანგებო შეკრებას აპირებს, რომელზეც "ფიატის" მომავალი განიხილება. სავარაუდოდ, სწორედ აქ გადაწყდება კომპანიის დაყოფა-შენარჩუნების ბედი. თუკი კრედიტორმა ბანკებმაც დაუჭირეს ამას მხარი, "ფიატის" ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყება. როგორც ჩანს, საავტომობილო განყოფილება ცალკე იარსებებს, დანარჩენი ფილიალები კი ცალკე.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ
2003 17 - 23 იანვრის მდგომარეობით



მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6205 | 0.6643 | 0.0052 |
| US$ | 1.6117 | | 1.0708 | 0.0085 |
| €uro | 1.5052 | 0.9339 | | 0.0079 |
| ¥en | 190.67 | 118.31 | 126.69 | |

# გორის რაიონის ბიუჯეტი - შემოსავლები ხარჯების ნახევარსაც ვერ ფარავს

### მთავარია, ღმერთმა დაიფაროს გორის მმართველობა ოპოზიციონერობისგან

ვასილ გულეური
გორიდან

გორის რაიონის საკრებულოს 21 იანვრის სხდომის ძირითადი საკითხი ადგილობრივი ბიუჯეტის განხილვა იყო. რაიონის გამგებლის პირველმა მოადგილემ თამარ ედიშერაშვილმა საკრებულოს წარუდგინა პროექტი, რომლის მიხედვითაც, გორის რაიონის 2003 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი განისაზღვრა ხუთი მილიონ 121 ათას 600 ლარით, ხოლო შემოსავლების ნაწილი ორი მილიონ 469 ათას 600 ლარის ოდენობით.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, გორის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლის საფასური მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე შემცირდება 50 პროცენტით. ეს მოხდება გორის რაიონული ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯზე. ხოლო სექტემბრიდან სწავლების გადასახადი მთლიანად მოიხსნება და პედაგოგთა ხელფასები გაიზრდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოსაცემი ტრანსფერით.

პროექტის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერი 186 ათას 400 ლარით განისაზღვრა, აქედან 179 ათას 500 ლარი ქალაქ გორის საკრებულოსთვისაა გათვალისწინებული.

კამათი გამოიწვია ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის ზაქარია დემეტრაშვილის მოსაზრებამ, რომ არქიტექტურის განყოფილებისთვის გამოყოფილი თანხა ასახულიყო ქალაქის საკრებულოს ბიუჯეტში, რადგან ორგანული კანონით არქიტექტურის სამსახურის შექმნა თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლებაა. გორის რაიონის გამგებელმა შიო კოშაძემ განაცხადა, რომ ამგვარი პრეცედენტი ჯერ არც ერთ რაიონში არ შექმნილა და გორში ექსპერიმენტებს არ დაუშვებს. **"გაითვალისწინეთ, ქალაქის თვითმმართველობა შედის რაიონის მმართველობაში, ჩემი უფლებამოსილების უდიდესი ნაწილი ხორციელდება ქალაქში!"** – განაცხადა მან, რასაც საკრებულოს თავმჯდომარე არ დაეთანხმა.

**"ერთმა რაიონმაც კი პრეცედენტი რომ დაუშვას, ერთი ამბავი ატყდება. ან არც ერთმა არ უნდა გააკეთოს, ან – ყველამ,** – დაეთანხმა რაიონის გამგებელს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ვახტანგ ყანჩაველი და საკითხის გადაწყვეტის გზა გამონახა, – **ოფიციალურად მისწერეთ კანცელარიას და პასუხი რომ მოვა, გადავწყვიტოთ. რაც კანონით გეკუთვნით, არაფერს დაგაკლებთ."** შემდეგ მმართველობასაც და თვითმმართველობასაც შეახსენა, რომ ყველანი გორელები არიან და ერთად უნდა გააკეთონ საქმე. **"ბევრს ხომ არ ითხოვს ხალხი – პატარა რაღაც და რამხელა სიხარულია!** - მიმართა ყანჩაველმა ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარეს. დეპუტატი საკრებულოს წევრებს დაჰპირდა, რომ რესპუბლიკის ბიუჯეტი 28 იანვარს დამტკიცდება. **"134 კაცი გროვდება. ისინი ბიუჯეტს მხარს უჭერენ. მეორე მოსმენით რატომ არ გავიდა, იცით? ჩემმა ფრაქციამ უარი თქვა ხმის მიცემაზე. ოპოზიციას ვილაცეების მოთაფლვა უნდოდა. ღმერთმა დაგვიფაროს ოპოზიციონერობისაგან."**

არქიტექტურის სამსახურის შესახებ თვითმმართველობა და მმართველობა ვერ შეთანხმდა. თუმცა, ქალაქის საკრებულომ თანხმობა მიიღო 30 ათასი ლარის დამატებაზე, რომლითაც "კეთილმოწყობის სამსახურის" დავალიანება უნდა დაიფაროს.

საბოლოოდ, გორის რაიონის საკრებულომ დაამტკიცა წარმოდგენილი ბიუჯეტი, რომლითაც, პირველ რიგში, ალბათ, პედაგოგები და მოსწავლეები დარჩებიან კმაყოფილნი. მაგრამ გაურკვეველია, რითი დაიფარება შემოსავლებზე თითქმის ორჯერ მეტი ხარჯები და აქამდე არსებული დავალიანებები. რაც მთავარია, ეს საკითხი კამათის საგნადაც არ გამხდარა.

# რუსეთს ბადრი პატარკაციშვილის მოქალაქეობის დამტკიცება მოუწევს

პირველი გვერდიდან

მას, "ლოგოვაზის" სხვა ხელმძღვანელებთან ერთად, ტოლიატის საავტომობილო ქარხნიდან სწორედ ამ თანხის საფასურის 2 ათასი ავტომანქანის მიტაცება ბრალდება. "სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით მიტაცება" – ასეთი გახლავთ ყველაზე მძიმე ბრალდება, რომელთა გამოც რუსი სამართალდამცველები დიდი ბრიტანეთისგან ბორის ბერეზოვსკის, ხოლო საქართველოსგან კი – პატარკაციშვილის გადაცემას ითხოვენ. სხვათა შორის, ლონდონის შესაბამისი ორგანოები ქართველ კოლეგებზე გაცილებით უყურადღებონი აღმოჩნდნენ. ამ ცოტა ხნის წინათ, რუსეთის გენპროკურორი ჩიოდა, ლონდონი ჩვენს მოთხოვნაზე საერთოდ არ რეაგირებსო. რაც შეეხება საქართველოს, პატარკაციშვილის ექსტრადიციის პირველ მოთხოვნას 2001 წლის ნოემბერში ქართულმა მხარემ ოფიციალური უარით უპასუხა. ამ უარის არგუმენტაცია საქართველოს კანონმდებლობიდან გახლდათ ციტირებული. კანონის თანახმად, საქართველოს მოქალაქე უცხოეთში ჩადენილი დანაშაულისთვის სამშობლოდან ექსტრადირებას არ ექვემდებარება, მისი ბრალეულობის საკითხს ქართული მართლმსაჯულება არკვევს. რუსეთის მხარემ, მართალია, უკმაყოფილება გამოხატა, მაგრამ უარი საფუძვლიანად ჩათვალა და ერთი თვის წინათ გამოაგზავნა ახალი ბრალდებებით დატვირთული მოთხოვნა, რომელსაც თან ახლდა პატარკაციშვილის რუსული პასპორტის ასლი. ქართველ სამართალდამცველებს ისღა დარჩენოდათ, პატარკაციშვილის ორმაგი მოქალაქეობის შესახებ ეცადათ ინფორმაციის მოპოვება. საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონის თანახმად, საქართველოს მოქალაქეს აკრძალული აქვს ორმაგი მოქალაქეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ავტომატურად ჩამოერთმევა საქართველოს მოქალაქეობა. ამიტომ დეკემბერში



ბადრი პატარკაციშვილი

რუსეთში ექსტრადირების საშიშროება პატარკაციშვილსაც დაემუქრა; თუმცა, დასკვნების გამოტანა ნაადრევი აღმოჩნდა.

"ჯერჯერობით, გადაწყვეტილი არ გახლავთ საკითხი ბადრი პატარკაციშვილის რუსეთში ექსტრადირების თაობაზე, - განაცხადა ჩვენთან საუბრისას საქართველოს გენერალური პროკურატურის უცხოეთთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსმა პაატა მსხილიძემ, - ამ ეტაპზე არსებული მონაცემებით, ის საქართველოს მოქალაქეა. როგორც საქართველოს იუსტიციის სამინისტროში დავადგინეთ, ამ თვალსაზრისით, იურიდიულად ყველაფერი გამართულია. რაც შეეხება რუსეთის პასპორტის ქონას, მარტო პასპორტი სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღებას ვერ ადასტურებს, საამისოდ მთელი რიგი იურიდიული პროცედურებია გასავლელი. ცხადია, ყველაფერში გასარკვევად ჩვენ თავად ბადრი პატარკაციშვილს ჩამოვართვით ახსნა-განმარტება. მისი თქმით, რუსეთის მოქალაქეობა არასდროს მოუთხოვია. უბრალოდ, გადაადგილების თავისუფლების უზრუნველსაყოფად დასჭირდა პასპორტი. ამბობს - მილიციაში თავად არც მივსულვარ, ვილაც გავაგზავნე და პასპორტი მომიტანესო. ეს ნიშნავს, რომ პასპორტი დარღვევით აქვს მიღებული. ჩვენ ოფიციალური მოთხოვნა გავუგზავნეთ რუსეთის მხარეს, რომელშიც ვთხოვთ, გამოგვიგზავნონ ყველა საბუთი, რომელიც ადასტურებს ბადრი პატარკაციშვილის მიერ რუსეთის მოქალაქეობის მისაღებად საჭირო ყველა პროცედურის გავლას. თუ ასეთი დოკუმენტები მოგვაწოდეს, ცხადია, პატარკაციშვილის გადაცემის საკითხიც დადგება, თუ არა და, საქართველოს მოქალაქეს გასასამართლებლად სხვა ქვეყანას ვერ გადავცემთ."

ასეთ შემთხვევაში საქართველოს მოქალაქის ბრალეულობა ქართულმა სასამართლომ უნდა დაადგინოს. მოუწევს თუ არა ქართულ მართლმსაჯულებას ბადრი პატარკაციშვილისა და ბორის ბერეზოვსკის მიერ რუსეთის ფედერაციისთვის მილიარდობით ზარალის მიყენებაზე მსჯელობა, ეს იმაზეა დამოკიდებული, გადმოსცემს თუ არა რუსეთის მხარე მათ ამ დანაშაულთან დაკავშირებული გამოძიების ტომებს.

"სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ რუსეთი ამას არ გააკეთებს", - ამბობს საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე ვენედი ბენიძე.

# გორელ პოლიციელებს დრო უდანაშაულო ახალგაზრდების ცემით გაჰყავთ

თამარ კაციტაძე

გუშინ თავისუფლების ინსტიტუტის გორის რეგიონულმა კოორდინატორმა ია მეფარიშვილმა გორის რაიონიდან თბილისში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩასატარებლად ჩამოიყვანა პოლიციის მიერ ნაცემი სამი ახალგაზრდა. გიორგი ქარელის, ლევან სომხიშვილის და ქართლოს ედიშერაშვილის მტკიცებით, ორი დღის წინ ისინი გორის რაიონის პოლიციის სამმართველოში სცემეს. მეფარიშვილის ინფორმაციით, სამივე "დაზარალებულს" სხეულის სხვადასხვა ადგილას ბლაგვი საგნით მიყენებული დაჟეჟილობები და დაზიანებები აღენიშნება: სომხიშვილს დალურჯებული აქვს თვალი, ედიშერაშვილს თავი აქვს გატეხილი, ხოლო პოლიციის შენობიდან გამოსულ ქარელს, თურმე, ყურიდან სისხლი მოსდიოდა. პოლიციის მხრიდან ამგვარი ანგარიშსწორების მიზეზი უცნობი მძღოლისადმი მიცემული სიტყვიერი შენიშვნა გახდა.

როგორც მეგობრები ამბობენ, ისინი გორში, 20 იანვარს, საღამოს გაჩერებაზე იდგნენ და სოფელ ტყვიავში აპირებდნენ წასვლას. ამ დროს გამვლელ მანქანას ისე ახლოს ჩაუვლია, რომ კინაღამ მათ დაჯახებია. გაბრაზებულ ბიჭებს მძღოლისთვის შენიშვნა ხმამაღლა მიუციათ. მოულოდნელად მანქანა გაჩერებულა. მძღოლს ბიჭებისთვის ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიუყენებია, შემდეგ კი მანქანიდან ხელჯოხი გადმოუღია და სამივე უცემია. პოლიციის ხელკეტით შეიარაღებული უცნობი ისევ მანქანაში ჩამჯდარა და გზა გაუგრძელებია. დაბნეული და ნაცემი მეგობრები კი ისევ გაჩერებაზე დარჩენილან. რამდენიმე წუთში "ნაცნობი" მძღოლი ოთხი პოლიციელის თანხლებით დაბრუნებულა, ბიჭები მანქანაში ჩაუსვამს და პოლიციის განყოფილებაში წაუყვანია. როგორც გზაში გაირკვა, მეგობრები დაცვის პოლიციის თანამშრომლის – ვინმე ბეჟანის "მახეში გაბმულან".

პოლიციის შენობაში ბიჭებზე "ზრუნვა" გაუგრძელებია გორის პოლიციის სამმართველოს სამძებროს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ავთანდილ ლომიტაშვილს. დაზარალებულთა განცხადებით, რაიონის მაღალჩინოსანი სამართალდამცველის კაბინეტში მათ უკვე ხუთი კაცი ურტყამდა - ლომიტაშვილი და ის ოთხი პოლიციელი, რომელიც თავდაპირველად ბეჟანმა დაიხმარა.

გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩენილ ქარელს ბიძასთან – გორის "ნაციონალური" მოძრაობის ლიდერთან - მიშა ქარელთან დარეკვა მოუთხოვია, რასაც ლომიტაშვილი კიდევ უფრო აღუშფოთებია და ბიჭების ცემაც უფრო მონდომებით გაუგრძელებია.

კანონდამცველებმა "დამნაშავეების" ცემით გული რომ იჯერეს, ბიჭებს ხელწერილები დააწერინეს და სახლში იმ პირობით გაუშვეს, რომ მეორე დილით პოლიციაში მშობლების თანხლებით მივიდოდნენ.

სრულწლოვანი ქარელი, სომხიშვილი და ედიშერაშვილი დანიშნულ დროს პოლიციის სამმართველოში გამოცხადდნენ, მაგრამ მშობლების ნაცვლად მიიყვანეს ერთ-ერთის ბიძა. "დავალების ცუდი შესრულებისთვის" სამძებროს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს სამივე მეგობრის დაკავების ბრძანება გაუცია, ბიძა კი შენობაშიც არ შეუშვია.

ბიჭების გასაჭირის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციას სწორედ ბიძამ შეატყობინა.

ია მეფარიშვილი, რომელიც გორის რაიონში პოლიციაზე საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭოს თავმჯდომარეც გახლავთ, პოლიციის შენობაში საღამოს რვა საათზე მისულა. მაგრამ მისთვის ბიჭების ნახვის უფლება არ მიუციათ. ამასობაში პოლიციის უფროსი თბილისიდან დაბრუნებულა. მეფარიშვილის თქმით, იგი საქმის შესახებ ინფორმირებული არ იყო. სამძებროს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს კი უფროსის წინაშე თავი უმართლებია – ქურდები არიან, ქუჩაში გამვლელს ყელსაბამი ჩამოწყვიტესო.

მეფარიშვილს ნაცემი ბიჭების ნახვა განმეორებით მოუთხოვია, მაგრამ ლომიტაშვილს უთქვამს – "წუხელ დავაკავეთ და მაშინვე გავათავისუფლეთ. როგორც ჩანს, ღამე სახლებში არ მივიდნენ და მშობლებს ჰგონიათ, რომ ჩვენთან არიან."

პოლიციის შენობიდან გამოსულ ადამიანის უფლებების დამცველს სამივე მეგობარი (ისინი რამდენიმე წუთით ადრე გაუთავისუფლებიათ) მძღოლმა მისსავე მანქანაში დაახვედრა. როგორც ქარელს უთქვამს, ლომიტაშვილს რომ გაუგია მეფარიშვილი მოვიდაო, იგი კვლავ კაბინეტში ჩაუყვანია, წიხლით უცემია და ამის შემდეგ სამივე მეგობარი გაუთავისუფლებია.

როგორც თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, მომხდარის შესახებ ინფორმირებულია რაიონის პოლიციის ხელმძღვანელობა. პოლიციის უფროსი კი დაჰპირებია - ლომიტაშვილს თანამდებობას დავატოვებინებო.

როგორ დასრულდება ტყვიაველი ბიჭების ისტორია, წინასწარ ძნელი სათქმელია, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ სამძებროს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტი დაუმტკიცდება, ვფიქრობთ, მხოლოდ თანამდებობის დატოვება მისთვის საკმაოდ მცირე სასჯელი იქნება. არადა, სამწუხაროდ, ანალოგიური შემთხვევები სწორედ ამგვარად სრულდება.

# სადახლოს ბაზრობამ პოლიციას საკუთარი რეკეტიორები ამჯობინა

ინგა ალავიძე

სადახლოს ბაზარში გავლენის სფეროების გადანაწილების მცდელობა ადგილობრივ აზერბაიჯანულ მოსახლეობასა და ქართულ პოლიციას შორის სერიოზული კონფლიქტის მიზეზი გახდა. შეტაკება სადახლოს პოლიციასა და აზერბაიჯანული წარმოშობის რეკეტიორებს შორის დაახლოებით ნახევარ საათს გრძელდებოდა და, ფაქტობრივად, პოლიციელთა განიარაღებით დასრულდა. ხელკეტებით ნაცემმა პოლიციელებმა იმის შიშით, რომ კონფლიქტს მოსახლეობის მასშტაბური აფეთქება არ მოჰყოლოდა, ბაზრის ტერიტორიიდან გასვლა ამჯობინეს.

პოლიციის რეიდი, რომელიც ბაზრობაზე სულარისა და სადახლოს პოლიციის თანამშრომლებმა ჩაატარეს, მარნეულის გამგეობისა და სამართალდამცველების მიერ მიღებული დადგენილების საფუძველზე მოხდა. საქმე ისაა, რომ სადახლოს ბაზრობას ეთნიკური აზერბაიჯანელებისგან შემდგარი დაჯგუფება აკონტროლებს. რეკეტიორები სადახლოში საცალფეხო ხიდით გადასულ სომხებს ავიწროებენ. აზერბაიჯანელთა მიერ სომეხი მოვაჭრეებისა და მყიდველებისთვის დაწესებულია არაოფიციალური გადასახადი – 10 დოლარი, რომლის გადაუხდელობის შემთხვევაში სომეხი ეროვნების ადამიანი ბაზრობაზე შესვლას ვერ გაბედავს. 10-დოლარიანი გადასახადი სერვისსაც ითვალისწინებს – რეკეტიორთა მიერ დაქირავებული ჯგუფები სომხებს ნავაჭრის გადაზიდვაშიც ეხმარებიან. სადახლოს ბაზრობაზე დამკვიდრებული ამ წესის მიუხედავად, სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის კონფლიქტი გუშინდლამდე არ მომხდარა.

გუშინ, დილით, სადახლოს ტრადიციულ დიდ ბაზრობაზე, აზერბაიჯანელ რეკეტიორთა წინააღმდეგ გამოვიდა მარნეულის პოლიცია. პოლიციელთა მხარდაჭერით დაიმედებულმა მოვაჭრე სომეხთა ნაწილმა უარი განაცხადა დაწესებული "ზეგარის" გადახდაზე, რასაც აზერბაიჯანელ რეკეტიორთა განრისხება და საქმეში პოლიციის ჩარევა მოჰყვა. ყველაფერი კი პოლიციელებსა და რეკეტიორებს შორის შეტაკებით დასრულდა.

პოლიციელთა მტკიცებით, მათ გამომძალველებს წესრიგისკენ მოუწოდეს, საპასუხოდ კი რეკეტიორთა კარგად ორგანიზებული ჯგუფის თავდასხმა მიიღეს. საწინააღმდეგოს ამტკიცებენ აზერბაიჯანელები. რომელთა განცხადებითაც, მათ თავს დაესხნენ პოლიციელები და ძალით დაშლა დაუპირეს.

კონფლიქტის დროს ტრავმა მიიღო სადახლოელმა საბურ ხალიევმა, რომელიც საავადმყოფოში მოათავსეს. ტრამვირებულია სადახლოს პოლიციის სამი თანამშრომელიც. მარნეულის პროკურატურაში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებით აღიძრა საქმე საზოგადოებრივი წესრიგის დამცველთათვის წინააღმდეგობის გაწევის მუხლით.

"ბაზრობაზე დამკვიდრებული წესის მოსაშლელად იქ სადახლოს პოლიციის ჯგუფი შევიდა. ბაზრობაზე მისულმა სომეხი ეროვნების პირმა 10 დოლარი უნდა გადაიხადოს – ეს, ფაქტობრივად, რეკეტია და ასეთი რამ დაუშვებელია. აზერბაიჯანელთა არგუმენტი ასეთია: ლუკმაპურს ამ საქმიანობით ვჭამთ, აბა, რა ვქნათ. სხვადასხვა მიზეზების გამო, ჩვენ მაქსიმალურად თავს ვარიდებდით სიტუაციაში ჩარევას, მაგრამ რეკეტის ამ სახეობამ მასიური სახე მიიღო და ამიტომაც გადავწყვიტეთ ბაზრობაზე წესრიგის დამყარება,"- განაცხადა ჩვენთან საუბრისას ქვემო ქართლის პოლიციის უფროსმა ალეკო ბუკიამ.

სადახლოს აზერბაიჯანული მოსახლეობა მომხდარი ინციდენტის სამართლიანად გამოძიებას და პოლიციელთა დასჯას მოითხოვს. და თუ სადახლოს ბაზრობას პოლიცია თავს არ დაანებებს, ისინი საპროტესტო აქციებითაც იმუქრებიან.

## ვალერი ლეონტიევი გაქურდეს

კიროვში გასტროლებზე ჩასული ვალერი ლეონტიევი გაქურდეს. მან ცირკში, სადაც კონცერტი უნდა ჩაეტარებინა, დაკარგა ჩანთა, რომელშიც საბუთები და 12 ათასი რუბლი იდო. კიროვის მილიციამ დაკითხა ქურდობაში ეჭვმიტანილი სცენის მუშები. საბოლოოდ დადგინდა, რომ ცირკის თანამშრომლებს - ლეონტიევის ნივთები არ მოუპარავთ. კიროვის მილიციის ვარაუდით, მომღერალს ჩანთა მისი გარემოცვის წევრმა მოპარა.

## მატარებელში ცნობილი ქილერი დააკავეს

ტრანსპორტის მილიციის თანამშრომლებმა მოსკოვი-ბრესტის მატარებელში დააკავეს ცნობილი კრიმინალი, პროფესიონალი ქილერი, რომელსაც ბრალი ედება რუსეთში განხორციელებულ სერიულ მკვლელობებში.

35 წლის ბელორუსიელი ვასილი სლავგოროდსკი შეიარაღებული იყო "აკს"-ის სისტემის ავტომატით, 5,45 კალიბრის ტყვიებით, ოპტიკური სამიზნით და ჯავშანჟილეტით. პროფესიონალი ქილერის ჩვენებით, ავტომატი მან ჯერ კიდევ 1993 წელს მიიღო, როცა კრემლის დაცვაში მუშაობდა. მისივე განცხადებით, მანამდე იგი რუცკოის პირადი დაცვის თანამშრომელი იყო.

სამართალდამცველთა ინფორმაციით, სლავგოროდსკი წლების განმავლობაში იძებნება. მას ბრალი ედება რუსეთსა და ბელორუსიაში განხორციელებულ მკვლელობებში, ძარცვა-ყაჩაღობასა და ბანდიტიზმში.

## ლებედის სიკვდილში დამნაშავეებს მკაცრი სასჯელი ელით

კრასნოიარსკის გუბერნატორის ალექსანდრ ლებედის დაღუპვის ფაქტზე დაწყებული გამოძიება დასრულდა. მიმდინარეობს სასამართლო პროცესი, რომელიც ვერტმფრენის (რომლითაც გუბერნატორი მგზავრობდა) კატასტროფის გამომწვევ მიზეზებს საბოლოოდ დაადგენს.

პროკურატურამ დააპატიმრა ვერტმფრენის ორ პილოტი, რომლებსაც ბრალი წაუყენა ფრენის უსაფრთხოების წესების დარღვევაში, რამაც ადამიანთა დაღუპვა გამოიწვია. რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, პილოტებს 10-წლიანი პატიმრობა ელით.

## მოკლედ

**თბილისი.** არძინბას დაცვის უფროს ვოლმერ ბუთბაზე, შესაძლოა, დაკავების სანქცია გაიცეს და ძებნაც გამოცხადდეს, - განაცხადა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურორმა ირაკლი წერეთელმა. მისი თქმით, იმ შემთხვევაში, "თუ დადასტურდება რომ დავით შენგელიას მკვლელობა ბუთბამ შეუკვეთა, მის, როგორც საქართველოს მოქალაქის წინააღმდეგ შესაბამისი სამართლებრივი დევნა განხორციელდება". საგამოძიებო ღონისძიებებისა და დაკავებულთა დაკითხვისას ბუთბა, როგორც შემკვეთი, დაკავებულმა ყოლბაიამაც დაასახელა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** დათო შენგელიას მკვლელობის მცდელობაში ეჭვმიტანილი სერგეი ნიკოლაევი სასჯელთაღსრულების N5 საპყრობილეში სხეულის მრავლობითი დაზიანებებით მოათავსეს. თბილისის სასჯელთაღსრულების დეპარტამენტში განაცხადეს, რომ ნიკოლაევს მრავლობითი ჭრილობები აღენიშნება თავის, გულ-მკერდის, სახისა და ქვემო კიდურების არეში. პატიმარი აცხადებს, რომ ეს დაზიანებები მან დაკავების დროს ხელყუმბარის აფეთქების შედეგად მიიღო. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ავტოსატრანსპორტო შემთხვევამ 17 წლის ნოდარ ზაქარეიშვილის სიცოცხლე იმსხვერპლა. სამმა მოზარდმა 17 წლის ლაშა ქარჩავამ, 18 წლის რატი სხირელმა და 18 წლის კობა ლომიძემ კი სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღეს. მოსკოვის პროსპექტზე მაღალი სიჩქარით მიმავალი ავტომანქანა "რენო" ხეს შეეჯახა. ავარიის შედეგად ადგილზევე დაიღუპა მოსკოვის გამზირზე მცხოვრები ნოდარ ზაქარეიშვილი. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**გორი.** შიდა ქართლის პოლიციის სამმართველოს გორის საპატრულო ჯგუფმა წუხელ, გვიან ღამით გატაცებული "ვაზ-2106" მარკის ავტომანქანა გატაცებიდან, დაახლოებით, 15 წუთში აღმოაჩინა. სამართალდამცველებმა გამტაცებლები ლევან ბეჟანიშვილი და ვახტანგ ფანიაშვილიც დააკავეს. მათ ივანე ხაბელაშვილის კუთვნილი ავტომანქანა გორის ცენტრალური საავადმყოფოს ეზოდან გაიტაცეს. გამტაცებლებს ავტომანქანა სარეალიზაციოდ ცხინვალის რეგიონში უნდა გადაეყვანათ. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**გორი.** ქარელის პოლიციის თანამშრომლებმა გუშინ, გვიან ღამით დამნაშავეთა სამყაროს ავტორიტეტი, ყაჩაღობისთვის ძებნილი 30 წლის გოგიტა ქერეჭაშვილი, მეტსახელად "ჭიპრანა" დააკავეს. ქერეჭაშვილი ქარელის რაიონში მდებარე ერთ-ერთ ტოტალიზატორში ხელყუმბარით შეიჭრა და აფეთქების მუქარით გარკვეული რაოდენობის თანხა გაიტაცა. ქერეჭაშვილი სხვადასხვა მძიმე კატეგორიის დანაშაულისათვის სამჯერაა ნასამართლევი. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**მოსკოვი.** რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ქართული სასამართლო ხელისუფლების კრიტიკით გამოვიდა, რომელიც უარს ამბობს რუსეთის ტერიტორიაზე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული ჩეჩნის, აბულხამიდ ალიევის გადაცემაზე. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, საქართველო და რუსეთი სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებული კონვენციის მონაწილეები არიან, რომელსაც 1993 წლის 22 იანვარს მოეწერა ხელი. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტარმა დიმიტრი ჯაიანმა მასზე განხორციელებული თავდასხმის მონაწილე ბოროტმოქმედთა ფოტორობოტები შეადგინა. მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების უფროსის ნიკო ხაინდრავას ინფორმაციით, ფოტორობოტებით ამოცნობის ღონისძიებები ტარდება. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** სამხრეთ ოსეთის უმაღლესი სასამართლო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ბრალდებული თვითგამოცხადებული რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილის ალექსეი ჩიბიროვის ადვოკატების საკასაციო სარჩელს განიხილავს. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** გალის აფხაზურმა რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 23 დეკემბერს გალის რაიონის ტერიტორიაზე ჩატარებული სადამსჯელო-პროფილაქტიკური ოპერაციის შედეგად დაკავებული ორი ქართველი მოქალაქე, ზუგდიდის რაიონის სოფელ ტყაიაში მცხოვრები შალვა შერვაშიძე და ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყარის მკვიდრი ბესო ბუკია გაათავისუფლა. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** უზენაესმა სასამართლომ პატიმრობის ვადა ერთი თვით გაუგრძელა ხაშურის საკრებულოს დეპუტატის ჯემალ ენჯიბაძის მკვლელობაში ბრალდებულ გოჩა ჭელიძეს. ჭელიძის ადვოკატის ზურაბ როსტიაშვილის განცხადებით, „სასამართლო პროკურატურის ინტერესებს იცავს და მიუხედავად იმისა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ მტკიცებულებები არ არსებობს, მაინც უგრძელებს პატიმრობის ვადას“. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** მცხეთის რაიონის პოლიციამ დააკავა თბილისში მცხოვრები, 28 წლის დავით შარტავა, რომელიც თავს დაესხა თბილისში მცხოვრებ ხვიჩა კაპანაძეს და საფანტის პისტოლეტის მუქარით ცდილობდა გაეტაცა ავტომანქანა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** სამეგრელო-სვანეთის სამხარეო სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველოს თანამშრომლებმა ფოთში დააკავეს ე.წ. „კანონიერი ქურდი“ 38 წლის მერაბ კოკაია, რომლისგანაც ამოიღეს ხელყუმბარა „ფ-1“. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ცაგერის რაიონის პოლიციამ დააკავა ყაჩაღობისათვის ძებნილი, 25 წლის მინდია ყურაშვილი, რომელმაც 2001 წლის 15 ივნისს მიხეილ შუკაკიშვილს ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით წაართვა ავტომანქანა, ხოლო მის მგზავრებს - ფული და ნივთები. **მედია-ნიუსი.**

# "სტაიანჩიკები", შეგირდები და დაკარგული ათასები

***"მე არაფერი არ მაინტერესებს, გაძლევთ სამ-ოთხ კვირას მდგომარეობის გამოსასწორებლად, ნუ ლაპარაკობთ შევარდნაძესავით და ყველაფერს სისტემას ნუ აბრალებთ. ერთი თვის შემდეგ თუ არაფერი შეიცვალა, საკრებულო ომს გამოგიცხადებთ,"** – ასეთი კატეგორიული იყო გუშინ მიხეილ სააკაშვილი. ამჯერად საკრებულოს თავმჯდომარის რისხვა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებელს გოგი ჩაჩანიძეს დაატყდა.*

სოფო ბუკია

დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც თბილისის საკრებულომ და მისმა თავმჯდომარემ ვაკე-საბურთალოს გამგებელს დავით სულაძეს შავი დღე გაუთენეს, ავტოპარკირების აღრიცხულ თუ აღურიცხველ ადგილებზე არბენინეს და საკრებულოს სხდომაზე პირველკლასელი მოსწავლესავით "ყური აუწიეს".

გუშინ ჯერი დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობაზე და მის თავკაცზე მიდგა.

მართალია, საკრებულოს დროებითმა ანტიკორუფციულმა კომისიამ (ბესო ჯუღელის ხელმძღვანელობით) დიდუბელ გამგებელსაც აღმოუჩინა ცოდვები, მაგრამ მის პერსონას საკრებულოში დიდი აყალ-მაყალი მაინც არ გამოუწვევია. ანტიკორუფციულმა კომისიამ ორი კვირის განმავლობაში უკირკიტა დიდუბე-ჩუღურეთის მოსაკრებლების სამსახურის მუშაობას და მოკვლევის შედეგად მიღებული დასკვნა გუშინ კომისიის სხდომაზე წაიკითხა, სადაც საპატიო სტუმრად თავად გამგებელი ჩაჩანიძე იყო მიწვეული.

გამგეობების მთავარ უპატიებელ ცოდვად კვლავ ავტოსადგომებზე არსებული მდგომარეობა სახელდება, რის გამოც, საკრებულოს თავმჯდომარის გათვლით, დედაქალაქის ბიუჯეტი 900 ათასი ამერიკული დოლარით ზარალდება. **"ამ თანხით შესაძლებელი იქნებოდა პენსიების კიდევ ოთხი ლარით მომატება,"** – გამოითვალა სააკაშვილმა.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობას ავტოპარკირებისთვის თავი რომ მოება, დედაქალაქის ბიუჯეტში ამ სფეროდან ყოველწლიურად მილიონ ორასი ათასი ლარი უნდა შედიოდეს. აღმოჩნდა, რომ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში ფიქსირებულ 80-მდე ავტოსადგომს ემსახურება უამრავი მთავარი, წამყვანი, უფროსი, უმცროსი და ა.შ. სპეციალისტი, აგრეთვე 169-მდე "ჯოხიანი კაცი", ანუ ისინი, ვინც მწვანე ჟილეტებში გამოწყობილები, ავტოსადგომს თვალყურს ადევნებენ და ფულს კრებენ. ნუ გაგიკვირდებათ და თითო "ჯოხიან კაცს" მიმაგრებული ჰყოლია ოცამდე შეგირდი. მომავალი "ჯოხიანი კაცები" ამ რთულ პროფესიას რუდუნებით ეუფლებიან და სწავლა-განათლებაში გასამრჯელოსაც იღებენ.

**"ხალხო, გამაგებინეთ, იქნებ მე არ ვიცი და ამ პროფესიას ბევრი მეცადინეობა სჭირდება? მითხარით, რად უნდა, უკაცრავად, არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებ, ჯოხის ჭერას და ფულის აკრეფას სპეციალური კურსის გავლა,"** – იკითხა გუშინ საკრებულოს თავმჯდომარემ.

ავადსახსენებელი ავტოსადგომები გამგეობების დაქვემდებარებაში მიმდინარე წლის 1 ივნისს გადავიდა. მანამდე "ჯოხიან კაცებს" კონტროლს მერია უწევდა.

გამგებელმა ჩაჩანიძემ თავი იმით იმართლა, რომ ამ პრობლემის მოგვარება ძალიან ძნელია, რომ ყველგან ასეა და რომ ყველაფერში სისტემაა დამნაშავე. პრობლემის მოსაგვარებლად ჩაჩანიძეს აუცილებლად მიაჩნია ოფიციალური დისლოკაციის ადგილების განსაზღვრა და "ჯოხიანი კაცების" ნაცვლად სპეციალური ავტომატების დადგმა, რაც, მისივე თქმით, არც თუ ისე დიდ ხარჯებს უკავშირდება.

სააკაშვილმა, თავის მხრივ, პარკირების ობიექტების მაქსიმალურად გაკონტროლება, ავტოსადგომების მუშაკებისთვის ხელფასების 20 ლარიდან 200 ლარამდე გაზრდა, შეგირდების შემცირება და ხელმძღვანელობისთვის 500-600 ლარიანი ხელფასების დაწესება შესთავაზა.

გუშინდელ სხდომაზე დიდუბელ გამგებელს ცენტრალური სუპერმარკეტის (დეზერტირების ბაზარი) ტერიტორიაზე გაჩაღებული გარე ვაჭრობაც შეახსენეს. ანტიკორუფციული კომისიის დასკვნის მიხედვით, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში გარე ვაჭრობის მოსაკრებლების მოუწესრიგებლობისა და ამ სფეროში გამეფებული კორუფციის გამო, დედაქალაქის ბიუჯეტი ათასობით ლარს კარგავს.

**"გარე ვაჭრობის პრობლემის მოგვარებაში დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობა ყოველთვის მარტოა,"** – დაიჩივლა გუშინ ჩაჩანიძემ. მისი თქმით, გარე ვაჭრობის პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგება და მერიისა და საკრებულოს გვერდში დგომა.

## ინფორმაცია

### გერმანია საზღვრისპირა რეგიონებს კვებავს

გუშინ რუსთავში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პროგრამის - "სამხრეთ კავკასიაში საკვებით უზრუნველყოფისა და რეგიონული თანამშრომლობისა და სტაბილურობის განვითარება" - ფარგლებში, საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას საკვები პროდუქტები გადაეცა. გერმანიის ტექნიკური დახმარების საზოგადოებასთან (GTZ) ერთად, სურსათი გაანაწილეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა. პროექტს, რომელიც, სავარაუდოდ, სამ წელიწადს მოიცავს, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო ახორციელებს. კვების პროდუქტები დაურიგდა: მარნეულის რაიონში - 7569, გარდაბნის რაიონში - 11515, ქალაქ რუსთავში - 10146 ადამიანს. დახმარება მიიღეს პენსიონერებმა, მარტოხელა დედებმა, 16 წელზე ნაკლები სამ ან მეტშვილიანმა ოჯახებმა, ასევე, დევნილებმა, ინვალიდებმა და მზრუნველობას მოკლებულმა ბავშვებმა. მთლიანობაში, 29230 მომხმარებლიდან თითოეულმა 25 კგ. ფქვილი, 3 ლიტრი მცენარეული ზეთი და 1 კგ. შაქარი მიიღო. ეს ორი თვის რაციონად ითვლება. **კავკას-პრესი**

### ნაგავს აწონიან, მაგრამ არ დააფასოებენ

შპს "კედარსა" და "საქსტანდარტმრეწვს", რომლებიც გლდანისა და ლილოს ნაგავსაყრელებს უნდა უვლიდნენ, თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურმა კონტრაქტი გაუწყვიტა. სამსახურის ახალი ხელმძღვანელის, შალვა ბებოშვილის განცხადებით, რომელიმე ორგანიზაციასთან დროებითი ხელშეკრულება გაფორმდება. ნაგავსაყრელებზე ამუშავდება ასაწონი მოწყობილობა, რათა მკაცრი კონტროლი განხორციელდეს და განისაზღვროს, რა რაოდენობის ნაგავი გროვდება დედაქალაქში. დაგეგმილია ასევე ნაგავსაყრელების შემოღობვა და სპეციალური დაცვით მათი უზრუნველყოფა. წლეულს საბოლოოდ დასრულდება ლილოს ნაგავსაყრელის ლიკვიდაცია, ახალი ნაგავსაყრელი კი იაღლუჯის პოლიგონზე გაიხსნება. ამ სამუშაოების განსახორციელებლად, გასული წლის ბიუჯეტში 600 ათასი ლარი იყო გათვალისწინებული. ლილოს ნაგავსაყრელის ლიკვიდაციის შემდეგ, დედაქალაქში გაიხსნება ნაგვის გადამტვირთავი პუნქტი, საიდანაც ტრაილერებით ნაგავს იაღლუჯის ნაგავსაყრელზე გაიტანენ. რაც შეეხება ნაგავგადამამუშავებელი ქარხნის აშენებას, ბებოშვილის ინფორმაციით, ამ საკითხზე მუშაობს დედაქალაქის მთავრობა, თუმცა, ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის. **მედია-ნიუსი**

## მოკლედ

**თბილისი.** მეწყრის საშიშროების გამო, გუშინ ტყიბულის რაიონის სოფელ ანტორიიდან დარჩენილი 5 ოჯახი გამოასახლეს. ევაკუაციის მიზეზი გახდა ის, რომ, უხვი ნალექის შედეგად, სოფელ ანტორიაში ნელ-ნელა მეწყრული მოვლენები განვითარდა. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ჭიათურის რაიონის სოფელ ხრეითში, წვიმებით გამოწვეული მეწყრული წარმონაქმნები მოსახლეობას 30 მეტრის მანძილზე მიუახლოვდა. სახიფათო ზონაში 10 ოჯახია. მეწყერსაშიშ ადგილებში მცხოვრები ოჯახების ევაკუირება უახლოეს დღეებში დაიწყება. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსთა სამინისტროდან ტრანსფერის დაგვიანებით გადარიცხვის გამო, სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი დედაქალაქის პენსიონერებისთვის დეკემბრის პენსიის დარიგებას ვერ ახერხებს. ამ თვის პენსია სრულად მიიღეს წყნეთისა და ვაკის რაიონის მცხოვრებლებმა. საქართველოს სხვა რეგიონებს სრულად მხოლოდ ოქტომბრის პენსია აქვთ დარიგებული. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბუნებრივი აირის გათიშვამ თბილისის სკოლებსა და ბაგა-ბაღებს გათბობის პრობლემები შეუქმნა. ბუნებრივ აირზე დედაქალაქში 14 სკოლის საქვაბე მუშაობდა. განათლების მეურნეობის საქალაქო სამსახურის განცხადებით, ნავთითა და დიზელის საწვავით მათი მომარაგება უკვე დაიწყო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** არსებული 48.000 გარე გამანათებლისგან დღეს მხოლოდ 14 ათასი მუშაობს, თუმცა, "თბილქალაქგანათების" სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელის, ლადო კვიჭიძის განცხადებით, ელექტროენერგიის დეფიციტი მათ ფუნქციონირებაზეც აისახება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს დილიდან თბილისის სამგზავრო ავტობუსების 40 პროცენტი ყოველდღიურ რეისებზე არ გავიდა. ამის მიზეზი ბუნებრივი აირის შეწყვეტა გახდა. ავტობუსების 40 პროცენტი ქალაქში სწორედ გაზზე მუშაობს. თბილისის მერიის საქალაქო ტრანსპორტის რეგულირებისა და მართვის სამსახურის უფროსის ოთარ ჭიპაშვილის განცხადებით, მდგომარეობა მხოლოდ ბუნებრივი აირის მიწოდების აღდგენის შემდეგ გამოსწორდება. **მედია-ნიუსი**

# სითბო უფრო გაძვირფასდა

## დედაქალაქში ბუნებრივი აირის შეწყვეტის შემდეგ ნავთზე, მამაპაპურ შეშასა და თხევად აირზე ფასები ელვის სისწრაფით გაიზარდა

პირველი გვერდიდან

"ხვალ რომ ექვსი ლარი გახდეს, არც ეს უნდა გაგიკვირდეს. ეყიდებათ და, გიჟები არიან, ნაკლებად გაყიდონ?!", - ორმოციოდე წლის მამაკაცი შეეცადა, რიგში მდგომი ქალბატონისთვის ასე აეხსნა საბაზრო ეკონომიკის მარტივი პრინციპები.

თხევადი აირის გრძელ რიგში იმასაც ამბობდნენ, რომ ლარსთან მომხდარი "უბედური" შემთხვევა "ჩაწყობილი ამბავია", რომელიც ზოგიერთი ჩინოვნიკის ინტერესებში შედის. ვახუშტის ხიდის ქვეშ მდებარე გაზგასამართ სადგურზე, ასეთ დიალოგსაც მოვკარი ყური: "ავარიაც და დივერსიაც იმ ბიზნესმენების მოწყობილია, ვისაც ამ ზამთარს გაზისა და ნავთის ბიზნესი ჩაუვარდა", "რა თქმა უნდა, ჩვენი მთავრობის ხელშეწყობით მოხდა მაგი ამბავი. რომ გვეუბნებიან, აღდგენით სამუშაოებს და გაზის გაშვებას სამიოთხი კვირა სჭირდებაო, განა უფრო მალე არ შეუძლიათ? დროს შეგნებულად ჭიმავენ, რომ საკუთარი ბიზნესი ფეხზე წამოაყენონ".



თხევადი აირის გამყიდველები, თავის მხრივ, საბითუმო ფასების მომატებაზე წუწუნებდნენ. "ასაღები ფასი გაძვირდა და ჩვენ რა ვქნათ, ხომ არ ვიზარალებთო", - თავის აუწევლად გვითხრა მომსახურე პერსონალმა, რომელიც კლიენტებს ძლივს აუდიოდა.

მართალია, თბილისელთა ის კატეგორია, რომელიც ზამთარში შეშით თბება, საწვავისთვის რიგში არ დგას, მაგრამ შეშის ერთი ლარით გაძვირება მხედველობიდან არ უნდა გამორჩენოდა. თუ "კრიზისამდე" ერთი ტომარა შეშა სამი ლარი ღირდა, დღეს, ბევრიც რომ ირბინოთ, ოთხ ლარზე ნაკლებად ვეღარ იშოვით.

ნავთის ფასმაც, ბუნებრივი აირის გათიშვის შემდეგ, ათი-ოცი თეთრით მოიმატა. ახალგაზრდა ქალმა ქუჩაში შემხვედრ მეგობარს ახარა: ნავთი სამოცდაათ თეთრად ძლივს ვიშოვეო (ნავთის ფასი დღეს 80-90 თეთრს შორის მერყეობს).

გასათბობი ტექნიკისა და მათი სათადარიგო ნაწილების ფასი თითქმის უცვლელი დარჩა. თუმცა, ელექტროქურებისა და ნავთქურების შემკეთებლებს დღეს საქმე ერთიორად მოემატათ. მწყობრიდან გამოსული "კერასინკის", "ტურბოსა" და "ნიქ-ქალას" არსებობა ბევრს ლარსთან მომხდარი ავარიის შემდეგ გაახსენდა. სახელოსნოებში, მომსახურებისთვის, ისევ ძველი ტარიფები მოქმედებს.




ენერგოკრიზისის სადაგი დღეები

# მზიანი, წყლიანი, ქარიანი და უპატრონო

სატელევიზიო გადაცემის "ენერგიის" ავტორის მერაბ ბერაძის მხარდამჭერი პრესკონფერენცია სრულიად ლოგიკურად გადაიქცა ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებისადმი მიძღვნილ თავყრილობად. გაყინული სახლებიდან გამოსული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხელმძღვანელები - მზიან, წყლიან, ქარიან და უპატრონო საქართველოზე საუბრობდნენ.

ასეთი ბუნებრივი შესაძლებლობების მქონე ქვეყანაში ელექტროენერგიის პრობლემის არსებობა სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოსო, ამბობდნენ ისინი და ყველაფერში მთავრობას ადანაშაულებდნენ. თავის სიტყვას ყველა მერაბ ბერაძის ქებითა და პრემიების სახელმწიფო კომიტეტის კრიტიკით იწყებდა. გამომსვლელთა აზრით, ტელეჟურნალისტს სახელმწიფო პრემია წელს ნამდვილად ეკუთვნოდა. პრესკონფერენციას პრემიების კომიტეტიდან არავინ ესწრებოდა. ოპონენტების არყოფნის გამო კი აღნიშნულ თემას დიდხანს არავინ აგრძელებდა. ამ საკითხს წერტილი თავად კანდიდატმა დაუსვა, როცა თქვა, პრემიაზე მეტად თქვენი მხარდაჭერა მიხარიაო.

"ჯადო აქვს, თუ რა ჭირს ამ ჩვენ მთავრობას, გაუგებარია. მხარს არ უჭერს არცერთ ნოვატორულ წინადადებას," – განაცხადა მცირე მეწარმეთა ასოციაციის წევრმა. მეცნიერები გვარწმუნებდნენ, რომ ინოვაციები ქვეყნის ენერგეტიკული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალებაა და განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებულია. ისაუბრეს ქართული მეცნიერების სავალალო მდგომარეობაზეც და მთავრობის გარდა, სენსაციებზე ორიენტირებულ მასმედიასაც გადაწვდნენ. დასასრულს, შეხვედრის მონაწილენი შეთანხმდნენ, რომ მიიღებენ შესაბამის მიმართვას მთავრობის სახელზე და იზრუნებენ ქართული მეცნიერების პოპულარიზაციისთვის.

**"24 საათი"**

# ერთი - ყველასათვის

## "თბილწყალკანალში" ქალაქის გამრიცხველიანებაზე ალაპარაკდნენ

*"თბილწყალკანალი" აქტიურად იხილავს წყალმომარაგების ფრანგული კომპანიის, "კომპანი ჟენერალ დე ზო"-ს წინადადებას. ეს ორგანიზაცია ერთადერთი აღმოჩნდა, ვინც თბილისის წყალმომარაგების სისტემაში ოპერატორობის სურვილი გამოთქვა. სატენდერო კომისიას გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არა აქვს, თუმცა, ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მოხმარებული წყლის რაოდენობის აღნუსხვა მრიცხველების საშუალებით იწარმოებს და კორპუსში თითო მრიცხველი დაიდგმება.*

მაკა ჭაიანი

საერთო მრიცხველის პრაქტიკა თბილისში უკვე მოქმედებს. ლიფტების მუშაობისა და სადარბაზოების განათებისთვის დახარჯული ელექტროენერგიის გადასახადს სადარბაზოს მცხოვრებლები ინაწილებენ. წესით და რიგით, გადასახადი ყველამ თანაბრად უნდა გაიყოს, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც არაფერს იხდიან და მთელი თანხის გადახდაც რამდენიმე ოჯახს უწევს. საბედნიეროდ, ეს გადასახადი შემაშფოთებლად მაღალი არ არის და, ლარისა თუ ლარნახევრის გადახდაზე მეზობლები ერთმანეთს არ ალაპარაკებენ. არავინ იცის, რაში შეიძლება გადაიზარდოს მათი ლაპარაკი, თუკი სადარბაზოზე წყლის ერთი მრიცხველი დაიდგა და ოჯახების ნაწილმა გადახდაზე ისევ უარი თქვა.

ამის წინაპირობა ნამდვილად არსებობს. კუბური მეტრი წყლის ღირებულება დღეს 5 თეთრია. თბილწყალკანალში აცხადებენ, რომ ეს თვითღირებულების ზუსტად ნახევარია. თუ ასეა, სისტემაში შემოსულმა ოპერატორმა, ფრანგი იქნება ის თუ სხვა ეროვნებისა, ტარიფის, სულ მცირე, გაორმაგება უნდა მოითხოვოს. მიუხედავად იმისა, რომ "თბილწყალკანალის" განვითარების ბიუროს დირექტორი ზურაბ ღონღაძე "გონივრულად მაღალი ტარიფის" დაშვების შესაძლებლობაზე ლაპარაკობს, იმის თქმისგან, თუნდაც პირველ ეტაპზე რამდენით შეიძლება გაიზარდოს წყლის გადასახადი, თავს იკავებს. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რა დამოკიდებულებაში იქნება ერთმანეთთან ოპერატორისგან შემოთავაზებული და მოქმედი სამომხმარებლო ტარიფი.

ახლა მოსახლეობა წყალზე ფიქსირებულ გადასახადს იხდის - სულზე, თვეში 1 ლარსა და 20 თეთრს. "თბილწყალკანალში" აცხადებენ, რომ ეს რიცხვი არსებული ტარიფისა და მოხმარებული წყლის რაოდენობის მიხედვით არის გამოყვანილი (თითო ადამიანი, თურმე, დღე-ღამეში 800 კუბურ მეტრ წყალს მოიხმარს). სამომხმარებლო, ანუ მოქმედ ტარიფს ქალაქის ხელმძღვანელობა ადგენს. თუ შემოსული ოპერატორის მიერ შემოთავაზებული ტარიფი უკვე მოქმედზე დაბალი იქნა, განსხვავება "თბილწყალკანალს" გადაერიცხება, თუ მეტი, როგორც ზურაბ ღონღაძე ამბობს, ქალაქმა სამომხმარებლო ტარიფი უნდა ასწიოს. ეს ხუთი წლის თავზე მოხდება, როცა ოპერატორი ქალაქის გამრიცხველიანებას დაასრულებს და მოგებაზე დაიწყებს ზრუნვას.

ამ ფონზე, "თბილწყალკანალში" გამორიცხავენ მრიცხველების ბინების მიხედვით განმხოლოებას. "მრავალსართულიანი სახლების უმრავლესობა ისეა აგებული, რომ ზოგან წყლის ორი, ზოგან სამი დგარი ამოდის. თითო ბინა რამდენიმე წყაროთი მარაგდება, მრიცხველი და მისი დამონტაჟება კი საკმაოდ ძვირი ჯდება. შეუძლებელია, ოპერატორს, ან საინვესტიციო ფონდს ყველა ბინაში საკუთარი, ორი ან მეტი მრიცხველის დაყენება მოსთხოვო. პირველ შემთხვევაში, ეს ძალიან გააძვირებს ტარიფს, მეორე შემთხვევაში, ფონდის მთელ სახსრებს მოითხოვს. წყლის მრიცხველის დამონტაჟების ტექნოლოგია გაცილებით რთულია, ვიდრე ელექტროენერგიის მრიცხველისა," - განმარტავს ზურაბ ღონღაძე.

სადარბაზოში ერთი, საერთო მრიცხველის დადგმაში მოსახლეობას ფული არ უნდა მოსთხოვონ, იმ შემთხვევაში კი, თუკი ადამიანი გადასახადსა და მოხმარებული წყლის რაოდენობას შორის სერიოზულ განსხვავებაში დაეჭვდა, მრიცხველის, უფრო სწორად, მრიცხველების დაყენება საკუთარი სახსრებით მოუწევს. მწარმოებელი ქვეყნის მიხედვით, მათი ფასი განსხვავებულია. მაგალითად, გერმანული, შედარებით კარგი ხარისხის წყლის მრიცხველი, 25-30 დოლარი ღირს. ჯამში, გვარიანი თანხა იყრის თავს და მისი გაღების საშუალება შეძლებულ ოჯახებს თუ ექნებათ. თუმცა, ჯერ არავინ იცის, რამდენად შედეგიანი იქნება ეს ნაბიჯი. იმის პირობას, რომ ურჩი გადამხდელებისადმი მიმართულ სანქციებში კარგი გადამხდელებიც არ მოყვებიან, ვერავინ მოგვცემს.

ნომრის პერსონა

# ოპოზიციის ძლიერი გაერთიანება საქართველოში უპრეცედენტო იქნება...

*გასული საუკუნის 80-იან წლებზე და იმ დროს ისედაც დასუსტებული კომუნისტური ხელისუფლების წინააღმდეგ დარაზმული ოპოზიციის შესახებ საუბარი მოდაში აღარ არის. ეროვნულ თავისუფლებას მოწყურებული საზოგადოების მიერ აღიარებულ ლიდერებს პიროვნულმა ამბიციებმა აჯობეს და მაშინდელი ოპოზიციის ერთიანობამ დროის გამოცდას ვერ გაუძლო. იქიდან მოყოლებული ნამდვილი ოპოზიცია ნამდვილად აღარ გაერთიანებულა. შიგადაშიგ კი ჩნდებოდნენ ფსევდოგაერთიანებები, მაგრამ მათაც 80-იანი წლების სენი სძლევდათ ხოლმე და საბოლოო გამარჯვებამდე გუნდ-გუნდად ვეღარ აღწევდნენ. ისტორია კვლავ მეორდება და ამ კანონზომიერებას ვერ გავექცევით - ოპოზიცია დღესაც გეგმავს გაერთიანებას. რამდენად ახსოვთ დღევანდელ პოლიტიკურ ლიდერებს უახლოესი წარსული, რამდენად განიკურნენ ისინი ამბიციის სენისგან, რამდენად შეძლებენ, გაერთიანდნენ იდეის გარშემო და არა კონკრეტული პიროვნების წინააღმდეგ - ამის თვალყურის დევნება გადაღლილ საზოგადოებას მაინც მოუწევს, რადგანაც ეს პირდაპირ კავშირში იქნება ენერგოკრიზისთან, პანკისისა და აფხაზეთის პრობლემებთან, ბუნებრივ აირთან, უმუშევრობასთან და ა.შ. ერთადერთი მიზეზი, რისთვისაც შეიძლება საზოგადოება ამ თემით დაინტერესდეს, არის ის, რომ მას აღარ სურს, კიდევ ერთხელ გაუცრუვდეს იმედი... დღევანდელი ჩვენი "პერსონა" "მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების" კავკასიური ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე, პოლიტოლოგი* ***გია ნოდია*** *გახლავთ.*

მაია ჭალაგანიძე

**- რა მნიშვნელობა აქვს ოპოზიციის გაერთიანებას საარჩევნოდ? დღევანდელ პოლიტიკურ სურათს თუ გადავხედავთ, რა პერსპექტივა აქვს ამ გაერთიანებას?**

- უკანასკნელი 7-8 წლის მანძილზე ამ ქვეყნის ძირითადი პოლიტიკური პრობლემაა არა ის, რომ ხელისუფლებაა ძალიან ცუდი, არამედ ის, რომ არ არსებობს საიმედო ოპოზიცია. ხალხი შეიძლება ძალზე უკმაყოფილო იყოს ხელისუფლებით, მაგრამ ვერ ხედავს ისეთ ძალას, რომელსაც იგი ენდობა, როგორც ალტერნატიულ ხელისუფლებას. როცა საქმე საქმეზე მიდგებოდა, ხალხს ალტერნატიულ ხელისუფლებად წარმოესახებოდა ან ასლან აბაშიძე (როგორც აჭარის ხელისუფალი), ან ჯუმბერ პატიაშვილი (როგორც ოდესღაც ხელისუფალი). სხვა პოლიტიკური ძალები ვერ არწმუნებენ საზოგადოებას, რომ მათაც შეუძლიათ ქვეყნის გაძღოლა.

ხალხი უნდა დარწმუნდეს, რომ ოპოზიციაში სერიოზული ადამიანები არიან, მათ შეუძლიათ არა მხოლოდ კინკლაობა და ჩხუბი პარლამენტში, დაჭრა და გინება, არამედ რაღაც კონსტრუქციული მოქმედებაც. სწორედ ამის დემონსტრირებისთვის არის საჭირო გაერთიანება.

**- არაერთი მცდელობის მიუხედავად, აქამდე ოპოზიცია ვერ გაერთიანდა. რა ღალატობდათ მათ ბოლო წუთს?**

- ეს არ არის მხოლოდდამხოლოდ ამ კონკრეტული პოლიტიკოსების უბედურება, საქართველოში ჭირს დიდი გაერთიანების შექმნა და დიდი ხნით შენარჩუნება. ეს პოლიტიკოსებიც ამ ზოგად ნაკლოვანებას ავლენდნენ. მათ უჭირთ რაიმე პროგრამის ფორმულირება და გაერთიანება ამ პროგრამის გარშემო. მათ მუდმივად აწუხებთ ეჭვები ერთმანეთის მიმართ, ვინ ვის უკან დგას, ვინმე ხომ არ ცდილობს მათ მოტყუებას და ა.შ.

**- მოგეხსენებათ, თითოეულ სეგმენტს გამოკვეთილი ლიდერი ჰყავს თავისი ამბიციებით, დადებითი და უარყოფითი თვისებებით. თქვენი აზრით, როგორ ითანამშრომლებენ ისინი ერთმანეთთან?**

- გაერთიანება თუ გაერთიანებები, უშუალოდ, საპარლამენტო არჩევნებისთვის იქმნება...

**- დაგიკონკრეტებთ: ზურაბ ჟვანია აცხადებს, რომ ეს არა თემატური, არამედ - იდეური გაერთიანება უნდა იყოს და მხოლოდ საარჩევნოდ არ უნდა იქმნებოდეს. სააკაშვილის აზრით, მთავარია გაერთიანდნენ და დანარჩენი მერე გადაწყდება... როგორ გგონიათ, რომელი ფორმაა დღეს რეალური?**

- აჯობებდა, რომ პოლიტიკური ძალები გარკვეული პრინციპებით ერთიანდებოდნენ. ჰქონდეთ ერთი პროგრამა, ერთიანი ღირებულებები. მათ უნდა აერთიანებდეთ საქართველოში პრობლემების მოგვარების ერთიანი ხედვა. სამწუხაროდ, ოპოზიცია, ძირითადად, ნეგატიური თვალსაზრისით ერთიანდება - "შევარდნაძე ცუდია". ეროვნული მოძრაობისას იყო - "რუსეთი ცუდია". ვფიქრობ, გაერთიანებისთვის ეს საკმარისი არ არის. შევარდნაძე ვიღაცისთვის ზედმეტად იღებს ორიენტაციას საბაზრო ურთიერთობებზე, ვიღაცისთვის - არასაკმარისად. შეიძლება, ორივე ეს ადამიანი შეთანხმდეს იმაზე, რომ შევარდნაძე ცუდია, მაგრამ მათი პოზიტიური შეხედულებები ერთმანეთის საპირისპირო აღმოჩნდეს. მხოლოდ და მხოლოდ ოპოზიციურობის ნიშნით გაერთიანება ცუდია, რადგან ასეთ გაერთიანებას მომავალი არ ექნება. თუ ეს ადამიანები ერთად მოვლენ ხელისუფლებაში, მაშინ ისინი ან იტყუებოდნენ და პრინციპებს უნდა უღალატონ, ან ერთმანეთთან ბრძოლა უნდა დაიწყონ, რადგან მათი პოლიტიკური შეხედულებები ერთმანეთის საპირისპიროა.

**- თქვენ ბრძანეთ, რომ პატიაშვილი და აბაშიძე საჭირო დროს ხელისუფლების ალტერნატივად მოიაზრებოდნენ. ხომ არ გგონიათ, რომ ეს სწორედ ხელისუფლების "კანდიდატები" არიან?**

- ხელისუფლება არ არის ყოვლისშემძლე. რა თქმა უნდა, შევარდნაძეს ხელს აძლევდა, რომ პატიაშვილიცა და აბაშიძეც მისი "ალტერნატივები" ყოფილიყვნენ. უხაროდა ასეთი სუსტი და ადვილად დასამარცხებელი მოწინააღმდეგეების ყოლა. მათ შევარდნაძეზე ნაკლები მმართველობის გამოცდილება არ აქვთ, მაგრამ მათთან შედარებით, პრეზიდენტს პროგრესული და დემოკრატიული ადამიანის იმიჯი აქვს. შეიძლება ითქვას, შევარდნაძე, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, ხელს უწყობდა, რომ სწორედ ეს ადამიანები ყოფილიყვნენ მისი მოწინააღმდეგენი, მაგრამ ეს სუსტი ახსნა იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები დიდი დარღვევებით მიმდინარეობს, საქართველოში იმდენი დემოკრატია მაინც არის, რომ არავის პოლიტიკურ საქმიანობას არ ახშობენ და პოლიტიკოსის პოტენციის მქონე ადამიანს თავის გამოვლენის შესაძლებლობა ჰქონდა. ეს კი ვერავინ შეძლო.

**- მსგავსი გაერთიანების მცდელობა (თუმცა, ეს თემატური იყო) ე.წ. დემარშისტებსაც ჰქონდათ. ამ გაერთიანებამ თითქოს ამოწურა თავისი შესაძლებლობები. იგივეს ხომ არ უწინასწარმეტყველებთ ახალ გაერთიანებასაც?**

- საუბარი იმაზე, რომ დემარშისტები, ანუ, ჟვანია-სააკაშვილი, "ახლები", ტრადიციონალისტები და ედპ შევლენ ამ დიდ პოლიტიკურ გაერთიანებაში, ალბათ, მიმდინარეობს და ბუნებრივია, რომ მცირე პარტიებს ამისი ინტერესი აქვთ. ერთადერთი გამონაკლისი, ალბათ, "ახალი მემარჯვენეები" არიან. ჯერ-ჯერობით, ისე ჩანს, რომ ამ დიდ პოლიტიკურ გართიანებაში შესვლა გადაწყვეტილი არ აქვთ. ჩემი აზრით, ამას ორი ახსნა აქვს: ერთი და მთავარი არის ის, რომ მათ 7 პროცენტიანი ბარიერის დამოუკიდებლად გადალახვის იმედი აქვთ და ეს გადამწყვეტი ფაქტორია, რადგან ვისაც ეს შანსი არ აქვს, ბუნებრივია, კოალიციებს ეძებს. დღეს ეს კოალაციების შექმნა-არშექმნის მთავარი მოტივაციაა.

მეორე ახსნა არის ის, რომ "ახალ მემერჯვენეებს" იმიჯის შენარჩუნება სურთ. როგორც ჩანს, ისინი ფიქრობენ: სააკაშვილის გარშემო ვინც უნდა გაერთიანდეს, ყველაზე ძლიერი და პოპულარული ფიგურა მაინც სააკაშვილია. ასეთი გაერთიანება, შეიძლება, ქაოტური აღმოჩნდეს და მოსახლეობის ნდობა დაკარგოს. ის ადამიანები, რომელთაც არც ხელისუფლება უნდათ და არც აბაშიძე - განზილდებიან და სწორედ "ახალ მემარჯვენეებს" აირჩევენ... გათვლა სწორედ ამაზეა.

**- თქვენი აზრით, კონკრეტულად, რომელი პოლიტიკური ძალა შევა ამ გაერთიანებაში (ინიციატორებს გარდა) და ხომ არ არის შესაძლებელი, დღეს რომელიმე სხვა პლატფორმაზე მდგომი პოლიტიკური ძალა შეუერთდეს მათ?**


გია ნოდია

- არ არის გამორიცხული, რომ ვინმე არ გვახსოვს და სწორედ ის შეუერთდება მათ. მეტ-ნაკლებად საბუთიანი იმედი იმისა, რომ 7 პროცენტიან ბარიერს გადალახავს, დღეს შეიძლება ჰქონდეს ადმინისტრაციული ბერკეტების მქონე ორ სახელისუფლო პარტიას - "მოქალაქეებსა" და "აღორძინებას", სააკაშვილს, ლეიბორისტებს და "ახლებს". ჩემი აზრით, ყველა დანარჩენი რომელიმე კოალიციის პოტენციური წევრია. დღეს კი იმისთვის, რომ ვინმეს შეეკედლო, მხოლოდ სურვილი საკმარისი არ არის. გაერთიანებაში რაღაც უნდა მიიტანო - ან ფინანსური სიძლიერე, ან პოპულარობა რომელიმე რეგიონში, ან რაღაც ასეთი...

**- ოპოზიციის გაერთიანების გარეშეც ხელისუფლება უკვე ყველა მეთოდებით იბრძვის მათ წინააღმდეგ. ეს ბრძოლა მათი გაერთიანების შემდეგ უფრო გამძაფრდება. რას უნდა ელოდოს ხელისუფლებისგან გაერთიანებული ოპოზიცია? ყველაზე მედგრად რა უნდა დაუპირისპიროს მას?**

- სიახლე არ იქნება არჩევნების წინ ოპოზიციური გაერთიანებების დისკრედიტაცია (ყველა ფორმით, მათ შორის, პირადი დისკრედიტაციაც). მათ გამოაცხადებენ არასერიოზულ, პოპულისტ, დემაგოგ პოლიტიკოსებად (რაც ახლა ყოველდღიურად ხდება)... ოპოზიციამ ამას უნდა დაუპირისპიროს ის, რომ არ იყოს პოპულისტი, დემაგოგი და გასვრილი. ოპოზიციამ უნდა შეიგნოს, რომ მხოლოდ ნეგატიური იმიჯი საკმარისი არ არის. დღეს დიდი კონკურენციაა მათ შორის, ვინც შევარდნაძეს აკრიტიკებს. მთავარია, შეიქმნან სოლიდური, სერიოზული, სანდო პოლიტიკური ძალის იმიჯი. ხელისუფლება სწორედ ამას გამოიყენებს კოზირად: კრიტიკა ადვილია, მაგრამ თქვენს შორის არავინაა საქმის გამკეთებელიო... ეს კი ხელისუფლების მხრიდან საკითხის კანონიერად დაყენებაა. ამიტომ ოპოზიციისთვის დღეს აუცილებელია, იმუშაოს თავის პოზიტიურ იმიჯზე.

მეორე, რა თქმა უნდა, არჩევნების პროცესი - ყბადაღებული ადმინისტრაციული რესურსია, რომელიც ყოველგვარი საარჩევნო დარღვევებისთვის არის საკვები და ეს მარადიული საკითხია. აქ არამარტო პოლიტიკური პარტიების, არამედ მთელი საზოგადოების აქტივობაა გადამწყვეტი. განსაკუთრებით კი - რეგიონებში, სადაც საზოგადოება ხელჩაქნეულია და დარწმუნებულია, რომ ხელისუფლება მაინც იმას გააკეთებს, რაც უნდა. ასეთ შემთხვევაში, ხელისუფლება მართლაც აკეთებს იმას, რაც სურს. იქ კი, სადაც ასეთი ხელჩაქნეულობა არ არის, მეტ-ნაკლები წინააღმდეგობა ხვდება და ბევრ რეგიონში არჩევნებში ოპოზიციური კანდიდატებიც კი იმარჯვებენ.

**- ოდესმე თუ მომხდარა ოპოზიციის მსგავსი გაერთიანება საქართველოში და თუ გახსოვთ, რით დასრულდა იგი?**

- მახსენდება ბათუმური ალიანსი, მაგრამ ეს ფსევდოალიანსი ხელისუფლებისთვის მომგებიანი იყო. საერთოდ, ოპოზიციის გაერთიანება ხელისუფლებისთვის მომგებიანი შეიძლება აღმოჩნდეს, იმიტომ რომ, მას ერთი კონკრეტული სამიზნე აქვს და მისი დამარცხებით ხელისუფლება თავის საქმეს ადვილად აკეთებს. ბათუმურმა გაერთიანებამ შევარდნაძესა და "მოქალაქეთა კავშირს" გამარჯვება გაუადვილა.

თუნდაც, 1990 წლის არჩევნები ავიღოთ. აქ ოპოზიცია ვერ გაერთიანდა, მაგრამ საზოგადოება საკმაოდ დაბნეული იყო ამის გამო. მაშინაც ყველა დარწმუნებული იყო, რომ გადალახავდა 4 პროცენტიან ბარიერს. მაშინ იმდენად ძლიერი იყო ანტისახელისუფლო განწყობა და იმდენად სუსტი თავად ხელისუფლება, რომ როგორც კი ოდნავ პოპულარული ლიდერი გამოჩნდა, გამარჯვება ძალზე ადვილად მოიპოვა.

სხვა დროს, ოპოზიციური გაერთიანება საქართველოში ძლიერი არც ყოფილა, ამიტომ, დღეს ოპოზიციის ძლიერი გაერთიანების შექმნა უპრეცედენტო ფაქტი იქნება.

**- არასაპარლამენტო ძალები, რომლებიც პოლიტიკურ არენაზე არც კი ჩანან...**

- ლეიბორისტებს გარდა...

**- რა სარგებელს ნახავს ოპოზიციური გაერთიანება არასაპარლამენტო ძალების შეკედლებით?**

- ერთადერთს - ადამიანურ რესურსს, რომელიც ყველა პარტიას უჭირს. მაგრამ, რადგანაც საარჩევნო სიებში ყოველთვის შეზღუდულია ადგილები და ეს ძირითადი კონფლიქტის წყარო ხდება, ამიტომ, პატარა პარტიებს მხოლოდ იმის იმედი შეიძლება ჰქონდეთ, რომ მათი ლიდერი პირადად მოხვდება გამსვლელ ადგილზე.

ჩვენი საზოგადოებისთვის დამახასიათებელია არა ის, რომ ოპოზიცია არსებობს, ან რომ ოპოზიცია აქტიურია, არამედ ის, რომ ხელისუფლებას კატასტროფულად დაბალი რეიტინგი აქვს. დემოკრატიულ ქვეყანაში მოსახლეობის 60 ან - 30 პროცენტს შეიძლება მიაჩნდეს, რომ ხელისუფლება სჯობს ოპოზიციას... მაგრამ, როცა ხელისუფლებას 10 პროცენტზე ნაკლები რეიტინგი აქვს, ეს უკვე კატასტროფაა საზოგადოებისთვის და, რა თქმა უნდა, ხელისუფლებისთვის.

**- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, რომელმაც ძალზე მოკლე დროში დაიმკვიდრა პრინციპული და ძლიერი პოლიტიკური ლიდერის ადგილი, დღეს მოლაპარაკებებზეა რუსეთში. რა შეიძლება მოიტანოს პატრლამენტის თავმჯდომარის მოლაპარაკებებმა?. სავარაუდოა, რომ არც რუსები დათმობენ პოზიციებს...**

- ვფიქრობ, რომ ამ ვიზიტს სერიოზული შედეგი ნაკლებად მოჰყვება. მით უფრო, რომ ბურჯანაძე მკაცრი გაგებით ხელისუფლება არ არის. ის კი არის პარლამენტის თავმჯდომარე, მაგრამ, პარლამენტს საგარეო ურთიერთობების წარმართვა ნაკლებად ეხება. ეს არის აღმასრულებელი ხელისუფლების საქმე, ამიტომ, ასეთ ვიზიტს უფრო ინფორმაციისა და დისკუსიის წახალისების მნიშვნელობა აქვს. რა თქმა უნდა, მისი ფიგურა აინტერესებთ, მაგრამ ამით რუსეთის პოლიტიკა არ შეიცვლება. ეს, უბრალოდ, შეუძლებელია. თუ ეს ვინმეს ძალუძს - აღმასრულებელია. სხვა ამბავია, ჩვენს აღმასრულებლებს რა შეუძლიათ... ჩვენმა პარლამენტმა საგარეო-პოლიტიკურ საკითხებზე თითქმის ერთხმად მიიღო ძალზე სერიოზული რეზოლუციები, მაგრამ მათ არავითარი გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონიათ. ასევე რუსეთის დუმასაც მიუღია ნეგატიური დადგენილებები საქართველოს მიმართ, მაგრამ ისინი არ განხორციელებულა. პარლამენტებს შეუძლიათ, უპასუხისმგებლო და რადიკალური პოზიციაც დაიკავონ, რადგან იციან, რომ მათ გადაწყვეტილებებს უფრო სიმბოლური ხასიათი აქვთ. რუსეთთან აფხაზეთის საკითხის განხილვას, ჩვეულებრივ, ორთქლის გამოშვების ფუნქცია აქვს.

**- პერიოდულად, საქართველოს მიმართ რუსეთის ზეწოლა მძაფრდება ხოლმე. როგორ გგონიათ, რატომ?**

- ამ შემთხვევაში, მკაცრ ლოგიკას ვერ ვხედავ. საქართველოსთან პრობლემების გამძაფრება რუსეთის შიდა პოლიტიკისთვის უფროა ხოლმე საჭირო. ხანდახან შეიძლება ასეთი ნაბიჯები უმაღლესი ხელისუფლებიდან მოდიოდეს, ზოგჯერ კი ინიციატივას დაბალ ეშელონებში იჩენენ. საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობაში არის თანმიმდევრული ემოციები, ლტოლვები და სურვილები, მაგრამ, განაღდებულ სტრატეგიას ეს პოლიტიკა არ ექვემდეებარება. რუსეთის ნაბიჯები, რა თქმა უნდა, უაღრესად გამაღიზიანებელი და შემაშფოთებელია საქართველოსთვის, მაგრამ მიმართულება გასაგებია - კიდევ უფრო იყოს აფხაზეთი მათი გავლენის ქვეშ. საბოლოო სტრატეგია კი მაინც გაურკვეველია, რადგან აფხაზეთის ოფიციალური მიერთება რუსეთის ინტერესებში თითქოს არ შედის...

**- რატომ ხდება ასე? რუსეთი სერიოზულად არ აღგვიქვამს?**

- ნაწილობრივ, სწორედ ეგაა მიზეზი და ნაწილობრივ, იმიტომ, რომ ჩვენშიც ვერ ხედავენ თანმიმდევრული პოლიტიკის განხორციელების ნებას. ბოლო წლებში საქართველო მეტ-ნაკლები თანამიმდევრულობით დასავლურ პოლიტიკას ატარებს და ამავე დროს საქართველოს შიგნით ყოველთვის არიან პრორუსული განწყობის პოლიტიკოსები. თითქოს, სოციოლოგიური გამოკვლევები აჩვენებს, რომ რუსეთისადმი სიმპატიები ძლიერდება და ა.შ. ამიტომ, რუსეთის პოლიტიკურ ელიტაში საკმაოდ ძლიერია რწმენა, რომ შევარდნაძეა მთავარი და ცუდი, თორემ შევარდნაძე რომ წავა, საქართველოსთან პრინციპულად სხვაგვარი ურთიერთობები ჩამოყალიბდება.

**- როგორ გგონიათ, ცდება რუსეთის პოლიტიკური ელიტა?**

- ჩემი აზრით, პრინციპულად ცდება. საბოლოოდ, საგარეო პოლიტიკური ორიენტაციები ნაკლებად არის დამოკიდებული ხელისუფლების შეცვლაზე. ხელისუფლებაში მოსვლისას შევარდნაძე აღიქმებოდა, როგორც უფრო მეტად პრორუსული პოლიტიკოსი, ვიდრე გამსახურდია იყო, მაგრამ ასე სრულიადაც არ აღმოჩნდა. ასე რომ, ხელისუფლების ცვლა, თავისთავად, ძალზე იშვითად იწვევს ცვლილებებს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობებში.

**- რა შეიძლება დაუპირისპიროს საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთის სრულიად კონკრეტულ ზეწოლებს - პანკისი, აფხაზეთი, გაზსადენი და ა.შ.**

- ერთადერთი, რაც შეიძლება დავუპირისპიროთ, შინაგანი სტაბილურობა, სახელმწიფოებრივი წესრიგია. რუსეთის მთავარი გამაღიზიანებელი საქართველოში გაუგებრობა და არეულობაა. ამის გამო, ყოველთვის ექნებათ ურთიერთობების გართულების საბაბი. კონკრეტულად პანკისის პრობლემა რომ ავიღოთ, რუსეთს ზოგჯერ საფუძველიც ჰქონია იმის თქმისა, რომ საქართველო ტყუის. ხელისუფლება ოფიციალურად ამბობდა, რომ იქ ჩეჩნები არ არიან, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყოფილან. როგორც კი ამერიკელებმა თქვეს, რომ ჩეჩნები იქ არიან - ჩვენი ხელისუფლება მაშინვე დაეთანხმა. ასეთ წვრილმან ტყუილებში საქართველოს მხილება ადვილია.

ეს ჩვენი გაუგებარი ფსევდოპარტიზანული მოძრაობა თუ - კოდორის ხეობის ავანტიურა, უაღრესად ნეგატიურ იმიჯს ქმნის. ამას კი რუსეთი აუცილებლად გამოიყენებს. ეს აშკარა შიდა სისუსტეებია. თუ ეს არ იქნება, რუსეთს საქართველოს საქმეებში უხეშად ჩარევის სივრცე გაცილებით შეუმცირდება.

**- როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებისა და ოპოზიციის ჭიდილში რომელია ძლიერი და რომელი სუსტი?**

- ჩვენთან პრობლემა ის არის, რომ არც ერთი არ არის ძლიერი და ყველა ერთმანეთის სისუსტეზე მუშაობს. ამიტომ, როგორც კი ვიღაც გაძლიერდება, ის ავტომატურად სუსტდება - ასეთი პარადოქსია. როდესაც ოპოზიცია გაძლიერდა, ინიციატივა აიღო და ყურადღების ცენტრში მოექცა, რაღაც კონკრეტულის გაკეთების აუცილებლობა გაჩნდა... ხშირად აღმოჩნდება, რომ ასეთ შემთხვევაში ოპოზიციამ აღარ იცის, რა გააკეთოს. ხელისუფლება კონტრშეტევაზე გადადის და აცხადებს, რომ ოპოზიცია დემაგოგია და არაფერი შეუძლია.

და პირიქით - თუ ხელისუფლებას მშვიდი მოქმედების საშუალება აქვს, აღმოჩნდება, რომ ის ვერაფერს აღწევს და ახლა ოპოზიცია გადადის კონტრშეტევაზე. ჩვენ კონტრშეტეტევაზე მომუშავე პოლიტიკური ელიტები გვყავს, რომლებმაც ერთმანეთის სისუსტეების გამოყენება კარგად იციან. პოლიტიკოსები ერთმანეთს აკრიტიკებენ (რბილად რომ ვთქვათ) და ორივე მართალია. ხალხი ამას ხედავს, რაც პოლიტიკური ელიტის დისკრედიტაციას იწვევს. ეს კი, საბოლოო ჯამში, ხელისუფლებას აძლევს ხელს. ასეთ დროს ხალხი "შეჩვეული ჭირის" პრინციპით მოქმედებს...

**- გგონიათ, რომ ახალი თაობის პოლიტიკოსები ამ საზოგადო ნაკლს გამოასწორებენ?**

- იმედია, ისწავლიან. არ ველი, რომ რაღაც რადიკალური გაუმჯობესება მოხდება, მაგრამ, ჩემი აზრით, პოლიტიკური ელიტაც ნელნელა რაღაცას სწავლობს. ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სადაც არ არის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ტრადიციები და კულტურა, უნდა ჩამოყალიბდეს ადამიანთა გარკვეული რაოდენობა, რომელსაც ადეკვატური წარმოდგენა აქვს ქვეყნის პრობლემებზე. ასეთი ხალხის რაოდენობა უნდა გაიზარდოს, რაც მხოლოდ პოლიტიკური საქმიანობით შეიძლება მოხდეს. ცვლილებებს მხოლოდ ამ გზით თუ მივაღწევთ.

**- ამ საყოველთაო შემეცნებით-სასწავლო პროცესში რა შეიძლება გამოიყენონ სახელმძღვანელოდ?**

- მარქსიზმის სამი წყარო, სამი შემადგენელი ნაწილი - ასეთი რამ არ არსებობს. საერთოდ კი კარგია, პოლიტიკოსებმა წიგნები იკითხონ. მგონია, რომ უნდა ისწავლონ სტრატეგიულ პრობლემებზე მეტი ორიენტაცია. ყურადღება კონკრეტული საკითხების გადაწყვეტაზე უნდა გადაიტანონ და არა პიროვნულ კონფლიქტებზე, რასაც, სამწუხაროდ, აკეთებენ. მათ ძირითადად აკვიატებული აქვთ პიროვნული ეჭვები და დაპირისპირებები. ისინი ძალზე ცოტას ფიქრობენ სრულიად კონკრეტულ პირობებში კონკრეტული პრობლემის მოგვარებაზე.

## სინემა

კინოთეატრები "რუსთაველი" და "ელისო"

# „ჯეიმს ბონდი, მოკვდი სხვა დღეს„

(2002 წელი)





Die another day

რეჟისორი: **ლი ტამაჰორი**

მთავარ როლებში: **პირს ბროსნანი, ჰოლი ბერი, როზამუნდ ჰაიკი, ჯონ კლიზი, ჯუდი დენჩი**

ფილმებს ჯეიმს ბონდის შესახებ, ვისაც არ ეზარება, ყველა ლანძღავს და აკრიტიკებს. განსაკუთრებით ხაზს უსვამენ მსახიობების ცუდ თამაშს და უაზრო თითიდან გამოწოვილ სიუჟეტებს, რომელსაც თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ. "ბონდიანას" მთავარი გმირები, როგორც წესი გენიოსები არიან, მაგრამ ისეთ მარტივ რაღაცეებს ვერ ხვდებიან, პატარა ბავშვიც უცბად რომ აუღებს ალღოს. ერთადერთი, ვისაც ყველაფერი ეხერხება და ყველაფერი იცის, ეს ჯეიმს ბონდია. ზოგჯერ მისი სუპერმენობა იქამდეც კი მიდის, რომ ფიზიკის კანონებსაც არ ემორჩილება. (ფილმში სხვადასხვა თავბრუდამხვევი ილეთის შესრულების დროს, აგენტ 007-ზე, არც მიზიდულობის და არც ინერციის ძალები არ მოქმედებენ!). მოკლედ რომ ვთქვათ, "ბონდიანას" კრიტიკა უსასრულობამდე შეიძლება.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ მიუხედავად კრიტიკოსთა უზარმაზარი არმიის ერთსულოვანი შეტევისა, როგორც კი "ჯეიმს ბონდის" ახალი სერია გამოდის, კინოთეატრებში ბილეთებზე უზარმაზარი რიგები დგება. მსგავსი სურათია თბილისშიც. პრემიერის დღეს ბილეთები პრაქტიკულად არ იშოვებოდა. ყოველ მომდევნო სეანსზე, მაყურებლის რაოდენობა იზრდება და იზრდება. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ჯეიმს ბონდის ზოგიერთი თაყვანისმცემელი, კინოთეატრის სალაროსთან ადგილს სეანსის დაწყებამდე ორი-ორნახევარი საათით ადრე იკავებს. მსგავსი რამ თვით ჯორჯ ლუკასის "ვარსკვლავეთის ომების" ჩვენების დროსაც არ ყოფილა.

ასე რომ, კრიტიკა კრიტიკად რჩება, მაგრამ კონკრეტულად ამ ახალი ფილმის დადებით მხარეებსაც არ გვინდა გვერდი ავუაროთ. რასაკვირველია, პირველ რიგში არ შეიძლება ხაზი არ გაესვას იმ ზღაპრულ სპეც-ეფექტებს, რომლის გარეშეც ფილმები აგენტ 007-ზე წარმოუდგენელია. თუმცა, ალბათ "ბონდიანას" ისტორიაში პირველად, ფილმში მოხსენიებულ ყველა მეცნიერულ გამოგონებას, თუ მასობრივი განადგურების იარაღის შექმნას მკაცრი მეცნიერული და ლოგიკური ახსნა მოეძებნა. სურათის შემქმნელებმა მოახერხეს მაყურებლის დარწმუნება, რომ ყველაფერი რაც ამ სურათში ხდება, სინამდვილეშიც შეიძლება მომხდარიყო (თუ სულაც უკვე არ ხდება). სხვა ფილმებში ჯეიმს ბონდის შესახებ, მსგავსი წვრილმანებით თავს არავინ იწუხებდა. ფილმის სიუჟეტიც, ასე ვთქვათ საკმაოდ "გაადამიანურებულია. პირს ბროსნანის ჯეიმს ბონდი წარმოგვიდგება ჩვეულებრივ მოკვდავად, რომლისთვისაც მარცხი და იმედგაცრუება უცხო არ არის და თურმე მისი მოტყუებაც შესაძლებელი ყოფილა!

ამ ფილმში ცნობილი მსახიობების მთელი კოჰორტა მონაწილეობს. იგივე ჯუდი დენჩი, ჯონ კლიზი; ეპიზოდურ როლში მადონაც კი გამოჩნდა. ბოლო აგენტ 007-ს სურათში მხარს ამომავალი შავკანიანი ვარსკვლავი ჰოლი ბერი უმშვენებს. მთლიანობაში ეს ფილმი "ბონდიანას" ტრადიციების გამგრძელებელია, ანუ სურათი არაპრეტნზიული მაყურებლისათვისაა განკუთვნილი, რომლისთვისაც კინო უპირველეს ყოვლისა გართობაა.

*არჩილ მელიქიშვილი*

## კალენდარი

### 23 იანვარი

ამ ფრანგი მწერლის სახელი სინამდვილეში ანრი მარი ბეილია, მაგრამ მსოფლიო მას სტენდალის სახელით იცნობს. "წითელი და შავისა" და "პარმის სავანეს" ავტორს ეკუთვნის, ასევე "იტალიის ფერწერის ისტორია", "ჰაიდნის, მოცარტისა და მეტასტაზიოს ცხოვრება", ფსიქოლოგიური ტრაქტატის "სიყვარულის შესახებ", ნოველები "ვანინა ვანინი", "იტალიური ქრონიკები" და სხვა და სხვა.

ბურჟუაზიული წრე, რომელსაც დაბადებით ეკუთვნოდა, სტენდალს თავიდანვე აღიზიანებდა, მაგრამ მწერლობა მაინც საკმაოდ გვიან დაიწყო. ახალგაზრდობაში მათემატიკას სწავლობდა, ხელოვნებით იყო გატაცებული, შემდეგ ნაპოლეონ ბონაპარტის არმიას შეუერთდა და მასთან ერთად რამდენიმე კამპანიაში მიიღო მონაწილეობა.

სწორედ ნაპოლეონის ლაშქრობების დროს აღმოაჩინა სტენდალმა იტალია, რომელიც მისი ცხოვრების დიდი სიყვარული გახდა, მისი მცხოვრებლები კი მწერლისთვის შთაგონების წყაროდ იქცნენ. ნაპოლეონის იმპერიის დამხობის შემდეგ ის დიდხანს ცხოვრობდა იტალიაში: რესტავრაციის დროს – როგორც კერძო პირი, ივლისის მონარქიის დროს კი, 1830 წლიდან, - საფრანგეთის კონსულის სტატუსით.

სამშობლოში ის ბრწყინვალე სალონურ მოსაუბრედ ითვლებოდა, მაგრამ მის ლიტერატურულ შემოქმედებას – ბალზაკის აღფრთოვანებული შეფასების მიუხედავად – წარმატება არ ჰქონია. სამშობლომ მწერალი მხოლოდ მისი გარდაცვალების (1842 წელი) შემდეგ აღიარა.

**სტენდალი** 1783 წლის 23 იანვარს დაიბადა.



# უკულტურო და კულტურული პოლიტიკა საქართველოს წინააღმდეგ

ვერა ნეფარიძე

*საქართველო-რუსეთის კულტურული თანამშრომლობის სამწლიან პროგრამას ვადა შარშან გაუვიდა. წელს ამ პროგრამის გახანგრძლივება იგეგმება, მაგრამ როგორც საქართველოს კულტურის მინისტრი გვპირდება, ყველაფერი საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობების განვითარებაზეა დამოკიდებული. თუ რუსეთი აგრესიულ პოლიტიკას გააგრძელებს, მაშინ ქართული კულტურული ოფიციოზი არც სერიოზულ საპროტესტო ჟესტებს მოერიდება.*

ქვეყნებს შორის კეთილმეზობლური კულტურული ურთიერთობის ფონზე, ღია პოლიტიკურ-ეკონომიკური აგრესია ძლიერდება ხოლმე; საქართველო-რუსეთის მაგალითზე ამაში რამდენჯერმე დავრწმუნდით. ჩვენში იმასაც ხშირად ამბობენ, ეს ყველაფერი ერთმანეთს უბრალოდ ემთხვევაო. თუმცა, ვიღას სჯერა ეგეთების. თითქმის, ერთდროულად ხდება: მოსკოვიდან რუსეთის ხელისუფალთა თამამ მუქარას თბილისში რუსული კულტურის დღეებით ვპასუხობთ; იმპერიული პოლიტიკით უკმაყოფილო ქართველ პოლიტიკოსთა საპასუხო რეაქციის პარალელურად კი გაისმის ქართველი ხელოვანების საჯარო განცხადებები, რომ რუსეთი მხოლოდ პუტინის ხელისუფლება არაა და ა.შ ძნელი მისახვედრი არ არის ალბათ, რომ ისევე როგორც პოლიტიკურ-იმპერიალისტური სანქციები, ისე მათგან გამძაფრებული პოლიტიკური ფონის შესარბილებელი კულტურულ-კეთილმეზობლური მეგობრობის შესანარჩუნებელი ღონისძიებები ერთად იგეგმება.

ბოლოს კი ეს ყველაფერი ასე გადაეჯაჭვა ერთმანეთს. ვიდრე რუსეთი აფხაზეთში მის ბოლო "კეთილშობილურ" აქტს განახორციელებდა, რამდენიმე ხნით ადრე, მოსკოვში ქართველებს კულტურის დღეების მოწყობა შესთავაზეს. ამ ღონისძიების ფარგლებში უნდა მოეწყოს გამოფენა და რუსული ოფიციოზი კიდევ ერთხელ უნდა დატკბეს საამაყო ქართული სინემით (უფრო კონკრეტულად პროგრამაზე დღეს არავინ საუბრობს, რადგანაც ჯერ ქართულ დელეგაციას გადასაწყვეტი აქვს, მიიღებს თუ არა იგი მიპატიჟებას). ამასთანავე, დაახლოებით თებერვლის ბოლოს, ზურაბ წერეთელი გეგმავს გრანდიოზულ გამოფენას, საკმაოდ ინტერნაციონალური სახელწოდებით: "კავკასიის სამყარო და რუსეთი", სადაც რუსეთის პრეზიდენტთან ერთად, დსთ-ს სახელმწიფოთა პირველი პირებიც სურს მიიწვიოს. გამოფენის მიზანია ასახოს კულტურულ-ისტორიული კავშირები რუსეთსა და კავკასიის რესპუბლიკებს შორის. ქართული დელეგაცია მოსკოვში გამგზავრებასთან დაკავშირებით, დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ვიზიტს სწორედ ამ გამოფენის გახსნისთვის ვარაუდობს. ყველა შემთხვევაში, ეს ვიზიტი ვერ იქნება წმინდა კულტურული მოვლენა, რადგანაც ამ დროს სესილი გოგიბერიძის თქმით, სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ნავარაუდევია ოფიციალური შეხვედრები. ერთ-ერთი მათგანია საქართველო-რუსეთს შორის კულტურული პროგრამის გახანგრძლივება (სამწლიან პროგრამას შარშან გაუვიდა ვადა). პროგრამა ითვალისწინებდა კულტურულ გასვლებს, სტუდენტების გაცვლას, ქართველი სტუდენტების უფასო სწავლებას რუსეთის ხელოვნების რამდენიმე სასწავლებელში და ა.შ. მაგრამ, რაც უნდა მომხიბლავად გამოიყურებოდეს რუსული შემოთავაზებები, ბოლო დღეებში განვითარებული აგრესიული პოლიტიკის (თუნდაც ზატულინის საეთერო ჭკუის სწავლებანი რად ღირს) გამო რუსეთისკენ გადადგმული თითოეული ნაბიჯისას სიფრთხილე ალბათ პოლიტიკოსებზე არანაკლებად ქართული კულტურის მოღვაწეებს მართებთ.



*მიხაილ შვიდკოი*



*სესილი გოგიბერიძე*

**"სერიოზულად ვფიქრობთ, თუკი რუსეთი სიტუაციას გაამწვავებს და აგრესიულ ნაბიჯებს გადმოდგამს ჩვენსკენ, ჩვენი მხრიდან ასეთი მეგობრული ჟესტები მთლად უპრიანი იქნება თუ არა. გააჩნია ამ დღეებში როგორ განვითარდება მოვლენები. ქ-ნ ნინო ბურჯანაძისა და ჩვენი საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი როგორ ჩაივლის. ეგებ რაღაცეები ცოტა შერბილდეს და ვითარება დარეგულირდეს",** - მეუბნება კულტურის მინისტრი სესილი გოგიბერიძე. მართალია, საკითხი საკმაოდ ფაქიზია, მაგრამ მაინც მაოცებს "ჩვენების" თავშეკავებული და გაწონასწორებული პოზიცია, როდესაც ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს ოფიციალური პირები ქართულ სატელევიზიო ეთერშიც არ მალავენ ღია აგრესიას.

ჩვენთან ჯერ კიდევ მიაჩნიათ, რომ პოლიტიკური ფონის დასათბობად საუკეთესო საშუალება კულტურული ურთიერთობების ინტენსივობაა. რასაც, რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ და თავის სასარგებლოდ ასე წარმატებით იყენებს. მას კარგად გამოსდის (ყოველ შემთხვევაში, აქამდე მაინც) კეთილმეზობლური, კულტურულად მოგვარებული ურთიერთობების პარალელურად აწარმოოს საკუთარი ღია თუ ფარული აგრესია. კულტურის მინისტრი ორი წლის წინანდელ შემთხვევას იხსენებს, როდესაც ქართული ოფიციოზი დაბომბილი ინგუშეთის ტერიტორიაზე დაზიანებული ქართული ტაძრის მდგომარეობის შესასწავლად, ექსპერტების შეშვებას იხვეწებოდა. ვერც მაშინ გაჭრა პიროვნულმა სიმპათიებმა ქართველ და რუს კოლეგებს შორის. ეს, ალბათ, საკმაოდ კარგი "ჭკუის სასწავლებელი" შემთხვევა იყო მათთვის, ვისაც არ სჯერა პოლიტიკისა და კულტურის რეალური სიახლოვე. მსგავსი უსიამოვნობების მოუგვარებლობა, დღეს კიდევ ერთ სერიოზულ პრობლემას, რუსეთ-საქართველოს შორის არ არსებულ ჩარჩო ხელშეკრულებასაც ბრალდება. ასე რომ, როდემდე გაგრძელდება მსგავსი გაუგებრობანი, კაცმა არ იცის.

დღეს ქართულ-რუსულ კულტურულ ურთიერთობებს ახალი საზრდო სჭირდება. თაობა, რომელიც ამ ურთიერთობებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და სერიოზული კონტაქტები ჰქონდა რუსეთთან, მიდის ჩვენგან. ამ შემთხვევაში, ვერ დავეთანხმები კულტურის მინისტრს, რომელსაც მიაჩნია, რომ რუსეთი სწორედ ამ ხალხის გამო უწევდა საქართველოს გარკვეულ ანგარიშს. გაურკვეველია ასევე, რა იგულისხმება "ანგარიშის გაწევაში", ის რომ რუსეთმა მხოლოდ მუქარა იკმარა და არ დაბომბა საქართველოს ტერიტორია ("უნებლიეთ" დაბომბვა არ იგულისხმება, თორემ კარგად გვახსოვს, რომ არც ამას მორიდებია)? ასე რომ, ამ მხრივ (განახლებული ურთიერთობების მხრივ) გააქტიურებული ურთიერთობანიც არ უნდა გაგვიკვირდეს და ალბათ არც ახალ-ახალმა სატყუარებმა უნდა მოგვხიბლოს. საბოლოოდ, უპირველესად მაინც ქვეყნის ინტერესების შესაბამისი გადაწყვეტილებები უნდა იქცეს.

**"იყო ხშირად ფაქტები, როდესაც საზღვარს არღვევდნენ, მერე ბოდიშს იხდიდნენ. ბოლო შემთხვევა (რკინიგზა და პასპორტები აფხაზეთში) უკვე ისეთი ღია აგრესიაა... მე მგონი თავმოყვარეობაც არსებობს. თუკი ყველაფერი ძველებურად გაგრძელდა, ჩვენი მხრიდან ამას ძალიან სერიოზული პროტესტი მოჰყვება. მოსკოვში დაგეგმილი გამოფენის მასშტაბები და დონე კი ისეთია, რომ ჩვენი პროტესტი შეუმჩნეველი არ დარჩება. გადაწყვეტილება გამომდინარე იქნება იქიდან, როგორ განვითარდება მოვლენები. რის შემდეგაც, რასაკვირველია, გვექნება კონსულტაციები პრეზიდენტთანაც და თუკი ამ დონეზე დადგება საკითხი, საგარეო საქმეთა სამინისტროსთანაც.",** - ამბობს სესილი გოგიბერიძე. თუკი ამ ჯერზე მაინც მოახერხეს ჩვენმა კულტურის მოღვაწეებმა რუსულ აგრესიაზე სათანადო პროტესტის გამოხატვა, ეს ნაბიჯი მათ მიმართ გაცილებით მეტ ნდობას გამოიწვევს ჩვენში, ვიდრე ეს რეალურადაა.

# ვალერიან შიუკაშვილი კონცერტს მართავს

მადი სერებრიაკოვა

კლასიკური მუსიკის ასეთი რეკლამირებული კონცერტი თბილისში საკმაოდ იშვიათად იმართება. უკვე რამოდენიმე დღეა, ცენტრალურ ქუჩებზე ლაით-ბოქსები და ფერადი პლაკატები ახალგაზრდა პიანისტის, ვალერიან შიუკაშვილის კონცერტის შესახებ გვაუწყებენ. მას შემდეგ, რაც გასული წლის ზაფხულში შიუკაშვილი შოუბიზნესის სადღეისოდ უმსხვილესი ჰოლდინგის, "არტ-იმედის" ვარსკვლავთა შემადგენლობაში შევიდა, ეს პიანისტის პირველი კონცერტია. კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში დღეს დაგეგმილი ღონისძიება ჯორჯ ბაირონის დაბადების 215 წლისთავს ეძღვნება. შიუკაშვილს პარტნიორობას გაუწევს საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი, რომელსაც გიორგი ჟორდანია უდირიჟორებს.

"არტ-იმედისათვის", რომელიც, ძირითადად, მსუბუქ საესტრადო მუსიკაში მოღვაწე მუსიკოსებს მფარველობს, ვალერიან შიუკაშვილი პირველი წევრია კლასიკური მუსიკის სფეროდან. ახალგაზრდა პიანისტი სამშობლოში ხშირად მართავდა კონცერტებს, მაგრამ აქამდე მას, ალბათ, საზღვარგარეთ უფრო კარგად იცნობდნენ. 1992 წლიდან მოყოლებული იგი მრავალი კონკურსისა და ფესტივალის გამარჯვებული და გრან-პრის მფლობელია, მათ შორის - ჩაიკოვსკის და მარია იუდინას სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსების, პეტრე დიდის (ნიდერლანდები), ბელორუსიის, ისრაელის სახელმწიფოებრიობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ფესტივალების. ახალგაზრდა პიანისტის საკონცერტო ბიოგრაფია იაპონიაში, ისრაელში, რუსეთში, ბულგარეთში, თურქეთში, ლიტვასა, თუ ჰოლანდიაში გამართულ ღონისძიებებსაც მოიცავს. შიუკაშვილს რამოდენიმე ალბომიც აქვს გამოცემული. მათ შორის, ევროპაში - ჰოლანდიაში კონკურსზე მოპოვებული გამარჯვების შემდეგ.



*ვალერიან შიუკაშვილი*

ვალერიან შიუკაშვილი "არტ-იმედში" გაერთიანების შემდეგ პირველ კონცერტს მართავს. მას ამ შემოდგომაზე, შიუკაშვილისა და "არტ-იმედის" მიერ ორგანიზებული, ძალზედ მნიშვნელოვანი ღონისძიება – ნოდარ გაბუნიას სახელობის პიანისტთა მეორე ეროვნული კონკურსი უძღოდა წინ. თავის დროზე კონკურსს ნოდარ გაბუნიას მოსწავლეებმა ჩაუყარეს საფუძველი. პირველ კონკურსთან შედარებით, რომელიც ორგანიზატორების მიერ მოპოვებული, ძალზედ მწირი თანხებით გაკეთდა, მეორე უფრო ფართო მასშტაბით გაიმართა. რაც მთავარია, სოლიდური პრიზების და პრემიების გარდა, ღონისძიებაში რეგიონებიდან ჩამოსული პიანისტებიც მონაწილეობდნენ.

დღევანდელი კონცერტი ვალერიან შიუკაშვილის და სახელმწიფო კამერული ორკესტრის პირველი ერთობლივი ღონისძიება იქნება. შიუკაშვილი წლების მანძლიზე ჯანსუღ კახიძის ხელმძღვანელობით თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად მუშაობდა. თავის დროზე მაესტრო კახიძე მას ექსტრაორდინალურ ტალანტსა და აღმოჩენის პროცესში მყოფ ვარსკვლავს უწოდებდა. ამჯერად პიანისტისა და კამერული ორკესტრის თანამშრომლობა მოცარტს უკავშირდება. დღეს ისინი მოცარტის მე-17 კონცერტს შეასრულებენ. გარდა ამისა, კამერული ორკესტრი შეასრულებს მოცარტისავე დივერტისმენტს, ბარბერის ადაჟიოს სიმებიანი ორკესტრისათვის და ბრიტენის "უბრალო სიმფონიას".

შიუკაშვილის სამომავლო გეგმებიც "არტ-იმედთან" არის დაკავშირებული. ისინი უცხოეთში გეგმავენ საკონცერტო ტურნეს, რომელიც ისრაელში დაიწყება და არაბეთის ქვეყნების გავლით სტამბულში დასრულდება. შიუკაშვილი გეგმავს ისრაელში პიანისტთა კონკურსის მოწყობასაც. რამოდენიმე წლის წინათ იგი ისრაელის სახლმწიფოებრიობის 50 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონკურსის პირველი ადგილის მფლობელი გახდა. და კიდევ, შემოდგომაზე გამართული ნოდარ გაბუნიას სახელობის კონკურსის ჟიურის თავმჯდომარე იყო პიანისტი ფაინა აიზენბერგი ისრაელიდან. ამჟამად კი, მისი მიწვევით, ქართველი პიანისტი მიიღებს მონაწილეობას ისრაელში ანალოგიური კონკურსის მოწყობაში.

# ფილმი ცოცხალი მუსიკის თანხლებით

## ანუ როგორ მოხვდა ცოცხალი კაცი მორგში

თამარ სუხიშვილი

საპრემიერო ჩვენების პროლოგი: კინოთეატრ "ამირანის" გადატენილ დარბაზში საკაცით შემორბიან ექიმები (უფრო სწორად, ექიმებად გადაცმული მსახიობები), ვიღაცას საკაცეზე დააწვენენ და დარბაზიდან გაყავთ. ნუ ნერვიულობთ, ნუ – გვერდით მჯდომ, ლამის გულშეღონებულ ქალბატონს ამშვიდებს ერთი ახალგაზრდა, - ჩანაფიქრია ასეთი (ფილმში მოქმედება ძირითადად საავადმყოფოში ვითარდება)... ვერ ვიტყვი, რომ ამ ტრიუკმა დიდი ღიმილი გამოიწვია უგაზო და უშუქო სახლებიდან კინოში გამოქცეულ თბილისელ მაყურებელში, რომელთაც სწორედ პრემიერის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე გაიგეს: პარლამენტის წინ ერთმა მოქალაქემ თავის დაწვა სცადაო...

გუშინ კინოთეატრ "ამირანში" ახალი ქართული ფილმი "როგორც ლურჯა ცხენები" ვნახეთ. ასეთი უჩვეულო პრემიერა - ფილმის ჩვენება ცოცხალი მუსიკალური გაფორმებით ქართველ მაყურებელს ნამდვილად არ ეხსომება. დარბაზი გადაჭედილი იყო, ფილმს არ უყურებდა მხოლოდ 50-მდე კაცი – მუსიკოსები, რომლებიც სცენაზე ისხდნენ და უკრავდნენ, მარტო პაუზების დროს აპარებდნენ ხოლმე თვალს ეკრანისაკენ. მიქელაძის სახელობის ორკესტრს ფილმის კომპოზიტორი ნიკა მემანიშვილი დირიჟორობდა.



*ფილმის პრემიერაზე*

ფილმს ორი რეჟისორი ჰყავს: თინა მენაბდე და კახა მელითაური, სცენარი ჯარჯი აქიმიძესა და თინა მენაბდეს ეკუთვნის. ფილმზე მუშაობდნენ: კახა ჭელიძე (ოპერატორი), თორნიკე გელაშვილი (ხმის რეჟისორი), გიორგი ქოჩიაშვილი (მონტაჟი)...

"ეს ფილმი 6 წლის განმავლობაში იქმნებოდა ისე, რომ არ შეცვლილა საწყისი, - ამბობს რეჟისორი კახა მელითაური, - საბოლოო ჯამში მივიღეთ ფილმი დროზე, რომელიც ამთლიანებს XX საუკუნის ყველა მონაკვეთს, სათაურიც აქედან გამომდინარეობს: "როგორც ლურჯა ცხენები", რომლებიც მიექანებიან სადღაც და მიაქვთ სიყვარულიც, ბრალიც, სევდაც, განცდაც, ტკივილიც..."

"რეჟისორმა რა უნდა ქნას? - უნდა მოყვეს ამბავი..." - ისმის დიალოგი ფილმის პირველივე ეპიზოდში. და რეჟისორიც (უფრო სწორად რეჟისორები) გვიყვებიან ამბავს: ამბავს იმაზე, თუ როგორ მოხვდა ცოცხალი კაცი მორგში, იმაზე, რომ ვალოდიამ ისევ ვენები გადაიჭრა, იმაზე, რომ ეს ყველაფერი გივის ბრალია (ალბათ ჩვენი გივისა, "ცისფერი მთებიდან"), იმაზე, რომ, ასე არ შეიძლება, იმაზე, რომ...

კადრი ფილმიდან: ოპერატორის კამერა მაგიდის კალენდარზე ჩერდება. კალენდარი 22 რიცხვზეა გადაშლილი (თვე არ ჩანს), ფილმის პრემიერაც 22-ში, 22 იანვარს შედგა.

"შედგა?" – ეკითხება დარბაზიდან გამოსულ კოლეგებს რეჟისორი კახა მელითაური. "შედგა, შედგა", – ისმის აქეთ-იქიდან...

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით.

ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევასაც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

## "არსენალი" დევიდ სიმენს ბრაზილიელი მარკოსით შეცვლის



მარკოსი

ბრაზილიის ნაკრების მეკარე მარკოსი სამშაბათიდან ლონდონშია და ადგილობრივ "არსენალთან" მოლაპარაკებას აწარმოებს. ინგლისური პრესა იუწყება, რომ "მეთოფეებს" ბრაზილიელი მეკარის შეძენა აქვთ გადაწყვეტილი და მზად არიან, მის სანაცვლოდ 3,8 მილიონი დოლარი გაიღონ. "არსენალის" ამჟამინდელი მეკარე, დევიდ სიმენი, მალე 40 წლის გახდება და მისი შეცვლა აუცილებელია. 29 წლის მარკოსი კი ლონდონელებს იდეალურ კანდიდატად მიაჩნიათ.

მომავალი ტრანსფერი ძალიან ახარებს "არსენალის" ბრაზილიელ მცველს, ედუს. "მარკოსის გადმოსვლა კლუბს დიდად წაადგება. სიმენი უკვე სერიოზულად ფიქრობს ფეხბურთიდან წასვლაზე. ამიტომაც ახალი, მაღალი დონის მეკარე გვჭირდება", - განაცხადა ედუმ.

მარკოსის ახლანდელი კლუბის, "პალმეირასის" ხელმძღვანელობა მეკარის გაყიდვაზე თანახმაა. გუნდის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ "არსენალთან" მოლაპარაკება დასრულდა და შეთანხმება მიღწეულია. ახლა მხოლოდ "არსენალსა" და თავად მარკოსს დარჩათ პირობები შესათანხმებელი. "მაგრამ მარკოსი მხოლოდ მომავალი სეზონიდან გადავა ლონდონში. მას არ სურს, შუა გზაზე შეუერთდეს გუნდს. ამავდროულად, მას სურს, "პალმეირასს" უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაში დაეხმაროს", - განაცხადა "პალმეირასის" პრესმდივანმა.

რაც შეეხება დევიდ სიმენს, ფეხბურთის მიტოვება მან ჯერ კიდევ შარშან, ზაფხულში გადაწყვიტა, მას შემდეგ, რაც მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალურ მატჩში ბრაზილიელმა რონალდინიომ ბურთი თავზე გადაუგდო და დიდი სირცხვილი აჭამა.

## ბატისტუტა რომს გულდაწყვეტილი ტოვებს

ორი დღის წინათ მილანის "ინტერში" გადაბარგებული არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტა გულდაწყვეტილი ტოვებს თავის ყოფილ კლუბს - "რომას". მან თქვა, რომ რომაელ გულშემატკივარს ის არასოდეს ჰყვარებია. ბატისტუტა შეეცდება, იგივე არ გამეორდეს მილანშიც. "მე ბევრს მაკრიტიკებდნენ და არაფერს მიფასებდნენ მაშინაც კი, როდესაც სარგებელი მომქონდა გუნდისთვის", - განაცხადა ბატისტუტამ არგენტინული რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში. "კაპელოსთან ნორმალური ურთიერთობა მქონდა. ტყუილია, ვითომ გადავემტერე იმის გამო, რომ ძირითადში არ მათამაშებდა. ეს ნორმალური მოვლენაა ფეხბურთში. ახლა კი პრესა ამტკიცებს, თითქოს კრესპოსთან ვარ დაპირისპირებული, რასაც იმით ხსნიან, რომ "ინტერში" გადავედი და მას კონკურენციას გავუწევ. არც ეს არის სიმართლე", - ამბობს ბატისტუტა და "ინტერში" თავის მომავალს ოპტიმიზმით უყურებს: "მილანელ გულშემატკივარს დავუმტკიცებ, რომ, შეიძლება, 34 წლის ასაკშიც სასარგებლო იყო".

რაც შეეხება "რომას", მან ბატისტუტას 2,5 მილიონი ევრო უნდა გადაუხადოს. ეს თანხა ფეხბურთელს ეკუთვნის იმისთვის, რომ "რომა" მის სახელს რეკლამისთვისაც იყენებდა. თავად არგენტინელი ამაში პრობლემას ვერ ხედავს და სჯერა, რომ ყოფილი კლუბი ვალს დროულად დაუბრუნებს.

ისტორიული ფოტო

### ეს იყო 29 წლის წინათ...



1974 წლის 7 აგვისტო, ბარსელონა.
"ბარსელონას" ფეხბურთელი იოჰან კრუიფი ვარჯიშისას

# "დინამო" ქეცბაიას და მსაჯის წინააღმდეგ

*კვიპროსში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფმა თბილისის "დინამომ" მესამე ტესტ-მატჩი გამართა და მესამედ ითამაშა ფრედ. ამჯერად საქართველოს ჩემპიონატის ლიდერის მეტოქე იყო კვიპროსის ჩემპიონატში მესამე ადგილზე მყოფი ფამაგუსტას "ანართოსისი".*

მიხეილ აბაიშვილი

ამ გუნდში ჩვენი თანამემამულე თემურ ქეცბაია თამაშობს, მაგრამ მას "დინამოსთან" მატჩში მონაწილეობა არ მიუღია. "ანართოსისს" სამ დღეში ჩემპიონატის მორიგი ტურის კალენდარული თამაში ელის და ამის გამო მწვრთნელმა თავისი გუნდის ლიდერი დაასვენა.

როგორც "დინამოს" პრეს-ატაშემ, ლევან სალუქვაძემ სატელეფონო საუბარში გვაცნობა, მატჩი მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო და პირველ თექვსმეტ წუთში "ანართოსისი" უკვე 3:0-ს იგებდა.

"მე-18 წუთზე კუთხურიდან ჩაწოდების და რამდენიმე რიკოშეტის შემდეგ ბურთი "დინამოს" კაპიტანს, შაშიაშვილს მიუვიდა, რომელმაც შემობრუნებით, ეგრეთ წოდებული "მაკრატელათი" ერთი გოლი გაქვითა, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა გამოიგონა. მე-19 წუთზე "ანართოსისის" საჯარიმოში რატი ალექსიძე უხეშად მოცელეს, მაგრამ მსაჯმა ისევ მასპინძლების მხარე დაიჭირა და პენალტი არ დანიშნა, მაგრამ ამის გაკეთება ექვსიოდ წუთში მაინც მოუწია. ამჯერად დარასელიას ეუხეშნენ. თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა ალექსიძემ პირველ საპასუხო გოლად აქცია. 33-ე წუთზე ამისულაშვილს ერთ სათამაშო ეპიზოდში სამჯერ შეეძლო გოლის გატანა. პირველად, მისი თავური დარტყმა ჯერ მეკარემ და შემდეგ კარის ძელმა მოიგერია, უკან ასხლეტილ ბურთთან ისევ ამისულაშვილი გაჩნდა, მაგრამ მის დარტყმას ამჯერად მცველი გადაეღობა და ბურთი კუთხურზე გადავიდა, ხოლო კუთხურიდან ჩამოწოდების შემდეგ საჰაერო ბრძოლა ისევ მან მოიგო, მაგრამ ბურთი მიზანს ააცილა.

52-ე წუთზე სამხარაძის უძლიერესი დარტყმული ხარიხას მოხვდა და შემდეგ მცველმა კუთხურზე მოიგერია. კუთხურიდან ჩაწოდების შემდეგ ამისულაშვილმა შანსი აღარ გაუშვა ხელიდან, უფრო სწორად, ფეხიდან და ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა. კიდევ ათ წუთში სამხარაძის გრძელი გადაცემის შემდეგ ბურთი მკერდზე მიიღო რატი ალექსიძემ და მიწაზე დაუშვებლად გაგზავნა კარში - 3:3. დარჩენილ დროში "დინამოს" კიდევ რამდენჯერმე ჰქონდა გოლის გატანის შესაძლებლობა. ბურდულმა ეს მოახერხა კიდეც, მაგრამ მსაჯი კვლავ თანამემამულეების ინტერესების სადარაჯოზე დადგა და მეორედ არ ჩაგვითვალა თამაშის წესების სრული დაცვით გატანილი გოლი. შეხვედრის ბოლო წუთზე ამისულაშვილმა კარს ხუთი მეტრიდან დააცილა ბურთი", - გვითხრა ლევან სალუქვაძემ.

"დინამომ" "ანართოსისის" წინააღმდეგ შემდეგი შემადგენლობით ითამაშა: ზოიძე (გვარამაძე), ხიზანეიშვილი (კარლოს და როჩა), შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კვირკველია (სახვაძე), ბურდული, გოგობერიშვილი, ანჩაბაძე (ვაშაკიძე), დარასელია, ალექსიძე, ბობოხიძე (სამხარაძე).

შეხვედრაში მონაწილეობა ვერ მიიღო ახალაიამ, რომელსაც ერთი დღით ადრე ვარჯიშზე მცირე ტრავმა მიუღია და შუშაკმა მისი მოედანზე გაყვანა არ გარისკა.

თამაშის შემდეგ "დინამოს" ხელმძღვანელობა ქეცბაიას მიპატიჟებას დათანხმდა და გუნდი მთელი შემადგენლობით სახლში ეწვია "კვიპროსელ" ქართველს.

დღეს "დინამოს" მეორე შემადგენლობა რუსეთის მეორე ლიგის გუნდს, "სვეტოტეხნიკას" ეთამაშება, 26 იანვარს კი ჩვენები უკრაინის უმაღლესი ლიგის გუნდს, "კრივბასს" გაეჯიბრებიან. 27 იანვარს საქართველოს ჩემპიონატის ფავორიტი ბოლო ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. ამჯერად, მისი მეტოქე იქნება ჩეხეთის "სინოტი". 28 იანვარს გუნდი სამშობლოში დაბრუნდება და თბილისში სამ დღეს დაჰყოფს, 1 თებერვალს კი მეორე საზღვარგარეთულ შეკრებაზე, ამჯერად ბოსნია-ჰერცეგოვინაში გაემგზავრება.

# დსთ-ს ქუთაისი "გამოეყო"

### დამარცხება ბრიტანულ სტილში

დსთ-სა და ბალტიის ქვეყნების ჩემპიონთა თანამეგობრობის თასის ტურნირი გრძელდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ქუთაისის "ტორპედოს" გარეშე. ბალტიისპირული ბარიერი საქართველოს ჩემპიონისთვის აუღებელი სიმაღლე გამოდგა. "ტორპედო" ყველა კომპონენტში დაჯაბნა რიგის "სკონტომ" და რიონისკენ მიმავალ გზას გაუყენა.

არადა, ტურნირზე ქუთაისელები დიდი იმედით მიემგზავრებოდნენ. ქვეჯგუფში ჩატარებულმა სამმა მატჩმაც ცხადყო, რომ "ტორპედოს" პრეტენზია ტურნირში გამარჯვებაზე არცთუ უსაფუძვლო იყო. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა ქუთაისელთა შეხვედრა მასპინძელ "ლოკომოტივთან", რომლის დროსაც რიონისპირელებს ორჯერ მიჰყავდათ ანგარიში, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს და ფრედ დაასრულეს მატჩი. ქართველ ფეხბურთელთა შანსს ისიც ზრდიდა, რომ ტურნირის მეორე ფავორიტმა, უკრაინის ჩემპიონმა - "შახტარმა", მოსკოვში დუბლშემადგენლობა ჩაიყვანა, სამ ჯგუფურ მატჩში ორი მარცხი განიცადა, ერთი ფრედ დაასრულა და სამარცხვინო შედეგით დატოვა რუსეთის დედაქალაქი. თანაც, ზედ მეოთხედფინალის წინ, "ტორპედოს" თურქეთში მივლინებული ძირითადის სამი მოთამაშიდან ორი – კაპიტანი და საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი, გივი დიდავა და რევაზ ქემოკლიძე გუნდს დაუბრუნდნენ. დიდავამ ქვეჯგუფის ბოლო მატჩში გოლიც გაიტანა და თავის გუნდს მოაგებინა. ასე რომ, "სკონტოსა" და "ტორპედოს" მეოთხედფინალური მატჩის წინ "ტორპედოს" ნახევარფინალში გასვლის შანსი, უფრო წონადი თუ არა, 50-პროცენტიანი მაინც იყო.

შეხვედრამ სრულიად საპირისპირო დაადასტურა. თამაში ბალტიისპირელთა სცენარით წარიმართა და მათივე გამარჯვებით - 2:0 დასრულდა. "ჩავარდა" შტელინის ნაქები დაცვის ხაზი, რომელმაც რამდენიმე სახიფათო შეტევა "გაატარა". მათგან ორი რიგელებმა გოლად აქციეს. თუმცა, ეს არ არის ყველაზე ცუდი. ცუდი ის არის, რომ "ტორპედომ", მთელ თამაშში, მხოლოდ ერთი ხეირიანი შეტევა განახორციელა, ისიც, საკუთარ კარში გაშვებული ორი გოლის, მოედნიდან გაძევებული ერთი სკონტოელისა და მეტოქის მცველთა უხეში შეცდომის შემდეგ. ამ ეპიზოდში ფლანგიდან ჩამოწოდებულმა ბურთმა "სკონტოს" საჯარიმოში "ჩაძინებულ" რიგელებს გადაუფრინა და რომან ახალკაცს მიუვიდა. მის მიერ ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი მეტოქის მეკარეს მოხვდა. ვერ გეტყვით, გაბელგიელებული უკრაინელი მწვრთნელის მითითება იყო თუ თავად ტორპედოელთა ინიციატივა, მაგრამ, ქუთაისელებმა, რატომღაც, ბრიტანულ სტილში თამაშით მოიწადინეს ფონს გასვლა. გაუთავებელი ფლანგური გარღვევები და საჯარიმოში პოროშინის სიმაღლის იმედად ჩაწოდებები მომაბეზრებლად ერთფეროვანი და უშედეგო გახდა. თანაც, "ტორპედო" ამას ისე აკეთებდა, რომ რიგელ მცველებს, რომლებიც მაინცდამაინც მაღალი კვალიფიკაციით არ გამოირჩევიან, ასეთი "იერიშების" მოსაგერიებლად დიდად თავის შეწუხება არც სჭირდებოდათ. ასეთ "ბალიბურთში" გაილია კიდეც 90 წუთი - მსაჯის საფინალო სასტვენმა "სკონტოს" ნახევარფინალში გასვლა დააფიქსირა.

რაც შეეხებათ ქუთაისელებს, მიუხედავად იმისა, რომ მეოთხედფინალში გავიდნენ, დსთ-ს თანამეგობრობის თასზე მათი გამოსვლის თუნდაც დამაკმაყოფილებლად შეფასება თავის მოტყუება იქნება. ბალტიისპირულ ფეხბურთთან ყველა კომპონენტში კაპიტულაცია ფანტავს მითს იმის შესახებ, თითქოს ქართული საკლუბო ფეხბურთი კრიზისიდან გამოვიდა და ეროვნული ჩემპიონატის დონე მაღლდება. ქუთაისის "ტორპედოს" თამაშმა ნათელყო, რომ "ბირკირკარას" სირცხვილი ქართული ფეხბურთისთვის განვლილი ეტაპი არ არის.

# ვინ დაიკავებს "ბარსას" მწვრთნელის პოსტს?

### იოჰან კრუიფი და გერმანული პრესა ბერნდ შუსტერს ანიჭებენ უპირატესობას

აკა ტონია

გაზეთ "24 საათის" გუშინდელ ნომერში "ბარსელონას" მწვრთნელის პოსტიდან ლუი ვან გაალის შესაძლო გათავისუფლებასა და მის სავარაუდო შემცვლელებზე ვიუწყებოდით. კატალონიური კლუბის ხელმძღვანელობა განიხილავს რამდენიმე კანდიდატურას, მათ შორის, "ბარსელონას" ყოფილ ფეხბურთელს, გერმანელ ბერნდ შუსტერს. გერმანული პრესა ამტკიცებს, რომ დასახელებულ კანდიდატებს შორის ბერნდ შუსტერის დანიშვნა ყველაზე რეალურია. ის, რომ ვან გაალს მოხსნიან, უკვე ყველას გადაწყვეტილ საქმედ მიაჩნია.

გასულ შაბათს, "ვალენსიასთან" განცდილი მარცხის (2:4) შემდეგ, "კამპ ნოუს" სტადიონზე შეკრებილმა გულშემატკივრებმა კიდევ ერთხელ მოაწყვეს ეგრეთ წოდებული "panolada" - მწვრთნელის მიმართ თავისი უნდობლობის გამოცხადების ჟესტი, რომლის დროსაც ისინი თეთრ ნაჭრებს აფრიალებდნენ. გულშემატკივრებს ეთანხმება კლუბის დირექტორატიც, რომელმაც "ვალენსიასთან" მატჩის შემდეგ საგანგებო სხდომა გამართა და პრეზიდენტ გასპარს ვან გაალის გათავისუფლება მოსთხოვა.

ამჟამად "ბარსელონა" ესპანეთის ჩემპიონატში ცხრილის მე-10 საფეხურზეა და ლიდერს 17 ქულით ჩამორჩება. ამ სიტუაციაში ვან გაალის პოსტზე დატოვებას ხუან გასპარს აღარავინ აპატიებს. ნაკლებად სავარაუდოა, რომ კვირას, ვიგოს "სელტასთან" მატჩში, ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ისევ უხელმძღვანელოს "ბარსელონას".

კლუბის "სამზარეულოდან" გამოაღწია ინფორმაციამ, რომ დირექტორატმა გასპარს მიმდინარე კვირის ბოლომდე ახალი მწვრთნელის დანიშვნა მოსთხოვა. საკუთარი პოსტის გადასარჩენად "ბარსელონას" პრეზიდენტი წირავს იმ მწვრთნელს, რომელსაც ბოლო დღემდე გვერდში ედგა.

ესპანური პრესა იუწყება, რომ გასპარს სურდა, დროებით მწვრთნელად ვან გაალის წინამორბედი, კარლოს რეშაკი დაენიშნა, თუმცა, ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა. ჰოლანდიელი სპეციალისტის შემცვლელს დიდი მონდომებით ეძებენ. საერთაშორისო ბაზარს აკვირდება "ბარსელონას" ვიცე-პრეზიდენტი



ბერნდ შუსტერი

და გასპარის დისშვილი ფრანსეშ კლოზა. კანდიდატთა სიაში რამდენიმე ცნობილი გვარია: რადომირ ანტიჩი, ბერნდ შუსტერი, სეზარ ლუის მენოტი, ალბერტო ძაკერონი და ახლა უკვე სვენ გორან ერიქსონიც.

"ბარსელონას" ყოფილ მწვრთნელს, იოჰან კრუიფს, გერმანელი ბერნდ შუსტერი ამ პოსტისთვის ყველაზე შესაფერის კანდიდატად მიაჩნია. "ბარსელონას" სჭირდება ისეთი მწვრთნელი, რომელიც კლუბის ახლანდელი კადრებით კმაყოფილი იქნება, თანაც, გუნდს კარგად იცნობს. ეჭვგარეშეა, კანდიდატებს შორის შუსტერი საუკეთესოა", - განაცხადა კრუიფმა რადიოსადგურ "COPE"-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

ბერნდ შუსტერის კანდიდატურა "ბარსელონაში" პირველად არ განიხილება. მწვრთნელის პოსტზე გერმანელის დანიშვნა ხუან გასპარს ჯერ კიდევ მაშინ უნდოდა, როდესაც ვან გაალი ხელმეორედ დააბრუნა. მაშინ დირექტორატმა შუსტერის კანდიდატურა დაიწუნა. "ქერა ანგელოზად" წოდებული შუსტერი ამჟამად "დეპორტივო ხერესის" მწვრთნელია. მისი გუნდი ესპანეთის ჩემპიონატის მეორე დივიზიონში მე-8 ადგილზეა. ბოლო დროს კლუბის ხელმძღვანელობასა და გერმანელ სპეციალისტს შორის ურთიერთობა მეტისმეტად დაიძაბა. ეჭვგარეშეა, "ბარსელონაში" მიწვევას შუსტერი უყოყმანოდ დათანხმდება.

თუმცა, იქნება გარკვეული პრობლემებიც: ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის წესდების 246-ე თავის თანახმად, მწვრთნელის ერთი კლუბიდან მეორეში გადასვლა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ამაზე მისი პირველი კლუბი და მომავალ კლუბში მისი წინამორბედი მწვრთნელი დათანხმდებიან. ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია, მაგრამ ამისთვის შუსტერსაც და "ბარსელონასაც" გარკვეული თანხის გაღება მოუწევთ. გერმანელი მწვრთნელის კონტრაქტის მიხედვით, "ხერესიდან" წასვლის შემთხვევაში, მან კლუბს 600 ათასი ევრო უნდა გადაუხადოს. ვან გაალის გათავისუფლების შემთხვევაში, უნდა გადაიხადოს "ბარსელონამაც". კლუბიდან გაძევებული ჰოლანდიელი, კონტრაქტის თანახმად, 6 მილიონ ევროს მიიღებს.

როგორც ჩანს, "ბარსა" ამ ზარალზეც თანახმაა, ოღონდ ვან გაალი მოიცილოს. გერმანული პრესა ამტკიცებს, რომ ესპანური კლუბის ხელმძღვანელობა უკვე დაუკავშირდა შუსტერის მეუღლესა და მენეჯერს, გაბი შუსტერს, და მის ქმართან მოლაპარაკებას იწყებს.

ჩოგბურთი

# 40 გეიმი გამარჯვებისთვის

*მელბურნი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი - "დიდი სლემის" ტურნირი. საპრიზო ფონდი 12 004 900 დოლარი. შარშანდელი გამარჯვებულები: ვაჟებში - ტომას იუჰანსონი (შვედეთი), ქალებში ჯენიფერ კაპრიატი (აშშ). მეოთხედფინალი.*

**ვაჟები**

რაინერ შუტლერი (გერმანია, 31) - დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა, 10) 6:3, 5:7, 6:1, 6:0

ენდი როდიკი (აშშ, 9) - იუნეს ელ-აინაუი (მაროკო, 18) 4:6, 7:6, 4:6, 6:4, 21:19

**ქალები**

კიმ კლიისტერსი (ბელგია, 4) - ანასტასია მისკინა (რუსეთი, 8) 6:2, 6:4

სერენა უილიამსი (აშშ, 1) - მეგან შონესი (აშშ, 25) 6:2, 6:2


ენდი როდიკი და იუნეს ელ-აინაუი

"ასე მეგონა, ხელები მომწყდებოდა. ეს თამაში არასოდეს დამავიწყდება. რაღაც საშინელება იყო, - აღიარა მატჩის შემდგომ ამერიკელმა ენდი როდიკმა. - მაგრამ უაღრესად ბედნიერი ვარ, რომ მიზანს მაინც მივაღწიე. საცოდაობა იქნებოდა, ამდენი შრომა წყალში ჩამყროდა. ეს იყო, ალბათ, ყველაზე ხანგრძლივი მატჩი ჩოგბურთის ისტორიაში".

40 გეიმი დასჭირდა ენდი როდიკს გადამწყვეტ, მეხუთე სეტში გამარჯვების მოსაპოვებლად. ბოლოს კი საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩოგბურთელები ჩოგნებს ინერციით იქნევდნენ. ეს იყო ნერვების დიდი ბრძოლა, რომელიც ინსტინქტების დაპირისპირებაში გადაიზარდა. ვინც უფრო მგრძნობიარე იყო, იმან გაიმარჯვა – ასეთია ამ მომქანცველი დაპირისპირების რეზიუმე.

მატჩის შემდეგ მაროკოელს სახიდან სიმწრის ღიმილი არ შორდებოდა. ერთი მხრივ, ფსიქოლოგიური მარცხი, მეორე მხრივ – იმედგაცრუება... თუმცა, ვინ იცის, იქნებ არაბი "გაუთავებელი მატჩის" დასრულებასაც ესალმებოდა. ყოველ შემთხვევაში, მისი კომენტარიდან ესეც შეიძლება ვივარაუდოთ.

"როცა როდიკმა გადამწყვეტ სეტში მეოთხედ შემომიბრუნა მატჩი, ვიფიქრე, თამაში არასოდეს დამთავრდებოდა, მაგრამ ძალიან არ მინდოდა, წამეგო. ყოველი ახალი გეიმის წინ თანდათან ვღიზიანდებოდი და, არ ვიცი, იქნებ ამიტომაც წავაგე. ახლა აღარ მინდა, ამაზე ვიფიქრო. ძალიან დავიღალე", - ეს სიტყვები იუნეს ელ-აინაუის ეკუთვნის.

გამარჯვებისთვის მან ყველაფერი იღონა, მაგრამ, როგორც ჩანს, მედიდურობამ გადაიყოლა ამბიციური არაბი - მან ხომ მეოთხე წრეში თვით ლეიტონ ჰიუიტი დაამარცხა. ასეთი გამარჯვების შემდეგ, ბუნებრივია, ადამიანს ამბიცია უჩნდება.

იუნეს ელ-აინაუიმ ენერგიულად დაიწყო თამაში. ის როდიკზე ცოცხლად მოქმედებდა და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს, სამ სეტში აპირებდა თამაშის მოგებას. მართალია, ბრძოლით, მაგრამ პირველი სეტი მაინც მაროკოელმა მოიგო. ნათელი იყო, ამერიკელი უბრძოლველად არაფერს დათმობდა, რაც მეორე სეტში უფრო თვალსაჩინოდ გამოამჟღავნა. დარჩენილი პარტიებიც გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. კულმინაციას კი მატჩმა მიაღწია მეხუთე სეტში. ვიდრე არაბი ფარ-ხმალს დაყრიდა, მეტოქეებმა 40 გეიმი გაითამაშეს.

ენდი როდიკი ნახევარფინალში შეხვდება რაინერ შუტლერს, რომელმაც სომხური წარმოშობის არგენტინელი, ტურნირის მე-10 ნომერი დავიდ ნალბანდიანი გაისტუმრა სამშობლოში. როდიკ-აინაუის მატჩისგან განსხვავებით, ამ შეხვედრაში ბრძოლა არ შედგა. გერმანელმა იოლად მოუღო ბოლო რეიტინგში მასზე დაწინაურებულ არგენტინელს.

უკვე მივეჩვიეთ, რომ ბოლო დროს ქალთა თანრიგში სიურპრიზები ნაკლებად ხდება. საერთოდ, შეიძლება ითქვას, ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ნახევარფინალში ოთხი, ჭეშმარიტად უძლიერესი ჩოგბურთელი გავიდა - დები უილიამსები, ჟიუსტინ ენინი და კიმ კლიისტერსი. გუშინ ენინსა და უფროს უილიამსს სერენა უილიამსი და კიმ კლიისტერში დაემატნენ.

სერენამ, ჩვეულებისამებრ, ცალი ხელით მოუგო თანამემამულეს, მეგან შონესს. "ის კორტზე ტანკივით მოძრაობს", - აღნიშნავენ ავსტრალიელი კოლეგები. მართლაც, მის დარტყმებს, ძალითა და სიზუსტით, ვერაფერი შეედრება. სერენას არც ამჯერად ულალატია ტრადიციისთვის და მეტოქეს მხოლოდ 4 გეიმი დაუთმო.

ბელგიელი კიმ კლიისტერსი მწვანე კონტინენტზე თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში. რასაკვირველია - ის ხომ თავისუფალი დროის დიდ ნაწილს თავისი ბოიფრენდის, მსოფლიოს პირველი ჩოგნის, ლეიტონ ჰიუიტის კამპანიაში ატარებს. არც გაემტყუნება. ჰიუიტი კლიისტერსზე უაღრესად დადებითად მოქმედებს - ეს ბელგიელის შესანიშნავ თამაშზეც აისახება. სპეციალისტები აღიარებენ, რომ კლიისტერსი მელბურნში ყველაზე შთამბეჭდავად თამაშობს. მეოთხედფინალში მან რუს ანასტასია მისკინას გამარჯვების იოტისოდენა შანსიც კი არ დაუტოვა.

არადა, სტატისტიკა არც ერთ მათგანს უპირატესობას არ ანიჭებდა. გუშინდელ მატჩამდე გამართულ 4 შეხვედრაში მეტოქეებს ორ-ორი გამარჯვება ჰქონდათ თავის აქტივში. ამჯერად ბელგიელი აშკარად უკეთ გამოიყურებოდა. მან უძლიერესი "ფორჰენდებით" დაბომბა მეტოქე. მეორე სეტში კლიისტერსმა თავს ორი მოწოდების გაფლანგვის უფლებაც მისცა, მაგრამ გუშინ ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან მისკინამ მხოლოდ სამი თავისი მოწოდება მოიგო.

გაოგნებულმა რუსმა მატჩის შემდეგ იწინასწარმეტყველა, რომ ავსტრალიის ღია ჩემპიონატს სწორედ ბელგიელი მოიგებს. "ვფიქრობ, კიმი ახლა მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელია და აქ თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში. ის დებ უილიამსებსაც სჯობს და საკუთარ შესაძლებლობებში მათზე უფრო მეტად არის დარწმუნებული", - განაცხადა მისკინამ.

ჭადრაკი

# მშვიდობიანი ტური

**ჰოლანდია. ვეიკ-ან-ზეე. საჭადრაკო სუპერტურნირი. მე-9 ტური:** *პოლგარი-შიროვი 0,5:0,5, ანანდი-კრასენკოვი 0,5:0,5, ვან ველი-ივანჩუკი 0,5:0,5, ტიმანი-კარპოვი 0,5:0,5, რაჯაბოვი-კრამნიკი 0,5:0,5, ტოპალოვი-პონომარიოვი 0,5:0,5, ბარეევი-გრიშჩუკი 1:0.*

ვეიკ-ან-ზეეს ტურნირზე, მე-9 ტურის შეხვედრებში, ბრძოლა არ გამოვიდა. შესვენების წინ მოჭადრაკეებმა დასვენება გადაწყვიტეს. ხუთი პარტია ყაიმით ისე დამთავრდა, რომ ორი საათიც კი არ უთამაშიათ. ბრძოლა საერთოდ არ ყოფილა პოლგარ-შიროვის, ანანდ-კრასენკოვის, ვან ველი-ივანჩუკისა და ტიმან-კარპოვის შეხვედრებში. ამასთან, ტიმანმა და კარპოვმა, პრაქტიკულად, კრამნიკ-ანანდის პარტიის შემოკლებული ვარიანტი გაითამაშეს.

ცოტა ხანში რაჯაბოვ-კრამნიკის პარტიაც დასრულდა. მოჭადრაკეებმა აქაც ქულები გაიყვეს. ერთადერთი გამარჯვება ევგენი ბარეევმა მოიპოვა. ეს მისი ზედიზედ მეორე მოგებაა და 9 ტურის შემდეგ ბარეევი გათამაშების ლიდერს, ვიშვანათან ანანდს ერთი ქულით ჩამორჩება. კარო-კანის დაცვაში ბარეევის ფიგურები გაცილებით უფრო კოორდინირებულად გამოიყურებოდა, ვიდრე გრიშჩუკისა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ბარეევმა შანსი ხელიდან არ გაუშვა.

შედარებით ხანგრძლივი გამოდგა ბულგარელ ტოპალოვისა და უკრაინელ რუსლან პონომარიოვის შეხვედრა. ბულგარელი დიდოსტატი ესპანური პარტიის ბერლინურ სისტემაში ორიგინალურად და ცოცხლად მოქმედებდა და ხარისხის უპირატესობა მოიპოვა. თუმცა, გადამწყვეტი იერიში მაინც ვერ განახორციელა. ტოპალოვი FIDE-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის თავგანწირულ წინააღმდეგობას წააწყდა და იძულებული გახდა, ყაიმს დასჯერებოდა.

9 ტურის შემდეგ ანანდს 6 ქულა აქვს. 5,5-5,5 ქულით მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ იუდით პოლგარი და ლუკ ვან ველი. 5-5 ქულა მოაგროვეს შიროვმა, გრიშჩუკმა და ბარეევმა.

კრივი

# კლიჩკოებს ამბიცია მოსძალებიათ

*მას შემდეგ, რაც მსოფლიო ჩემპიონმა, ბრიტანელმა ლენოქს ლუისმა პროფესიული რინგიდან წასვლა ახსენა, ეს თემა საინფორმაციო სააგენტოებმა უმალ აიტაცეს. თუმცა, საბოლოო ნაბიჯის გადადგმამდე ბრიტანელმა სამი-ოთხი ბრძოლის ჩატარებაზეც მიუთითა. სავარაუდო მეტოქეთაგან ლუისი ძმებ კლიჩკოებსაც გულისხმობდა. ბუნებრივია, ამას მოყვა ლუის-კლიჩკოს დაპირისპირების მომლოდინეთა არმიის გაცხოველებული ინტერესი - როდის და სად დაუპირისპირდებოდნენ ისინი ერთმანეთს. ხანგრძლივი დავა-კამათისა და მარჩიელობის შემდეგ ესეც გაირკვა. ვიდრე მათი ორთაბრძოლა შედგებოდეს, კლიჩკოთაგან უფროსმა, ვიტალიმ, საკმაოდ ამბიციური განცხადებები გაავრცელა.*


ვიტალი კლიჩკო

ბიბა ბურასაშვილი

უკრაინული ტელეარხის სრ-1-ის პროგრამა "Саме той"-ში სტუმრად მყოფი ძმები კლიჩკოებიდან უფროსმა, ვიტალიმ, განაცხადა, რომ ლენოქს ლუისთან საბრძოლველად ემზადება და, ამასთან, ბრიტანელის პენსიაზე გაშვებაც განუზრახავს.

"ეს ტყუილი ბაქიბუქი არ გეგონოთ. ლუისმა ყველა ზღვარს გადააბიჯა. ის აქამდეც უნდა წასულიყო არენიდან," - განაცხადა ვიტალიმ და იქვე დასძინა, რომ მასთან ბრძოლის კონტრაქტს პრომოუტერებმა უკვე მოაწერეს ხელი.

ბრძოლა, რომელიც 12 აპრილს ლას-ვეგასში, "მენდელეი ბეის" სასტუმროში გაიმართება, ერთხელ და სამუდამოდ მოუღებს ბოლოს ლუის-კლიჩკოს დაპირისპირება-არდაპირისპირებას. თუმცა, არაოფიციალური, მაგრამ ამავე დროს სანდო წყაროები, იმავე კონტრაქტის თანახმად, ერთ მეტად მნიშვნელოვან პუნქტზე მიუთითებენ. იმ შემთხვევაში, თუ ლუისი ვიტალისთან ბრძოლას თავს აარიდებს, მაშინ ბრიტანელი ვალდებულია, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დათმოს და მის დასაუფლებლად სხვებს გაუხსნას გზა. მეტიც, თუ ასეთი რამ საერთოდ მოხდა, მაშინ ლუისმა, გარდა იმისა, რომ საჩემპიონო ქამარს დაემშვიდობება, სოლიდური ფულადი ჯარიმაც უნდა გადაიხადოს. ერთი სიტყვით, ბრიტანელს ყოველმხრივ შეკრული აქვს ხელ-ფეხი. მაგრამ, არა გვგონია, ლუისმა უკან დაიხიოს.

ასეა თუ ისე, 12 აპრილამდე არც ისე დიდი დროა. უფროსი კლიჩკო კი უკვე სამომავლო გეგმებს აწყობს. ვიტალის, ლუისთან ბრძოლის შემდეგ, მაიკ ტაისონისა და ევანდერ ჰოლიფილდის პენსიაში გაშვებაც განუზრახავს.

"დროა, ისინიც წავიდნენ რინგიდან. ორივე მათგანი ძალიან დაშორდა იმ ფორმას, რომელშიც 90-იან წლებში იყვნენ", - დასძენს ვიტალი.

ვიტალისვე თქმით, უმცროს ძმასთან, ვლადიმირთან ერთად, მას არ გაუჭირდება ორი შავკანიანი მოკრივის დამარცხება, თუმცა, ამავე დროს, ტაისონისა და ჰოლიფილდის დაუფასებლობაც არ იქნებაო. ისე კი, რა ხანია, ორივე ძმას დიდი სურვილი აქვს, "რკინის მაიკს" შეერკინონ. ამ საქმის გასაჩარხად ძმები კლიჩკოების გერმანელი პრომოუტერი, კლაუს-პეტერ კოლი, უკვე საქმესაც შესდგომია. კოლი ყველა ღონეს ხმარობს იმისთვის, რომ ერთ-ერთი კლიჩკო ტაისონს შეახვედროს. შარშან, 29 დეკემბერს, კვირა დღეს, კოლმა განაცხადა კიდეც: თუ ვიტალი ლუისს დაამარცხებს, მაშინ სავსებით რეალურია, მისი მომდევნო მეტოქე ტაისონი გახდესო.

აღსანიშნავია, რომ კოლს სათადარიგო ვარიანტიც შეუმუშავებია. კერძოდ, ლუისთან უფროსი კლიჩკოს დამარცხების შემთხვევაში, ტაისონთან უფროს ძმას უმცროსი შეცვლის. როგორც უნდა იყოს, კოლის გათვლებით, კლიჩკოთაგან ერთ-ერთი "რკინის მაიკს" შეერკინება.

ცურვა

# მსოფლიო, რომელსაც 0,05 მეასედი ასცდა

*მოცურავეთა შვიდეტაპიან მსოფლიო თასის გათამაშებაში, ბოლოსწინა ეტაპზე, რომელსაც სტოკჰოლმი მასპინძლობს, ცისფერ ბილიკებზე პირველობისთვის საკუთარი წარმომადგენლები 32-მა ქვეყანამ გაგზავნა. ორდღიანი ასპარეზობის ესტაფეტა შვედეთის დედაქალაქმა საფრანგეთის დედაქალაქისგან ჩაიბარა. პარიზმა კი, შესაბამისად, რიო-დე-ჟანეიროს, ნიუ-იორკის, შანხაისა და მელბურნისგან.*

ბიბა ბურასაშვილი

ამერიკისა და აზია-ოკეანიის ზონიდან წამოსული მსოფლიო თასის წყალი ადრეული 2001-2002 წლების გათამაშებისგან იმით განსხვავდება, რომ მიმდინარე სეზონში ნაკლებად ემხობა მსოფლიო რეკორდები. შესაძლოა, ეს იმით იყოს განპირობებული, რომ ამბიციის მქონე სპორტსმენები შესაბამის კონდიციებთან მიახლოებას საზაფხულოდ, უმთავრესი ასპარეზობისთვის - ბარსელონის საწყლოსნო სახეობათა X მსოფლიო ჩემპიონატისთვის აპირებენ.

მსოფლიო რეკორდები არც სტოკჰოლმური ეტაპის პირველ დღეს დამყარებულა. ის, ვინც ყველაზე მეტად მიუახლოვდა ამგვარ შედეგს, "ვარსკვლავთა შორის ვარსკვლავი", როგორც მას უწოდებენ, ავსტრალიელი იან ტორპი გახლდათ.


იან ტორპი

შვეციის დროით 19 საათსა და 18 წუთზე, 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ფინალური გაცურვა, შეიძლებოდა, ისტორიის კუთვნილება გამხდარიყო. იან ტორპს, რომელსაც თანამემამულის, გრანტ ჰეკეტის მიერ შარშან სიდნეიში დამყარებული მსოფლიო რეკორდის (3.34,58) დამხობა ჰქონდა განზრახული, ასეთ შედეგს 0,05 წამით ასცდა. ავსტრალიელმა კარგად აიღო სტარტი. ფინიშამდე 100 მეტრით ადრე, თითქოს, რეკორდის გაუმჯობესება გარდუვალიც ჩანდა, მაგრამ გულშემატკივარიც და თვითონაც გაწბილებულები დარჩნენ. მისთვის ერთადერთ ნუგეშად ის თუ გამოდგება, რომ ხელში შერჩა მსოფლიო თასის რეკორდი და ქულათა მაქსიმუმი, რომელმაც იგი დღის საუკეთესო მოცურავე გახადა.

ავსტრალიელის შემდეგ შეჯიბრების მასპინძლები, ყველაზე დიდი ოვაციით, რა თქმა უნდა, თანამემამულეებს შეხვდნენ.

მეექვსე ეტაპის სხვა მნიშვნელოვან მომენტთაგან აღსანიშნავია მასპინძელ ჯოზეფინ ლილჰაგის მიერ 200 მეტრზე თავისუფალში მსოფლიო რეკორდსმენის, ამერიკელი ლინსდეი ბენკოს ცხრა მეასედი წამით დამარცხება. მასპინძელთაგან ასპარეზობის პირველ დღეს ემა იგელსტრიომმა (100 მეტრზე ბრასში) და ტერეზა ალსამარმაც (50 მეტრზე თავისუფალში) იყოჩაღეს. ალსამარმა პარიზულ ეტაპზე ბრიტანელ ალისონ შეპარდისგან ნაწვნევ მარცხზე იძია შური.

კარგად ასპარეზობენ პარიზული ეტაპის ლიდერები - ალბიონელებიც. პირველ დღეს მოპოვებულ მედალთა რაოდენობის მხრივ ბრიტანელები სტოკჰოლმშიც პირველობენ. გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ავიდნენ ჯეიმს ჰიკმანი (200 მ. ბატერფლაი), სარა პრაისი (200 მ. გულაღმა) და მარკ ფოსტერი (50 მ. ბატერფლაი).

ურიგოდ არც უკრაინელები გამოდიან. მოპოვებული სამი ოქროს მედლიდან ორი ეკუთვნის მსოფლიო რეკორდსმენს ოლეგ ლისოგორს, რომელმაც ასეთ წარმატებას ჯერ 50 მეტრზე ბრასში მიაღწია, შემდეგ კი - 100 მეტრზე კომპლექსურში. ამავე დისციპლინის 200 მეტრზე მესამე ოქრო კომპლექსური ცურვის დიდოსტატის, იანა კლოჩკოვას ანგარიშზეა.

ასპარეზობას ევროპული რეკორდის გარეშე არ ჩაუვლია. ავსტრიელმა მაქსიმ პოდოპრიგორამ 200 მეტრზე ბრასში ევროპა ერთი საფეხურით დააწინაურა. 2 წუთსა და 07,46 წამში პოდოპრიგორა დღის მეორე საუკეთესო მოცურავე გახდა იან ტორპის შემდეგ.

მედლების რაოდენობის მხრივ კი, როგორც აღვნიშნეთ, წინ არიან ბრიტანელები (3, 1, 1). 3 ოქროსა და 1 ვერცხლის მედლით მეორე ადგილზე არიან მასპინძლები, ხოლო მესამეზე, 3 ოქროს მედლით, - უკრაინელები.

ხელბურთი

# რუსები ბურთს უჩივიან

**პორტუგალია**
**მსოფლიო ჩემპიონატი**
**ჯგუფური ეტაპის მეორე ტური**

**A ჯგუფი**

*კუვეიტი-იუგოსლავია 14:36, მაროკო-ტუნისი 24:28 პოლონეთი-ესპანეთი 25:34.*

**B ჯგუფი:**

*ავსტრალია-გერმანია 16:46, გრენლანდია-ისლანდია 17:30, პორტუგალია-კატარი 31:21.*

**C ჯგუფი:**

*არგენტინა-რუსეთი 26:26, საუდის არაბეთი-ხორვატია 18:25, უნგრეთი-საფრანგეთი 24:29.*

**D ჯგუფი:**

*ეგვიპტე-ალჟირი 25:25, სლოვენია-შვედეთი 29:25, დანია-ბრაზილია 28:24.*

პორტუგალიაში გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი ხელბურთში. შესანიშნავად ასპარეზობს ისლანდიის ნაკრების ქართველი მეკარე როლანდ ერაძე. მეტწილად ერაძის დამსახურებაა, რომ ისლანდიის ნაკრებმა ორივე თამაში მოიგო. ამჯერად კუნძულელებმა გრენლანდიის ნაკრები გაანადგურეს. ეს ამბავი მოხდა B ჯგუფში, სადაც, ისლანდიელებთან ერთად, 2-2 გამარჯვება აქვთ გერმანელებსა და პორტუგალიელებს. A ჯგუფში შთამბეჭდავად გამოიყურებიან იუგოსლავიისა და ესპანეთის ნაკრები გუნდები. ესპანელებმა პოლონეთს მოუგეს, ხოლო კუვეიტის ნაკრები "იუგების" ლუკმა აღმოჩნდა.

საინტერესოდ წარიმართა აფრიკული დერბი ეგვიპტესა და ალჟირს შორის. ეგვიპტელები, რომლებმაც ნახევარფინალში გააღწიეს, ფრესლა გამორჩნენ. სამაგიეროდ, მარცხიანი დებიუტის შემდეგ, პირველი გამარჯვება იზეიმა სლოვენიის ნაკრებმა. უაღრესად დრამატულ მატჩში სლავებმა მოუგეს შვედეთის ნაკრებს. დანიამ, როგორც მოსალოდნელი იყო, არავითარი შანსი არ დაუტოვა ბრაზილიას.

დაძაბული გამოდგა რუსეთისა და არგენტინის ნაკრებთა შეხვედრა. თუ რუსთა მწვრთნელს, ვლადიმირ მაქსიმოვს დავუჯერებთ, მისი გუნდი ვერაფრით შეეგუა "ადიდასის" ფირმის ახალ ბურთს, რომელიც, ძველთან შედარებით, ძალიან სრიალებს. ამის გამო, როგორც მაქსიმოვი ამბობს, მის ხელბურთელებს ბურთი ხელიდან უვარდებოდათ, რამაც არგენტინის ნაკრებს ქულის მოპოვების საშუალება მისცა.

პირველ ტურში არგენტინელებმა დაამარცხეს ატლანტის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ხორვატიის ძლიერი გუნდი. რუსებმა კი, მეტისმეტად უფერულ შეხვედრაში, ერთი ბურთის სხვაობით, ძლივს მოუგეს უნგრეთის არცთუ ძლიერ გუნდს - 31:30. ასეა თუ ისე, ახლა რუსებს სამი ქულა აქვთ. ხორვატებმა კი, საუდის არაბთა ძლევით, პირველი გამარჯვება მოიპოვეს.

მოკლედ

**ჩოგბურთი:** სახელოვანმა ხორვატმა ჩოგბურთელმა გორან ივანიშევიჩმა განაცხადა, რომ ტრავმით გამოწვეული იძულებითი შესვენების შემდეგ კორტებს დაუბრუნდება. დაბრუნებისთვის გორანმა გერმანიის მოკრძალებული ჩელენჯერის ტურნირი აირჩია. ივანიშევიჩი მიიჩნევს, რომ ეს ტურნირი მისთვის ბედნიერია. 2001 წელს ხორვატმა ჯერ გეილბორნის ტურნირი მოიგო, ხოლო რამდენიმე თვეში უიმბლდონის ტრიუმფატორიც გახდა. მთავარ გამოცდად კი გორანი მიიჩნევს დევისის თასის მატჩს, რომელიც ზაგრებში თებერვლის დასაწყისში გაიმართება - ხორვატიის ნაკრები აშშ-ის გუნდს უმასპინძლებს.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი:** გერმანიაში ათენის 2004 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარესთან, იანა ანგელოპულო-დასკალაკისთან შეხვედრის დროს გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა განაცხადა, რომ ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტაში პირადად მიიღებს მონაწილეობას. ეს წინადადება კანცლერმა მას შემდეგ წამოაყენა, რაც ორგკომიტეტის თავმჯდომარემ მას ბერლინში ჩირაღდნის ოფიციალური მიღება შესთავაზა. გერმანიის კანცლერი ერთ-ერთი იქნება იმ ათასობით ადამიანიდან, რომლებიც ოლიმპიურ ჩირაღდანს ათობით ქვეყნის ტერიტორიაზე გამოატარებენ.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი:** ესპანეთის დედაქალაქი 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლებისთვის იბრძოლებს. ასეთია ესპანეთის ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელთა შორის გამართული კენჭისყრის შედეგები. ამრიგად 2012 წლის მთავარი შეჯიბრების მოწყობის მსურველთა ნუსხა ასე გამოიყურება: ნიუ-იორკი, პარიზი, მადრიდი, მოსკოვი, ლონდონი, აგრეთვე, გერმანიისა და ბრაზილიის ჯერ კიდევ დაუსახელებელი ქალაქები.







## ბინები

### იყიდება

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000, ტელ: 899 901729.

იყიდება ერთი ოთახი ალმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

სასწრაფოდ იყიდება კარგად გარემონტებული 5-ოთახიანი ბინა ვაკეში, II-III სართული. ფასი 75 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება გარემონტებული სამოთახიანი ბინა ა/ფარეხით ფალიაშვილის ქუჩაზე. მე-2 სართული. ს/ფასი 50 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება სამოთახიანი ბინა ახალ კორპუსში რუსთაველზე, I სკოლასთან. 50 000. 8(99) 51 58 54

იყიდება საკუთარი სახლი ნუცუბიძეზე საბაგიროსთან, ბელეტაჟზე, ხეხილის ბაღით, ავტოფარეხით. ტ: 39-87-19.

## მიწის ნაკვეთი

სასწრაფოდ და იაფად იყიდება წეროვანში (მცხეთის რაიონი) 2700 კვ.მ. მიწის ნაკვეთი 2-სართულიანი სახლის კარკასით. 3000 $. 79 43 17 ავთო (საღამოს), 39 68 63 რამაზი, 8(93) 35 88 31

იყიდება 1200 კვ.მ.-ზე მეტი მიწის ნაკვეთი ქვემო წყნეთში. 69 99 00, 66 09 32

იყიდება 2500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ალმაშენებლის ხეივნიდან 400 მ-ში, რესტორან „ფორტუნასთან“. 53 07 48

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## კომერც. ფართი

იყიდება გარემონტებული 160 კვ.მ. მაღაზია მუშა მდგომარეობაში. გამოდგება საოფისედაც. მთაწმინდაზე. 93 42 86

ქირავდება გრიბოედოვზე ქუჩისპირა სარდაფი საკომერციოდ ან დაწყობად. 98-86-01.

ქირავდება საოფისედ გრიბოედოვზე 2-ოთახიანი იზოლირებული ბინა პარკეტიანი საუთარი სადარბაზოთი. 98-86-01.

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**

სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.

ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

## მანქანები

სასწრაფოდ! იყიდება მაღალი კლასის ავტომანქანა "ჰუნდაი სონატა" სრული ელპაკეტით (ტყავის სალონით) 1995წ. 877 44 45 13

## სწავლება

გახსნილია ჭრა-კერვის (მოდელირება, კონსტრუირება, პრაქტიკა, ტექნოლოგია), ხელით და მანქანაზე ქსოვის შემსწავლელი კურსები. გაიცემა სერთიფიკატი. მარჯანიშვილის 21. 79 82 66 ნანა

შევასწავლით იტალიურ ენას. 61 47 35

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 05 71, 8(99) 29 88 05

მოვამზადებ ყველა ასაკის მსურველს გერმანულ ენაში. 30 72 09

ირმა ნიორაძის საბალეტო სტუდია აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 5 წლის ასაკიდან. ფალიაშვილის ქ. N34. ტელ: 22-47-29

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

## სხვადასხვა

სასწრაფოდ ვისესხებ ბინის მყარი გარანტიით ყოველთვიური პროცენტის წინასწარი გადახდით. 93 39 43

ახალ პროექტში სათანამშრომლოდ გვესაჭიროება ექვსი სერიოზული ადამიანი. ანაზღაურება საინტერესოა. 58 83 58

ფინური სახლები. 95 94 17, 94 25 80

იყიდება სარ-პეის ლექვი. 8(99) 51 66 78

საბაჟო ორგანოების საკონკურსო-საატესტაციო გამოცდებთან დაკავშირებით მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ ეწყობა კურსები. 33 04 25, 8(99) 10 66 52

დედათა და ბავშვთა სამკურნალო პროფილაქტიკურ ცენტრში ვმკურნალობთ კანის დაავადებებს: ფსორიოზს, ნეიროდერმიტს, სებორეას, ეგზემას, სოკოს (ლიც. № 0002440). მიცკევიჩის 29 ა. 39 18 24 (10-დან 15 სთ-მდე), 39 80 50 (18 სთ-დან)

საორსულო ტანსაცმელი და ბანდაჟები. მოხრილობის, დისკოზის და ფეხის ასადგმელი ქამრები, ბრტყელტერფიანების სუპინატორები, ორთოპედიული ბალიშები. 53 46 41

ყურადღება! სამუდამოდ გაგათავისუფლებთ ჭარბთმიანობისგან. ვარჩენთ ნებისმიერი სირთულის თმას. 1 საათი – 12 ლარი. ტ. 93-19-52, 899 168 168 ნინო

იყიდება ამერიკული თოჯინა „კარმენი“ - ორიგინალი. 75 15 04

გუდრონის დასხმა. 96 31 83

იყიდება ბილიარდები: რუსული, კარამბოლი და პული. 34 84 85, 8(77) 42 50 82

ფირმების რეგისტრაცია უმოკლეს ვადაში.
96-17-35
899 16 11 03

**გასართობი ცენტრი "არაგვი" სამუშაოდ იწვევს, 25 წლამდე ასაკის, გოგონებსა და ვაჟებს, შემდეგ ვაკანსიებზე:**

1. კრუპიე;
2. მიმტანი (მხოლოდ გოგონები);
3. მზარეული
4. დამლაგებელი

კრუპიებისა და მიმტანებისათვის ფუნქციონირებს მოსამზადებელი კურსები.

მოგვმართეთ მისამართზე: სანაპიროს 1. რესტორანი "არაგვი". $17^{00}$-$21^{00}$ -მდე.

**ტელ: 92-04-06, 92-04-08**

## სკანდინავიური კროსვორდი



## აფიშა

### თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**თეატრალური სარდაფი**
"ინსტინქტი", რეჟ. ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**თავისუფალი თეატრი**
"ჯინსების თაობა (დაგვიანებული რექვიემი)", რეჟ. დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ; ფასი 3,7,10 ლარი

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„**
"და სიმღერით ვკვდები", რეჟ. მურმან ჯინორია
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

**ახმეტელის თეატრი**
"საშობაო ზღაპარი", რეჟ. ოთარ ბაღათურია
დას: 13:00; 15:00 სთ; ფასი 2,3 ლარი

**„ძველი სახლი - მეტეხის თეატრი„**
თეოდორ დოსტოევსკი "იდიოტი", რეჟ. სანდრო მრევლიშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი(მოსწავლეებისათვის და სტუდენტებისათვის 2 ლარი)

### საგამოფენო დარბაზები

**ეროვნული გალერეა**
11 ახალგაზრდა შემოქმედთა ნამუშევრების გამოფენა

**ძველი გალერეა**
"დაჯექი", ლია შველიძის გამოფენა-აქცია

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
მაკა ასათიანისა და გუგა კოტეტიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**„ქარვასლა„**
თინა კობიაშვილის სახელოსნოს და მისი ნამუშევრების გამოფენა

### კინოთეატრები

**„ამირანი„**
"ბეჭდების მბრძანებელი", რეჟ. პიტერ ჯექსონი
დას: 10:30; 14:00; 17:30; 21:00 სთ; ფასი 5,6,9,10 ლარი

**„რუსთაველი„**
"ჯეიმს ბონდი, მოკვდი სხვა დღეს", რეჟ. ლი ტომახორი; როლებში პირს ბროსნანი, ჰალი ბერი
დას: 16:30; 19:00; 21:30 სთ; ფასი 5,7,10 ლარი

**„ელისო„**
"ჯეიმს ბონდი, მოკვდი სხვა დღეს", რეჟ. ლი ტომახორი; როლებში პირს ბროსნანი, ჰალი ბერი
დას: 18:00; 21:00 სთ; ფასი 7 ლარი

**ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმი**
**ცხადდება მიღება მოსამზადებელ ჯგუფებში**

V-VI-VII-VIII-IX კლასების იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც სწავლის გაგრძელებას აპირებენ ESM-თბილისის სკოლა- ლიცეუმში.
მეცადინეობა ჩატარდება მათემატიკასა და უცხო ენაში - კვირაში 3-ჯერ $15^{00}$ საათიდან. სწავლება დაიწყება 15 იანვარს.
განცხადებები მიიღება ყოველდღე $9^{30}$ -დან $15^{00}$ -საათამდე.

მისამართი: ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
ტელეფონი: 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა-ლიცეუმი, 877 425286.















# მიმდინარეობა: პროტესტი

## მზესუმზირა ძალადობის წინააღმდეგ

თამარ ბაბუაძე



"გერნიკა"

სანტა მონიკაში, გალერეა Track 16-იდან საშინლად დაძაბული აურა გამოდის და არც თუ უსაფუძვლოდ – იქ, ერთადერთ დარბაზში წლების განმავლობაში დაგროვებულ პროტესტს მოუყრია თავი. პროტესტს, რომელიც ომისა და ძალადობის წინააღმდეგ არის მიმართული და რომელსაც მხოლოდ მე-20 საუკუნეშიც საკმაოდ მდიდრული და მრავალფეროვანი წარსული აქვს.

თემაზე – "უარი ომს", მოწყობილ გამოფენაზე კაცობრიობის პროტესტი გრაფიკული პლაკატების სახითაა გადმოცემული. მათი მთავარი მოქმედი პირები ის გეოგრაფიული ადგილები არის, რომლებიც უკვე კარგა ხანია, გაიგივდნენ ომთან: ვიეტნამი, კორეა, სპარსეთის ყურე, ავღანეთი, და ბოლოს, კვლავ ერაყი. კაროლ უელსს, პოლიტიკური გრაფიკის შემსწავლელი ცენტრის ხელმძღვანელს გამოფენის მოწყობის იდეაც სწორედ ბოლო ხანს გაჩაღებული ანტი-ერაყული კამპანიის გამო გაუჩნდა. პლაკატების შეგროვებითა და გამოფენით, შეიძლება ითქვას, რომ მან გრაფიკოსი მხატვრებიც ახალი ომის წინააღმდეგ ქუჩაში გამოსულ ცნობილ სახეებს შეუერთა.

გაზეთი "ლოს ანჯელეს ტაიმსი" უელსის პროექტს "პროვოკაციულ ისტორიულ ექსპოზიციას" უწოდებს და არც თუ უმიზეზოდ: თუ შექმნილ პოლიტიკურ ფონს გავითვალისწინებთ, ამ ომის წინააღმდეგ მიმართულ შოუში, ალბათ, მართლაც აღმოვაჩენთ რაღაც მაპროვოცირებელს. მით უფრო, რომ პლაკატის პირველადი დანიშნულებაც ასეთია – გარკვეულწილად მოუწოდოს მნახველს, ომის წინააღმდეგ კონკრეტული ნაბიჯები გადადგას.

გალერეაში "წარმოდგენილი" პროტესტი ბოლო 50 წელიწადს ითვლის. აშშ-ს მთავრობა რაღაც დოზით 120-ივე ტილოზე ფიგურირებს. ზოგიერთი საპროტესტო ლოზუნგი ყველასთვის ნაცნობ ფაქტებზეა აგებული – მაგალითად, ვიეტნამის ომის წინააღმდეგ მიმართულ პლაკატებს, ბუნებრივია, ყველა იცნობს. თუმცა, არის ომებიც, რომლებიც საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილია, მაგალითად – კონფლიქტები ცენტრალურ, სამხრეთ ამერიკასა და აფრიკაში, აზიასა და ახლო აღმოსავლეთში. ანუ, გალერეაში თავმოყრილი პროტესტი მასშტაბურია არა მხოლოდ წლების, არამედ გეოგრაფიული ადგილების თვალსაზრისითაც. მათი მთავარი ღირსებაც სწორედ კეთილშობილური საქმისთვის პროტესტის გამოხატვაა და არა მაღალი მხატვრული ღირებულება.

ლოზუნგების ავტორები ხშირ შემთხვევაში ანონიმურობას არჩევენ. როგორც ჩანს, ამასაც თავისებური სიმბოლური დატვირთვა აქვს – რადგანაც პროტესტი მასობრივია, კონკრეტული, ინდივიდუალური ავტორის ხელმოწერით არ არღვევენ მასობრიობის განცდას.

ყველაზე ცნობილი და, ალბათ, ეფექტური ლოზუნგი ვიეტნამის დროინდელ ფრაზაზეა აგებული: "ომი მავნეა ბავშვების და სხვა ცოცხალი არსებების კეთილდღეობისთვის". ღია ყვითელ ფონზე, ეს წინადადება დაწერილია მზესუმზირის სქელი ღეროს გარშემო. თავად მზესუმზირის ყვავილიც მშვენივრად გადმოსცემს იმ ეპოქის ემოციებს. მეორეს მხრივ კი, ის ე.წ. სიცოცხლის ხის არქეტიპადაც შეიძლება დავსახოთ.

არანაკლებ ეფექტურია თავისუფლების ქანდაკების ვარიაციით შექმნილი ლოზუნგიც. შავ ფონზე, სიტყვა EAT (ჭამა), ფართოდ დაღებული ხახა და მასში მოქცეული თავისუფლების ქანდაკებაა გამოსახული. ეს ყვითელი ხახადაღებული არსება, რომელიც გემრიელად მიირთმევს თავისუფლების სიმბოლოს, არტ-კრიტიკოსებს პიკასოს "გერნიკასაც" აგონებს; "გერნიკას", რომელიც, თავის მხრივ, მეოცე საუკუნის, ომის წინააღმდეგ მიმართული ყველაზე აღიარებული ტილოა.

ზოგიერთი ლოზუნგი მძაფრ ემოციას მკითხველში სწორედ ასეთი პარალელებითა და ოსტატურად მიგნებული მხატვრული სახეებით აღძრავს. ზოგიც – ირონიით სავსე ტექსტებით. მაგალითად, პლაკატზე ბიძია ჯორჯის შესახებ ვკითხულობთ:

"ბიძია ჯორჯს თქვენგან სურს, რომ: დაივიწყოთ კრიზისში მყოფი ბანკები, ნარკოტიკი, შიდსი, ცუდი ჯანდაცვის სისტემა, უმუშევრობა, კრიმინალი, რასიზმი, კორუფცია და ერთი, კარგად იომოთ!"

მსგავსი გამოფენა, რომელიც გალერეა Track 16-ში 15 თებერვლამდე გაგრძელდება, პოლიტიკური გრაფიკის შემსწავლელმა ცენტრმა 1990 წლის დეკემბერშიც წარმოადგინა. მაშინაც ისინი ერაყის წინააღმდეგ ომს აპროტესტებდნენ და მამა ბუშის საგარეო პოლიტიკას გმობდნენ. ისტორია ოღონდ უკვე ახალგაზრდა ბუშის, იგივე ჰუსეინისა და ომის წინააღმდეგ მიმართული გამდიდრებული პლაკატების თანხლებით კვლავაც მეორდება.

ამ ფონზე, საინტერესოა პასუხი გაეცეს კითხვას: პლაკატები მართლაც მოუწოდებენ თუ არა საზოგადოებას პოლიტიკური ქმედებისკენ? ალბათ, ეს ემოცია მათში გარკვეულწილად მართლაც დევს. თუმცა, რადგანაც ცხელი წერტილები მსოფლიოში კვლავაც მრავლადაა, ანტი-ძალადობრივი პლაკატი კი ათასობით იქმნება, უფრო უპრიანი იქნებოდა, გვეფიქრა, რომ ლოზუნგების მიზანი ვნებებისგან დაცლა და საკუთარი პოზიციის დაფიქსირებაა. ეს გახლავთ თვითდამშვიდების სოციალური ხერხი, რომელიც ეფექტურად გამოიყენეს გალერეა Track 16-შიც.




უარი ომს













# სიგარეტის ძველი ისტორია ახალ ჭრილში

"ბითლზის" თაყვანისმცემლებს ამერიკელებმა უსიამო სიურპრიზი მოუმზადეს. მათ სიგარეტის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაში 1969 წლის ალბომი "ები როუდიც" გარიეს: ალბომის გარეკანი, რომელზეც პოლ მაკარტნი სიგარეტით ხელშია გამოსახული, ისე დაამუშავეს, რომ სიგარეტი ყდიდან საერთოდ გაქრა. რაც მთავარია, კომპაქტ-დისკის დიზაინის შეცვლის იდეა მათ არც პოლ მაკარტნისთან შეათანხმეს და არც "ეფლ რექორდსთან" – კომპანიასთან, რომელიც გარეკანზე საავტორო უფლებას ფლობს.

ამიტომაც, ბუნებრივია, ამერიკელების გადაწყვეტილებამ ყველა გააღიზიანა. "მსგავსზე არაფერზე შევთანხმებულვართ. ეს მათ თვითნებურად გადაწყვიტეს, რაც, რა თქმა უნდა, არ უნდა გაეკეთებინათ, მაგრამ ახლა ბევრს ვეღარაფერს შევცვლით", - განაცხადა "ეფლის" წარმომადგენელმა. კომპანიამ კი, რომელიც პლაკატების დიზაინზე მუშაობს, გარეკანის დიზაინი თამბაქოს წინააღმდეგ მიმართული კამპანიის გულის მოსაგებად შეცვალა.

ამ თვითნებური ცვლილების მომხრენი ჯორჯ ჰარისონის ისტორიასაც იხსენებენ. ის ხომ 14-იოდე თვის წინ გარდაიცვალა და თავის ავადმყოფობას სწორედ სიგარეტს აბრალებდა...

თუმცა, "ბითლზის" მუსიკის თაყვანისმცემლების აღშფოთებაც გასაგებია. მათ, ამ შემთხვევაში, მოსაზრება, რომ სიგარეტი კიბოს იწვევს, საერთოდ არ აღელვებთ. ბითლომანებისთვის მთავარია, ლეგენდარული ჯგუფის მუსიკალური მემკვიდრეობის ხელშეუხებლად დაცვა.

მით უფრო, რომ ალბომი "ები როუდი" და მისი გარეკანი უკვე კლასიკად ითვლება და მას თან განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ისტორიები ახლავს. პირველ რიგში, ეს გახლავთ ჩანაწერი, რომელიც ბრიტანეთში 1969 წლის 26 სექტემბერს გამოვიდა და ჩარტებში მაშინვე პირველ ადგილზე მოექცა. ეს ადგილი ალბომმა 11 კვირას შეინარჩუნა. პირველი ადგილიდან, ისიც მხოლოდ ერთი კვირით, ალბომი "როლინგ სტოუნზის" Let it Bleed-მა მოხსნა. მეტიც, "ები როუდი" წინასწარ 200 ათასმა ადამიანმა შეუკვეთა. გამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ კი უკვე გაყიდული იყო ალბომის ხუთი მილიონი ასლი. 1980 წლამდე ეს რიცხვი ათ მილიონამდე გაიზარდა...

ალბათ, ათივე მილიონ ბითლომანს განსაკუთრებულად მოსწონდა ალბომის გარეკანიც, რომელიც გამოსვლისთანავე დიდი მითქმა-მოთქმისა და ისტერიკების მიზეზი გახდა.

უთანხმოება ჯერ კიდევ ალბომზე მუშაობის პერიოდში დაიწყო. ლენონი და მაკარტნი სიმღერების განლაგებაზე ვერ შეთანხმდნენ: ჯონს სურდა თავისი სიმღერები ერთ გვერდზე მოექცია, პოლის სიმღერები კი – მეორეზე... და როდესაც საქმე ალბომის დიზაინზე მიდგა, პოლემიკისგან ყველა ისე იყო დაღლილი, რომ გადაღებებისთვის შორს წასვლა აღარც მოინდომეს და ეს ისტორიული კადრი იქვე, ები როუდის ქუჩაზე EMI სტუდიასთან, გადასასვლელზე დააფიქსირეს.

1969 წლის 8 აგვისტოს დილას, ფოტოგრაფ იან მაკმილანს გადაღებებისთვის ათი წუთი მისცეს. ზუსტად ათ საათზე ხმის ჩამწერ სტუდიასთან პოლიციამ გზა გადაკეტა, მაკმილანმა კიბე დაიდგა და ქუჩაზე გადასვლის პროცესში ჯონს, პოლს, ჯორჯსა და რინგოს ექვსიოდე კადრი გადაუღო. ალბომისთვის ფოტო თავად ამერიკული ინციდენტის მთავარმა გმირმა – პოლ მაკარტნიმ შეარჩია. შემდეგ ბევრს ეგონა, რომ პოლმა ფეხზე სპეციალურად გაიხადა, რადგან ამით რაღაც მნიშვნელოვანი სათქმელი გადმოსცა. არადა თავად მაკარტნიცა და მაკმილანიც აცხადებენ, რომ ეს ყველაფერი უბრალო დამთხვევა იყო. მოგვიანებით მაკარტნი მუსიკალურ ჟურნალისტს, იმ ხანად დისკ-ჟოკეის, პოლ გამბაჩინის უყვებოდა: "სასიამოვნო, ცხელი დილა იდგა და ფეხზე სანდალი ჩავიცვი. "ები როუდთან" ფეხით მივედი, რადგან იქვე ვცხოვრობდი. დამცხა და სანდალი ამიტომაც გავიხადე. რამდენიმე ფოტოზე სანდალი მაცვია კიდეც"... მაკმილანიც იგონებს: "პოლმა თითოეული კადრი გამადიდებელი შუშით შეამოწმა... ის სანდალს ხან იცმევდა, ხან იხდიდა. მგონი, ფოტო, რომელზეც ფეხშიშველაა გამოსახული, სრულიად გაუთვითცნობიერებლად შეარჩია... პირადად მე ჯონმა დამიქირავა. თუმცა, ფოტოს იდეა პოლს ეკუთვნოდა და მეც ამ იდეის განსახორციელებლად ათი წუთი მომცეს".

მოგვიანებით, როდესაც ალბომი ამერიკაშიც გამოუშვეს, სწორედ ამ ფოტოს წყალობით აგორდა დიდი მოძრაობა, სახელად – "პოლი მკვდარია!". დეტროიტის რადიოს დიჯეი რას გიბსი ამტკიცებდა, რომ მაკარტნი, ჯგუფის დანარჩენ წევრებთან ჩხუბის შემდეგ, შენობიდან გამოვარდა, თავის "ასტონ მარტინში" ჩაჯდა და ავარიაში დაიღუპა. პოლის გარდაცვალების ამბავი დამალეს და ის "ები როუდის" გარეკანზე მისი მსგავსი მამაკაცით შეცვალეს. მეტიც, გიბსი ამტკიცებდა: ის, რომ პოლ მაკარტნის ფეხზე არაფერი აცვია, ეს მაფიის ენაზე სიკვდილს ნიშნავს. თეთრებში გამოწყობილი ჯონ ლენონი, თითქოს, სამგლოვიარო პროცესიას მიუძღვის, რინგოს ზუსტად ისე აცვია, როგორც დამკრძალავი ბიუროს მეპატრონეს, ჯორჯს კი – როგორც მესაფლავეს. თეორიები დაიბადა მაკარტნის საბედისწერო სიგარეტზეც (რომელიც დღეს უკვე ალბომის გარეკანიდან ამოშლილია) – ამ მოსაზრების მიმდევრები ნიშნის მოგებით სვამდნენ კითხვას: ცაცია მაკარტნი რატომ დაიჭერდა სიგარეტს მარჯვენა ხელში? სხვები ყურადღებას ამახვილებდნენ "ფოლკსვაგენის" ნომერზეც 28IF და მას ასე შიფრავდნენ: პოლი 28 წლის იქნებოდა, რომ ეცოცხლა (IF ხომ ინგლისურ ენაზე "თუ"-ს ნიშნავს)...

ამიტომაც, მანქანის ეს სერია ყველა "ბითლომანისთვის" ძვირფასი გახდა. "ფოლკსვაგენის" მეპატრონეს დაფა რამდენჯერმე მოპარეს. უკვე წლების შემდეგ, 1986 წელს კი, "სოთბის" აუქციონზე მანქანა სერიით LMW 28IF უზარმაზარ თანხად გაიყიდა.

სწორედ ამ ისტორიების გამო იყო "ები როუდის" ორიგინალური ყდა ყოველი ბითლომანისთვის ასე ძვირფასი და ბუნებრივია, პოლ მაკარტნისთვისაც, რომელიც მაშინაც და დღესაც გარეკანის მთავარი გმირი გახლდათ.



მაკარტნის (მარცხნიდან მეორე) ხელში სიგარეტი უჭირავს

## კალეიდოსკოპი

### დომინგო პუჩინიზე ფიქრობს

სამშაბათს ვაშინგტონის ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელმა, პლასიდო დომინგომ 62-ე დაბადების დღე სასიამოვნო ახალი ამბით აღნიშნა: ის 2003-04 წლის სეზონიდან, რომელიც დამდეგ სექტემბრს იწყება, ორ ახალ პროექტს შეეჭიდება. დომინგო იმღერებს ზიგმუნდის პარტიას ვაგნერის "ვალკირიაში" და დადგამს პუჩინის "მანონ ლესკოს". ის ჟურნალისტების წინაშე "კონსტიტუციის დარბაზში" წარსდგა. ვაშინგტონის ოპერის წარმოდგენები თებერვლიდან სწორედ ამ დარბაზში გაიმართება მანამ, სანამ კენედის ცენტრში ოპერის სახლის სარემონტო სამუშაოებს დაასრულებენ.

ვაშინგტონის ოპერა თავის 48-ე სეზონზე მაყურებელს ანდრე პრევინის "ტრამვაი სახელად სურვილსაც" წარუდგენს. ზოგიერთ სპექტაკლს თავად კომპოზიტორი უდირიჟორებს. ასე რომ, ოპერის ვაშინგტონელ მოყვარულებს 41-285 დოლარის საფასურად კვლავაც შეეძლებათ საყვარელი წარმოდგენებით ტკბობა.

### ნიშანი V აგვისტოსთვის

ჯერ ზაფხულამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, მაგრამ ფესტივალ V2003-ის ორგანიზატორები უკვე ზრუნავენ ესექსსა და სტაფორდშირში ცნობილი სახეების მიზიდვაზე. გუშინ გაირკვა, რომ 16, 17 აგვისტოს უესტონისა და ჰაილენდსის პარკებში შეკრებილი ფანების წინაშე როკ-ჯგუფები Coldplay-ი და Red Hot Chili Peppers-ი წარსდგებიან. "ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ფესტივალისთვის ორი მნიშვნელოვანი კონტრაქტი მოვიპოვე", - განაცხადა ღონისძიების დირექტორმა ბობ აგნუსმა.

როგორც ჩანს, ფესტივალი, რომელიც უკვე მეშვიდე წელია იმართება, წელსაც მრავალ მუსიკალურ ფანს შეკრებს. ორგანიზატორების თქმით კი, ისინი კიდევ რამდენიმე ცნობილ როკ-ჯგუფთან აწარმოებენ მოლაპარაკებებს და მათ ვინაობას რამდენიმე თვეში გაამხელენ. Red Hot Chili Peppers-ისა და Coldplay-ის თაყვანისმცემლებს კი ბილეთების შეძენა აგვისტოში დაგეგმილ ფესტივალზე 8 მარტიდან შეეძლებათ. მათთვის "პეპერსებმა" 2001 წლის ფესტივალზეც იმღერეს, Coldplay კი გამარჯვების ნიშნით აღნიშნულ ღონისძიებაზე პირველად გამოვლენ.

### მუსიკა მაინც შეიქმნება

"ბი ჯისი" მორისთან ერთად მოკვდა" – ეს ფრაზა ახლახან გარდაცვლილი გიბის ტყუპისცალ ძმას, რობინს ეკუთვნის. გუშინ მან ტელე-შოუს წამყვან ჟურნალისტს განუცხადა, რომ ძმები გიბები "ბი ჯისის" სახელს ამიერიდან აღარაფერში გამოიყენებენ, რადგან მორისის ხსოვნას სცემენ პატივს. "რაც არ უნდა გავაკეთოთ, მაინც ერთად ვიქნებით, მაგრამ ჩვენი ჯგუფის სახელს ისტორიას გადავულოცავთ", - დასძინა მან. თუმცა, რობინ გიბმა ისიც აღნიშნა, რომ ძმები მუსიკას მომავალშიც დაწერენ: "ვფიქრობ, ეს მორისის სურვილიც იქნებოდა. მისი სიკვდილი ჩვენთვის, არა მხოლოდ ძმის, არამედ სულიერი მეგობრის დაკარგვის ტოლფასიც იყო", - თქვა რობინ გიბმა.

### პრინცესა ჯარშია

სულ მალე შვედეთის მეფის ასული ტიარას მოიხსნის და სამეჯლისო კაბის ნაცვლად ჯარისკაცის ფორმას ჩაიცვამს – მართალია, სულ სამი კვირით. სწორედ ამდენ ხანს გრძელდება საწყისი სამხედრო მომზადების კურსი, რომელსაც ვიქტორია დანარჩენ 50 ახალწვეულთან ერთად სტოკჰოლმის სამხრეთით განლაგებულ ყაზარმებში გაივლის. საზღვარგარეთ სამშვიდობო მოღვაწეობისთვის პრინცესა იარაღის ხმარებას და მძიმე ვითარებაში გადარჩენის ხერხებს დაეუფლება.

ასე ამზადებენ მეფე კარლოს XVI გუსტავი და დედოფალი სილვია თავიანთ ქალიშვილს მომავალი დედოფლის როლისთვის. ვიქტორიამ უკვე დახურა ისტორიისა და პოლიტოლოგიის ორი კურსი ამერიკის შეერთებული შტატების იელის უნივერსიტეტში, და გაეროსა და ევროკავშირში პრაქტიკაც გაიარა. ცოტა ხნის წინათ ის პარიზში, შვედეთის საელჩოს სავაჭრო წარმომადგენლობაში იყო სტაჟირებაზე მივლენილი, მანამდე კი გვირგვინოსანმა მშობლებმა ბერლინში, საგარეო ვაჭრობის საბჭოში გაგზავნეს.

#### დღეს

ხუთშაბათს, 23 იანვარს

1957 წელი: დაიბადა მონაკოს პრინცესა კაროლინა.



**1849 წელი:** წარმოშობით ბრიტანელი ელიზაბეტ ბლექუელი შტატებში პირველი ექიმი ქალი გახდა.

**1931 წელი:** გარდაიცვალა ლეგენდარული რუსი პრიმა ბალერინა ანა პავლოვა.

**1978 წელი:** შვედეთი გახდა პირველი ქვეყანა, სადაც აეროზოლიანი ბალონის გამოყენება აკრძალეს.

**1995 წელი:** ჟაკ დელორი ევროკომისიის პრეზიდენტის პოსტიდან ოფიციალურად გადადგა.

**2001 წელი:** გალაპაგოსის კუნძულებზე ეკვადორმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა - ტანკერიდან დაღვრილი ნავთობის გამო არქიპელაგის უნიკალური ბუნება და ცხოველთა სახეობა განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

© GRAPHIC NEWS

# TV პროგრამა 23 იანვარი

## რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები“
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა“
10.40 სერიალი „ალფი“
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
13.30 მხ. ფილმი
12.15 სერიალი „მაცდური სიყვარული“
15.20 მხ. თილმი
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა“
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები“
18.50 ჰერაკლე
19.30 სერიალი „მედისონის სკოლა“
20.05 სერიალი „მაცდური სიყვარული“
22.00 ვის უნდა ოცი ათასი?
22.50 ღამის კურიერი
00.20 მხ. ფილმი „ვინ დააწყნარა ჩემი ცოლი“ მთ. როლში უგო ტონიაცი
02.30 კლასიკა

## პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „თოვლის პაპა“
10.15 მხ. ფილმი „მკვდარ ზონაში“
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
13.05 დოკ. სერიალი „ცეკვის ისტორია“
14.05 ინგლისური ენის გაკვეთილი
14.30 „თბილისი და თბილისელები“
15.15 მხ. ფილმი „სამნი ნავში, ძაღლის გარეშე“
17.25 რამპა
17.30 შემეცნებითი ფილმი „მოგზაურობა დედამიწის გარშემო“
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „ყველანი ორბიტაზე“
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 „ჯანმრთელობა“
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე“
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
21.50 „საქართველო არის ესე“
22.25 დოკ. სერიალი „მოდა ყველასათვის“
23.00 „დღის ბოლოს“
00.00 მხ. ფილმი „აფრიკელი“
01.40 ქართული ენის გაკვეთილი

## პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმეორებით ქართულ-უცხოური მუსათეული
11.45 მუსიკა
13.00 სმს შოუ
16.00 ფილმი „შავი რაინდი“
18.00 მუსათეული მიქსი
19.00 ინფორმატორი
19.30 ქართული მუსიკა
20.00 ვიდეორადიო
22.00 ინფორმატორი
22.30 ქართული მუსიკა
23.00 სველი ხაზი
00.00 ფილმი ბრავო „თოჯინა“
01.45 ფილმი ღამურა „მკვლელობა ჩერი-ფოლსში“
03.45 პაუზის გარეშე

## მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები“
20.30 ისტორიანი
21.00 შვიდეული
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „უჩინარი ბავშვი, ანუ პატარა მოგზაურობანი“

## იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი
08.25, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 21.55, 23.50, 01.25 მუსიკა
08.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
09.30 მხ.ფ. „შუალამის მოგონებები“ 1-ლი სერია
10.20 მხ.ფ. „შუალამის მოგონებები“ მე-2 სერია
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკ. ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
19.30 კონცერტი
21.00 ტელე-სინე-ვიდეო (განმეორებით)
22.30 მხ.ფ. „არარატი“
23.55 მხ.ფ. „ნაკუწ-ნაკუწ“
01.30 ღამის ფილმი

## კავკასია

12.00 მხ. ფილმი „დიდი ბიზნესი“
13.30 მხ. ფილმი „აფეთქება“
15.00 მხ. ფილმი „მაიკლი“
17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს“
17.15 მხ. ფილმი „მოჩვენება და ბნელეთი“
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „მამაცი გული“

## მეცხრე არხი

10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
10.05 მხ. სერიალი „ზურგის ქარი“
10.50 მულტფილმი „ოზის ჯადოქარი“
11.10 მხ. სერიალი „მოჯადოება“
12.00 მხ. სერიალი „ადვოკატი პორტა“
12.50 მხ. ფილმი „ცივი გული“
14.20, 15.20, 18.50, 01.35 მუსიკა
14.45 მხ. ფილმი „გჯეროდეს“
16.30 დოკ. ფილმი „ველური ბუნება“
17.45 მხ. სერიალი „ზურგის ქარი“
18.30 მულტფილმი „ოზის ჯადოქარი“ მე-4 სერია
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება“ 99-ე სერია
19.50 დოკ. ფილმი „ივ სენ ლორანი“
21.00 მხ. სერიალი „ადვოკატი პორტა“
21.50 გადაცემა „ბელისიმო“
22.10 მხ. ფილმი „ომის ხელოვნება“
00.05 მხ. ფილმი „შემცვლელი 2“

## აჭარა

08.00 კონცერტი
09.00, 19.00, 22.00, 00.00 „დღეს“
09.30 საგავშვო ფილმი „პრეზიდენტის მრჩეველი“
11.00 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 მხატვრული ფილმი „დათვი“
13.45 კომედია ჯონი მეტსახელად „კბილჩიჩქნა“
15.35 დოკუმენტური ფილმი
16.15 მულტფილმი „მონსტრების კორპორაცია“
17.45 სათავგადასავლო ფილმი „დაკარგული ედემი“
19.20, 22.30, 00.30 „ნოვოსტი“
19.30 „პრესდაიჯესტი“
19.40 დოკუმენტური ფილმი
20.30 სათავგადასავლო ფილმი „გამტაცებელთა კლუბი“
22.50 „პრესდაიჯესტი“
23.00, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.10, 00.55 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.15, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.20 „ალტერნატივა“
01.05 დრამა „კავკასიელი ტყვე“
02.35 დოკუმენტური ფილმი
03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
03.30 მელოდრამა „სამოქალაქო სარჩელი“

## VII არხი

09.10 მელოდია
09.35 „აჩიკუდა“
09.55 მობილურები
10.40 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“
11.15 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
11.40 „ბიორითმი“ - ალსუ.
12.00 აუდიო-ვიდეო-ტელე
12.35 საქართველო, უცხოეთი, ეკონომიკა, სპორტი
12.45 დისნეი და მისი მეგობრები
13.05 „სახლიდან გაუსვლელად“ 18.15 საქართველო
18.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
18.55 უცხოეთი
19.00 „აჩიკუდა“
19.25 ეკონომიკა
19.40 აუდიო-ვიდეო-ტელე
20.10 სპორტი
20.20 ღამის კაპრიზი“ - თემა: გაცნობა განცხადებით.
21.25 მობილურები
22.00 „კინოკლუბი „ - „სისხლი და ღვინო“.
00.05 კომპიუტერული ტექნიკა
00.45 „ბიორითმი“ - ალსუ.

## OPT

07.00 „Доброе утро!“
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Сериал „Земля любви, земля надежды“
11.10 Боевик „Русский транзит“, 3 с.
12.05 „Смехопанорама“
12.35 Дисней-клуб: „Черный плащ“
13.15 Худ.фильм „Встреча на Эльбе“
15.10 „От звезды до креста“. Спецрепортаж
15.30 „Новый день“. „Крылья“
16.15 Сериал „Любовь и предательство“
17.00 Худ.фильм „Русские в Городе Ангелов“
18.00 „Большая стирка“
19.30 „Сами с усами“
20.00 Сериал „Земля любви, земля надежды“
21.00 „Слабое звено“
22.00, 00.30 Время
22.40 Сериал „Русские в Городе Ангелов“
23.45 „Живой Высоцкий“, 4 с.
00.50 „Живой Высоцкий“, 5 с.
01.35 „Апология“
02.55 Боевик „Неудержимый“. „Бесконечное лето“

## PTP

06.45 Доброе утро, Россия!
09.45 Сериал „Леди Бомж“
10.40 Сериал „Дневник убийцы“
11.30 Экспертиза
11.40, 18.45, 20.45 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 Сериал „Пуаро Агаты Кристи. Странная кража“
13.10 Телефильм „Черный треугольник“
14.30 Вся Россия
14.45 Вести-Москва
15.20 „Что хочет женщина“
16.10 Сериал „Комиссар Рекс“
17.15 Сериал „Простые истины“
17.45 Экспертиза
18.20 Дорожный патруль
18.35 Вести-спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал „Трое против всех“
21.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Сериал „Леди Бомж“
22.50 Сериал „Дневник убийцы“
23.50 „Вести +“
00.20 Вести-спорт
00.30 Детектив „Место встречи изменить нельзя“
02.00 Фигурное катание. Чемпионат Европы. Оригинальный танец
03.20 Дорожный патруль


სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

[illegible] პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ (ნოემბერი / აპრილი / აგვისტო). მომდევნო კურსის დაწყების თარიღია 2003 წლის 3 აპრილი.

MBA — მარკეტინგი / ფინანსები / IT; ელექტრონული კომერცია / HRM; პროექტის მენეჯმენტი
MSc — საინფორმაციო ტექნოლოგიები; კომპიუტერული სისტემის ინჟინერია; ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი $5950

[illegible] 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - BA (Hons) მთლიანი ღირებულება 10 950$ (£ 6950 ეკვივალენტი).
3-წლიანი კურსის [illegible] B. Eng (Hons) მთლიანი ღირებულება £ 10 950

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად

[illegible] 1600$-ის (£ 1000) გადახდის შემდეგ.
[illegible] ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

[illegible]
მისამართი: 12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI),
Tel/Fax: +994 12-989906, 98 99 08, +994 50 - 201 01 69
E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@sti.az
ან ადგილობრივ წარმომადგენელს: ნინო მესხიშვილს
ტელ.: 34 61 62, 8-93 35 20 67



DERTOUR-ის შეთავაზება

DERTOUR-ის წარმომადგენლობა საქართველოში LPS-ის ტურისტული ბიურო გთავაზობთ ინდივიდუალურ და ჯგუფურ ტურებს ნებისმიერ კონტინენტზე, სასტუმროების დაჯავშნა ყველაზე იაფ ფასებში ადგილზე ვაუჩერის გაცემით, Club Med-ის კურორტები, Disnay Land, კრუიზები გემით - წყნარ და ატლანტის ოკეანეებში, კარიბისა და ხმელთაშუა ზღვაში, ევროპის მდინარეებზე, მანქანის დაქირავება ევროპის ნებისმიერ ქალაქში, სამთო ტურები ალპებში ავსტრია, გერმანია, შვეიცარია, იტალია, საფრანგეთი. ტურები ახალდაქორწინებულთათვის, ასევე LUFTHANSA-ს ავიაბილეთები ევროპის ქალაქებიდან. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით, რუსეთის და ევრო ვიზები.

DERTOUR
მისამართი: გამსახურდიას 24/2;
Tel: 91-24-24; Tel/Fax: 25-16-47;
E-mail: lps@access.sanet.ge



ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო" და ღია საზოგადოების ინსტიტუტი (ნიუ-იორკი) აცხადებს დამატებითი სტიპენდიების კონკურსს
http://www.soros.org/scholar/globalsgp.html

პროგრამის მიზანია საშუალება მისცეს სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში სადოქტორო ხარისხის (Ph.D) მაძიებლებს მიიღონ დამატებითი ფინანსური დახმარება.

პროგრამა დააფინანსებს განმცხადებლებს, რომლებიც სწავლის გაგრძელებას აპირებენ დასავლეთ ევროპის, აზიის, ავსტრალიის და ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტებში.

სტიპენდიაზე განაცხადის შეტანის საშუალება ეძლევათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ჩარიცხულნი არიან სადოქტორო პროგრამაზე (Ph.D).

განმცხადებლებს სტიპენდიის მოთხოვნა შეუძლიათ შემდეგ შემთხვევებში:

1. სწავლების გადასახადი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს წლიური თანხის 50%.

2. საცხოვრებელი თანხა - განმცხადებლებს, რომლებმაც მიიღეს სწავლების თანხა დაფინანსების სხვა წყაროებიდან, უფლება აქვთ მოითხოვონ ცხოვრებისა და ბინის თანხები.

3. სხვადასხვა - განმცხადებლებს, რომლებმაც მიიღეს ყველა საჭირო დაფინანსება, გარდა მგზავრობის, წიგნების, ჯანმრთელობის დაზღვევისა, უფლება აქვთ მოითხოვონ დაფინანსება ზემოაღნიშნული პუნქტების დასაფინანსებლად.

პროგრამაში მონაწილეთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 40 წელს განაცხადის შეტანის დროისათვის.

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა:
აშშ, აზია, ავსტრალია - 1 აპრილი, 2003 წელი
დასავლეთ ევროპა - 1 ივნისი, 2003 წელი

დაწვრილებითი ინფორმაციისა და კონსულტაციისათვის მიმართეთ ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველო"-ს ოფისს, თბილისი, ჭოველიძის ქ. 10.
ტელ. 25 04 63, 93 89 99.



Visage
ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"

პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაში მაღალი ტექნოლოგიის პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"

MATTIOLI ENGINEERING
მიკროკრისტალურ დერმოგრაზიას "Aesthipeel"

- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერიმჭამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაწიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.

ფალიაშვილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური899-56-18-52



# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.


